


ბედივესულოვი





ბედულები

ანბრო-საქსური
საბერილო ეპოქა



გამომცემლობა „საბურთა საქართველო“
თბილისი, 1989

„ბეოვულფი“ ანგლო-საქსური ხანის, ძველი ინგლისური, ეპიკური ძეგლია. იგი მოგვითხრობს გითი უფლისწულის ბეოვულფის ბრძოლების ამბებს დანიისა და მშობლიური გითლენდის დასაცავად გველემუაბებისაგან.

ბეოვულფის მოღვაწეობა თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნით და ეპოსის პოეტურ სახეებში მკაფიოდ ჩანს ანგლო-საქსთა სწორედ იმდროინდელი ისტორიული ყოფის ანარეკლი.

ინგლისურიდან თარგმნეს

პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა


4703010200—099

Б ————— 324—89

М 601(08)—89

ISBN 5—529—00707—4

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1989.



დასაწყისი

ისმინეთ, რაც რომ დანიელებს გადახდენიათ, უხსოვარ დროში დიდება თუ ვით მოიპოვეს მეფეებმა, უფლისწულებმა მახვილების მძლავრი ჟღერილით; ვით დაიმონა სკილდ სკეფინგმა მეომარნი ყოველი ქვეყნის,

5. ტყვეთა ბრბოები გამოირეკა, დააშინა, დააძაბუნა, როგორ მოვლო მარტომ დანია, ბავშვობაში მიტოვებულმა ბედი წაღმა ვით შეიბრუნა, თუ სიმდიდრით როგორ აღივსო, თუ სახელი ვით მოიხვეჭა.

როგორ მართავდა მრავალ ქვეყანას: 10. როგორ გზავნიდა მეომრებს ყველგან, სადამდეც კი ზღვა წაიყვანდათ,

ისინი უკან ვით ბრუნდებოდნენ ხარკით და
ძღვეით;

მამაცი იყო სკილდ სკეფინგი! დიდების გარდა
ვაჟიც უბოძა დანიელებს, ახალი მწყემსი, ღვთით
მოვლენილი.

სკილდის მოსვლამდე დანიელები უწინამძღოლოდ
15. გასაწყლებულად როგორ ცხოვრობდნენ,
და სკილდმა კი, ყოვლის მეუფემ,
როგორ დალოცა დანიელები, უფლისწულ ბეთით
თუ ვით დალოცა,
ვისი ძალიც და ვისი სახელიც მალე მოედო
ქვეყნიერებას,

ბეო დანიის სიამაყე როგორ შეიქმნა;

20. ბეომ მამის უთვალავ განძით,
მამისავე მებრძოლები გარშემო როგორ
შემოიკრება,

ჯერაც ჭაბუკი განაგებდა ბრძნულად სამეფოს —
მშვიდობის ჟამს — უხვს, გალადებულს,
ყოველმხრივ დაცულს — ომის ყიჟინა თუ
ატყდებოდა.

25. მახვილით მოსდეს მეომრებმა ქვეყნიერებას თვისი
სახელი, ქონებასაც მახვილი იხვეჭს.
როს გარდავიდა დრო სკეფინგის, მოხუცი მეფის,
ჯერ ისევ მძლავრი სკილდ სკეფინგი თავისთან
რომ იხმო უფალ

ერთგულეებმა ჩაასვენეს სანაპირომდე,
მიასვენებდნენ, როგორც სთხოვა მათ
წინამძღოლმა, მათმა ბატონმა და მეგობარ
სანამ ენას იმორჩილებდა.

30. დიდხანს მეფობდა, რასაც მეფობდა, მორჭმით
მეფობდა სკილდი,

ახლა კი

ხომალდი იდგა სანაპიროზე ქიმმოტვიფრული და
მას ელოდა.

აქეთ მოჰქონდათ საყვარელი, ძვირფასი ტვირთი,

35. მოასვენებდნენ მოწყალე ბატონს,
და როს ანძასთან დაასვენეს მეფის ცხედარი
დაახვავეს აუწონელი განძეულობა, მოოჭვილი
მუზარადები,
დასალიერით მოზიდული აურაცხელი ჯავშანი,
ხმალი, ჯაჭვის პერანგი,
და არცერთ ხომალდს არ უტურია

40. ოდესმე მორთულს ასე ბრწყინვალედ,
და არც მეფე გასდგომია გზას ღმერთისაკენ
ასე მხურვალედ დატირებული.
ტალღებს მიანდეს მეფის ცხედარი,
სადამდეც ტალღა მიაღწევდა, ხომალდს იქამდე
გაიყოლებდა,

45. ობლად გაუშვეს ზღვაში ხომალდი,
ზღვის ანაბარად გაუშვეს ხომალდი,
ჯერ ალაში ააფრიალეს მის თავზე,
მალღა, სულ მალღა,
მერე სევდიანად გააცურეს და გასცქეროდნენ

50. ნანავით წასულ იქით, საიდან არც მეფეებს,
არც გმირებსა და არც არავის
არ შეუძლია იმისი თქმა,
ვინ გამოიწვდის მკლავებს ხომალდის
ჩასახუტებლად.

და მას მერე ბეო გამეფდა,
 მამასავით დიდხანს ზეობდა,
 55. მისებრ მოწყალე და სახელგანთქმული მთელს
 დანიაში.
 მანაც უბოძა თავის ხალხს ვაჟი,
 დიდი ჰილფდანი, უებრო მებრძოლი,
 დანიელებს რომ ხელმწიფობდა თავის ხანგრძლივ
 სიცოცხლის ბოლომდე
 და ვინც ოთხი შვილი დატოვა,
 60. სამი ვაჟკაცი, ვინც ლაშქარს წინ გაუძღვებოდა,
 პერგარი, პროთგარი და ჰალგა ქველი,
 ერთიც ასული, ირსი, რომელიც მიათხოვეს
 შვედების მეფეს,
 ონელას მეუღლე ვინც შეიქნა და შვედებისა
 დედოფალი.
 და როს პროთგარი ავიდა ტახტზე, ისე წარუძღვა
 დანიელებს დიდებისაკენ,
 65. რომ ახლობლები და ერთგულები, ყველა
 მახვილზე ეფიცებოდა,
 და მის ლაშქარს ჭაბუკები ემატებოდნენ.
 უფრო მეტი სწყუროდა პროთგარს,
 ციხე-დარბაზის აგება ბრძანა
 თავის მძლავრ რაზმს სადაც დასტევდა, *აწილ*
 ცის თავანს ისე შეუშაღლებდა,
 70. რაიც არასდროს არვის ეხილა.
 იმ დარბაზში გამოაწყობდა ნადავლს მათი
 გამარჯვებების,

*იხილეთ
 ცხინი*

ადრეულის თუ ახლანდელისა, ბრძოლებში კი
 რაც მოეპოვათ,
 ხელუხლებელი მიატოვა ყველამ საქმე და
 სვეტებსა ჰკრავდნენ, ალაგებდნენ,
 75. პროთგარი თვითონ მოთავეობდა.
 მალეც მოთავდა
 ისეთი დაღვეს დარბაზთაგან ულამაზესი,
 პროთგარს რომ სურდა,
 და ვის სიტყვასაც მორჩილებდა მთელი ხმელეთი,
 ციხე-დარბაზი ჰეროთად მონათლა.
 80. დანაქადები რომ აისრულა, ნადიმად და
 დროსტარებად დაჯდა პროთგარი,
 საბოძგარი უხვად გაიღო.
 ციხე-დარბაზი, ვეება და წვერწამახული,
 იდგა, ელოდა ჟამთა დინებას,
 ბრძოლის დაწყებას, ცეცხლის ალის აბრიალებას,
 85. გაუნელებელ მტრობასავით ზევით-ზევით რომ
 წავიდოდა, ანთებდა და გადაბუგავდა.
 ქვევით, ქვესკნელში ბინადრობდა მძლავრი
 ურჩხული,
 ბნელში ბორგავდა ტკივილებით შეწუხებული,
 რადგან დარბაზში დროსტარება არა ცხრებოდა,
 ქნარს აუღერებდნენ გატაცებით,
 90. და მგოსანის წმინდა სიმღერა
 უგალობებდა დასაბამს ჩვენსას.
 მოიხსენებდნენ არსთაგამრიგეს, რომელმან
 შეჰქმნა ხმელეთი და
 მშვენიერ ველებს ოკეანენი გარსშემოავლო,
 მერე ამაყად დასვენა მზე და მთოვარე,

95. მთელ ხმელეთს რომ ასხივოსნებენ.

ამოზარდა ირგვლივ ხეები, გაფოთლა და

აყვავილა,

შეჰქმნა ერები, თავთავისი სახე უბოძა.

და მას შემდგომად მეომარნი

მუდამ ხარობენ და ილაღებენ.

100. ასე ცხოვრობდა, ბედს არ ემღუროდა ჰროთგარის

ხალხი ამ ციხე-დარბაზში,

სანამ ურჩხული არ ამოძრავდა, ო, ის დემონი.

ო, ის სატანა,

გრენდელი, ჭაობთა ბინადარი,

გავერანებულ ალაგთა მკვიდრი,

ბუნავად ჰქონდა ჯოჯოხეთი. წკვარამში შობეს

ორთა ურჩხულთა,

105. კაენის თესლთა, შემზარავთა და ღვთით

დაწყევლილთა,

დასჯილთ მარადის,

ცოდვისათვის აბელისა მოკვდინებისა;

ყოვლისმეუფემ განაძევა ეს დემონები,

მწარე იყო მათი განდევნა,

110. და კაცთაგან მოცილებულნი

მრავალნიარ ცოდვად გადიქცნენ —

ზოგი სულებად, სატანებად, გოლიათებად,

გველესაპებად, ზოგიც ჭინკებად,

ეს ის თესლია, ღვთის ნებას რომ მუდამ წინ

უდგას,

სულ რომ მარცხდება, ეს ის თესლია.

115. მერე როცა ჩამოწვა ბნელი,

კარს მოადგა გრენდელი ჰეროთს,

აქ შეიტყობდა, სმას მორჩენილი მეომრები რას

აპირებდნენ,

ყველას ძილქუში დასწოლოდა, დამშვიდებულებს,

არაფერი უფროთხობდათ სიზმრებს.

120. სწრაფად ფიქრობდა ისე ურჩხული, როგორც

ბრჭყალები ჰქონდა სწრაფი, როგორც სიხარბე —

გაუძლომელი,

შესრიალდა შიგნით ურჩხული.

იქ, სიჩუმეში, ოცდაათი კაცი ჩაბლუჯა, ერთურთს

შეზილა, შეადღვიბა,

სხეულები თან წარიტაცა,

უკან სისხლის კვალი დატოვა,

125. ბუნავს მიჰმართა გამაძლარმა ღამის სისხლის

სმით.

გათენებისას, მზის პირველ სხივზე, რომ

გველესაპის ნაქმნარი ნახეს,

ნაცრისფერ დილას,

ბოლო მოედო მათ გრძელ ნადიმს

მოთქმა-გოდებით,

და ჰროთგარი, ბატონი მათი, იჯდა მწუხარედ,

130. მამაც უფლისწულს სევდა ტანჯავდა,

მეგობართა, თანამებრძოლთა დაკარგვის გამო,

კვალი ამცნობდა, დაეგლიჯა მისი მოყმენი

რაღაცა დემონს, და ის ტიროდა შეშფოთებული,

რომ მათი დარბევა ამითი არ დასრულდებოდა.

135. კვლავ მოვიდა ღამით გრენდელი,

ისე გაუტკბა ხოცვა-ჟლეტა, ბოროტებით ველარ
ძლებოდა,

სისხლი წყურვილს ველარ უკლავდა.

სად გაჰქცეოდნენ, მეომრებმა აღარ იცოდნენ,
სამშვიდობო სად იქნებოდა,

140. ჰეროთიდან ოღონდ გაესწროთ,
შორიდან ჩანდა ნადირობდა როგორ გრენდელი.
მძინარეებზე ნადირობდა. სხვებს სიშორე თუ
დაიფარავდათ;

სიშორე თუ იხსნიდათ მხოლოდ.

გაიმარჯვა ბოროტეულმა, გრენდელს ზეობის
ხანა დაუდგა.

145. ერთი იყო, ერთი იბრძოდა, მრავალს ერთი
აჩანაგებდა;

დაცარიელდა ასე ჰეროთი, გამოყრუვდა,

გაუდაბურდა;

დრო გადიოდა,

თორმეტ ზამთარს სწუხდა ჰროთგარი.

ვერ გადაურჩა კარი მისი ჯოჯოხეთიდან

გამოწვდილ ხელებს.

150. ზღვებს გადაწვდა მისი ამბავი,

ხადაც ესმათ, სიმღერად ესმათ:

როგორ დაიწყო გრენდელის მტრობა,

როგორ ილხენდა გველეშაპი დანიელებთან

სასტიკი ბრძოლა

როგორ მოლანგა სისხლში ჰეროთი, მშვიდობა

როგორ არ ეძიე

155. შერიგებას არ სთავაზობდა, მორიგებას სულ

ცდილობდა

ოქრო თუ მიწა არად უღირდა,

ბოროტება ეთესა მხოლოდ,

არვინ ელოდა გადარჩენას მისი ხარბი

ბრჭყალებისაგან —

და ეს აჩრდილი სიკვდილისა, სიბნელეში რომ

ნადირობდა,

160. ეპარებოდა ჰროთგარის ხალხს, არ არჩევდა

მოხუცს და ჭაბუკს,

მომლოდინეებს, შემალულებს ვითომდა ნისლში,

ხოლო გრენდელი, უხილავი,

უჩინარად მოსდევდა ჭაობს,

კაცთა მტერი ბოროტებას კვლავ აგრძელებდა,

165. კვალს ახშირებდა,

მოსრიალებდა მარტოდმარტო, სისხლმწყურვალი

და საზარელი

თვით ჰეროთში იდებდა სადგომს, როცა დამე

დაიფარავდა,

მაგრამ არასდროს გაუბედავს,

ღმრთისაგან დაცულს — მეფე ჰროთგარის

დიდებულ ტახტს გაჰკარებოდა,

ღვთაების, ვისი სიყვარულიც

170. გრენდელისათვის უცხო რამ გახლდათ:

დამძიმებული ჰქონდა მაინც დანიელთა

შბრძანებელს გული,

მრჩეველნი მისი, რჩეულნი და კეთილშობილნი,

გზას ეძიებდნენ გადარჩენისა,

საიდუმლო სერობაზე თავშეყრილები, სულ

შიშზე ბჭობდნენ,

ბჭობდნენ, განსჯიდნენ, მეომართაგან უმამაცესი

რის შემძლე იყო.

ქარი სწრაფად მიაქანებდათ,
აქაფებულ ზღვას მიაღრვევდნენ და ჩიტივით
მისრიალებდნენ,

და დროც მოვიდა —
220. კიჩოზე იდგნენ, მრგვალ კიჩოზე, და
შესტკეროდნენ

მთებს — მაღალთა და ამწვანებულთ,
ზღვის ნაპირას რომ აღმართულიყვნენ
ბრწყინვალე და მოზეიმენი,
ფრიალო კლდესთან მშვიდობიანად დაასრულეს
მოგზაურობა,

თვითონ მიწაზე გადმოვიდნენ,
225. ნავი ქვიშაზე გამოათრიეს,
იქვე მიაბეს. აბჯარმა და ჯაჭვის პერანგმა სულ
რაჩხა-რუჩხი აუყენეს
როდესაც მკვირცხლად მოაყენეს ნაპირზე ნავი.
ღმერთს მაღლი უძღვნეს მშვიდობიან
მგზავრობისათვის.

ფრიალოს თავზე დანიელთა ღარაჯი იდგა,
230. და როს იხილა
უცხო ხალხი ზღვის ნაპირას რომ მოდიოდა,
ფარები მაღლა აღემართათ, გაბრწყინებული,
თავქვე დაეშვა ცხენით უმაღ, დეზებს სცემდა და
მოაქანებდა,

შეტყობა სურდა, ვინ მოსულიყვნენ, ნაპირს
რისთვის მოახლებოდნენ
235. შეჯავშნულები. მძიმე შუბი შეაქანა და
ასე მიმართა: —
„ვინ ხართ, საიდან,
ღრმამუცლიანი ნავი ვისია,

ზღვა გადმოლახეთ რისი გულისთვის?

240. ისმინეთ ჩემგან! ამ კლდეების თავზე ვდგავარ
დიდი ხანია,

ვიცავ ჩვენს ნაპირს
მომხდურთაგან, მეკობრეთაგან,
მიწა-წყალს რომ გვეცილებიან, ჩვენს ოქროს
რომ ეტანებიან.

ასე აშკარად არვინ მოსულა —
245. თქვენ არც დათქმული ნიშანი გაქვთ ჩემი
მეფისგან,
არც ნებართვა ჩემი ხალხისა, აქ გადმოსვლა რომ
გინებებიათ.

არსად მინახავს კაცთა შორის დედამიწაზე
ასეთი მძლავრი და ახოვანი,
როგორც თქვენთან ერთად მოსული;
250. არავინ ფლობს ასეთ იარაღს,
თუ გარეგნობა ამ კაცისა და სილამაზე არა
ტყუიან,

მე თქვენ მოგმართავთ!
სახელი და ვისი ძე ხართ, ისიც მიბრძანეთ,
უცხოელებო, საიდან მოხვედით,
255. თქვით... და მალე თქვათ უმჯობესია
თქვენთვის, ჩვენთვის და ყველასათვის,
ვინ ხართ, საიდან, რისთვის მოსულხართ?“

4

თქვა ბეოვულფმა,
გულიანი სიტყვით მიმართა —
260. „ჩვენ ვართ ვითები,

ბეოვულფი

ჰიგლაქის ყმანი. ხოლო მამაჩემს,
ცნობილსა და მამაც მეომარს, სახელგანთქმულს
მთელს ქვეყანაზე

კაცთა წინამძღოლს, ედგეთო ერქვა.
მრავალ ზამთარს ცოცხლობდა იგი;

265. ბრძენკაცთ ჯერ ისევ ესომებათ სახელი მისი.
ჩვენ კი მოვსულვართ საძებნელად თქვენი
ბატონის

ჰილფდანის ვაჟის, თქვენი მწყემსის,
მოყვრად მოვსულვართ, მიგვასწავლე, ჰოი,
დარაჯო, შეგვეწიე შენი სიტყვებით,
მიზანი ჩვენი აქ მოსვლისა დიადი არის, დანიელთა
დიდებულ მეფეს

270. საიდუმლოდ არა ვხლებივართ;
მზაკვრული რამ გულში არ გვიძევს,
არც რამეს ვფარავთ.
შენ კარგად იცი, თუ მართალი შეგვატყობინეს,
თქვენი ქვეყანა რომ დაუბყრია
რალაც უცხო, ბოროტ ქმნილებას,

275. ღამით რომ უყვარს ნადირობა და არავის ჯერ არ
უნახავს.

ასე ამბობენ დაუხოცავს დანიელები,
წყვდიადის შიში მოუტანია.

და იმ სატანის მოსაცილებლად
დაე ჩემს გულში დაეძებდეს ჰროთგარი ვზებსა —

280. ამ ბოროტებას თუ ოდესმე ბოლო მოელო,
აი, მაშინ თუ გათავდება ტანჯვა-წამება თქვენი
ბატონის, ბრძენისა და სახელგანთქმულის,
და მწვავე დარღსაც აი, მაშინ თუ გაიგრილებს,
ან თავის ტანჯვას უნდა შესცქიროს,

სამუდამოდ შესცქიროს, ვიდრე ჰეროთი კოშკად
დასდგომია

285. მალლიდან თქვენს მთებს“.

ამხედრებულმა ასისთავმა

ასე მიუგო,

„უნდა იცოდეს მეომარმა განსხვავება სიტყვებსა
და საქციელს შორის,

და ამბავი გულს დაიმარხოს.

290. მე მჯერა შენი სიტყვებისა და ვენდობი
შენს მეგობრობას. გზას დაადექ ჩვენს დანიაში,
იარალით, აბჯრით მოსილი. თვით გავიძღვები,
თქვენ ხომალდს კი ჩემი ხალხი უყარაულებს,
შეინახვენ ხელუხლებლად აქ, ჩვენს ნაპირზე.

295. მოუვლიან, რაც შეიძლება,
ვიდრე ეგ თქვენი მრგვალი კიჩო
გითიისაკენ წაგიყვანდეთ რჩეულ მეომრებს,
ვინც მამაცურად შეებმება ბოროტ ქმნილებას,
დანიელებს ვინც უთვალთვალეებს, ვინც
გვაშინებს, თავზარს ვინაც გვცემს,

300. შინ დაგაბრუნებთ ჩვენთვის ძვირფას ხალხს“.
მერე დაიძრნენ. ნავსადგურში იდგა ხომალდი,
ლუხაზე მაგრად გამობმული. ხოლო ვითები

მოელვარე წვეროებით
მოოქრული მუხარადების, მათი ჟღრიალით,
სულმთლად ბრწყინვალე მორთულობით
ოდნავი რხევით მიდიოდნენ,

305. ოლონდ მზადმყოფნი, შებრძოლების
მომლოდინენი,
ასე ვიდოდნენ ბეოვულფი, მეომრები და მეგზური
მათი,

ვიდრე ჰეროთის სახურავებს თვალს მიატანდნენ,
მოპირკეთებულს ნაჭედ ოქროთი და მზის შუქზე
აელვარებულს —

დარბაზთაგან საუკეთესოს.
310. შორითვე ჩანდა მოელვარე სახურავები,
ბრწყინვალე კოშკთა

მოელვარე სახურავები.
გაიმართა ცხენზე მეგზური,
მათითა დარბაზისაკენ, ჰროთგარის ნაგებ
დარბაზისაკენ,

ბილიკი რომ მიუყვებოდა, სწორი ბილიკი.
315. გზა აქედან იოლად ჩანდა. და მიმართა გითებს
მეგზურმა:

„სხვა რა გზა მაქვს, უნდა დაგტოვოთ,
ღმერთი ფარვიდეს თქვენს აქ მოსვლასაც და
შინისკენ გაბრუნებასაც,
ზღვა არის ჩემი სამსახური. ნაპირთა დაცვა
მევალება

მომხდურთაგან, მეკობრეთაგან: უნდა
დაგტოვოთ“.

5

320. მან რომ ბილიკი მიუთითა, მოკირწყლული იყო
ბილიკი

რომაულ გზასავით მოკირწყლული. ბილიკს
დაადგნენ მეომრები,

შეაბჯრულები, მოვერცხლილი შესაკრავებით,
რკინა მღეროდა, ზრიალებდა,
ზღვით დაღლილებმა მწკრივად დააწყვეს

325. მრავალ ბრძოლებში გამოწრთობილი ფართო
ფარები
კედლის გასწვრივ, გაემართნენ ჰეროთისაკენ
აბჯრის ზრიალით,

ნაცრისფერი და სწორი შუბები, ხის შუბები
მწკრივად დალაგდნენ:
გითი მოყმენი

330. განთქმულნი იყვნენ იარაღით.
წინ გადაუდგათ მეომარი დანიელთაგან,
გამოსაკითხხად ვინაობის, სახელის და
სადაურობის:

„საიდან არის ეს ფარები ოქროცურვილი,
ეს ვერცხლის ჯაჭვის პერანგები, მუზარადები,
ან ის შუბები

335. გრძელ რიგად რომ ჩამოამწკრივეთ. ათასისთავი
და მაცნე ვარ
მე ჰროთგარისა. უცხოელნი ადრეც გვწვევიან,
მაგრამ არასდროს ასე ლაღად, ასე თამამად.
ძალზე თამამად მოდიხართ და დევნილისა არა
გეტყობათ.

არა სიმწარე, გაბედული გული მოგიძღვით, ამ
გულს მოჰყავხართ ჰროთგარისაკენ“.

340. პასუხი გასცა უფლისწულმა,
ბეოვულფმა გასცა პასუხი:
„ჩვენა ვართ ყმანი ჰიგლაქისა, მის პურს
მივირთმევთ,

სახელი ჩემი — ბეოვულფი, ხოლო მიზანი
ჰილფდანის ვაჟის მოსმენაა, დიდებული თქვენი
ბატონის;

345. თუ მოისურვებს ჩვენს მიღებას,

მივესალმებით დანიელთა მწყემსს და აქ მოსვლის
მიზეზსაც ვეტყვით“
პასუხი გასცა უფლისწულმა, შვედეთს შობილმა,
სახელგანთქმულმა სიბრძნითა და
ძალგულოვნებით,

- გულფგარმა გასცა:
350. „ვაუწყებ ბატონს თქვენს მობრძანებას,
ვამცნობ ჩვენს მეფეს,
მწყალობელ მეფეს,
გამოვეჩქარო მერე თქვენსკენ დანაბარებით,
და მოგახსენოთ, რასაც მომიგებს
355. პასუხად თქვენი სიტყვებისა“.
გაეშურა ჰროთგარისაკენ, იქით, სადაც
ჰროთგარი იჯდა

მოხუცი და თმადათოვლილი,
რადგან იცოდა ჩვეულება სამეფო კარის,
ვულფგარი ტახტისკენ გაემართა, ფართო
ტახტისკენ და იქ შეყოვნდა, ვიდრე მეფე ყურს
ათხოვებდა.

360. მერე კი ამცნო:
„აქ მოსულან ვითთა ქვეყნიდან, ოკეანე
გადმოუცურავთ,
შორით მოსულან ჩვენს მიწაზე აქოჩრილი
ტალღების ზურგით,
და წინ მოუძღვით ბეოვულფი,
ასე უხმობენ. და სწადიათ შენთან შეხვედრა.
365. მხოლოდ შენი მოსმენა უნდათ. ბატონო ჩვენო,
ღირსეული პასუხი მიეც, ნახე ისინი და შეიტყვე,
რისთვის მოსულან! კეთილშობილი იარაღი
უპყრიათ ხელში,

- არც მათხოვრები არ არიან, და ბეოვულფი, ვინც
გამოუძღვა ვითებს
ჩვენი ნაპირებისკენ,
370. უებრო კაცს ჰგავს, მძლავრსა და ბრძენს ის
ბეოვულფი“.

6

- დანიელთა მწყემსმა მიუგო:
„ვიცნობ ბეოვულფს; ბავშვობიდან ვიცნობ
ბეოვულფს,
ედგეთო იყო მამამისი, ჰრეთელის ასულს რომ
შეეუღლა,
ჰრეთელისა, ჰიგლაქის მამის. ახლა ედგეთოს
375. მამაცი ვაჟი აქ მოსულა, ჩემს სანახავად,
სამეგობროდ მოსულა იგი.
და მსმენია, მეზღვაურები
ოდეს ვითებთან მიდიოდნენ, საჩუქრები
მიჰქონდათ უხვად,
ჭიდაობდნენ და ერთად დარბოდნენ,
და ჰიგლაქის ჭაბუკი პრინცი ბრძოლის მაგალითს
უჩვენებდათ
380. მკლავებით, ოცდაათი კაცის ღონეს რომ
დაიტევდა
და ანთებული მამაცობით. ჩვენს წმინდა მამას
მოუვლენია ბეოსათვის ღვთაებრივი თვისი
ნიშანი,
რომ შეგვეწიოს ბეოვულფი და ჩვენს ჩაგვრას
ბოლო მოეღოს.“

განძეულით შევეგებებები
385. რათა ამითი წავაქეზო გაბედულება ბეოვულფისა,
მსწრაფლ მიეახლე, გადაეცი, მოვიდნენ ჩემთან,
ჩემთან მოვიდეს ბეოვულფი და მისი რაზმი,
გადაეცი, რომ გავიხარე!“

კარს მიადგა მერე ვულფგარი,
390. მომლოდინე გითებს მიმართა მეომრული
სიტყვით ვულფგარმა:

„ჩემმა ბატონმა, დანიელთა დიდებულ
მეფემ, ასე მიბრძანა,

გადმომეცა, რომ კარგად გიცნობთ, თქვენი
მაღალი წარმოშობაც კარგად სმენია,

მოხარულია თქვენი მოსვლის,
გაშლილი ზღვიდან ვაჟკაცები რომ მოევლინეთ.

395. ახლა ეახლეთ, როგორცა ხართ გამოწყობილნი,
აბჯრითა და მუზარადებით,

მხოლოდ ფარ-შუბი დატოვეთ აქ,

აქ დაგელოდონ,

ვიდრემდე თქვენ აღთქმას დასდებდეთ“

წელში გასწორდა ბეოვულფი, მეომრებით
გარშემორტყმული,

400. ორნი დატოვა იარაღთან, დანარჩენებს სწრაფად
გაუძღვა ჰროთგარისაკენ,

თავზე მუზარადდარქმეული, მოვერცხლილი
ჯაჭვის პერანგით —

ოსტატურად ნაჭედ პერანგით —

ბეოვულფი საუფლისწულო ბუხართან დადგა

405. და მიესალმა დანიელთა მწყემსსა და ბატონს:

„დიდება ჰროთგარს!

ბიძაშვილია ჩემი ჰიგლაქი და ჩემი მეფე;

უზრუნველად ვიდოდნენ დღენი,
მაგრამ ახლა კი გრენდელის სახელს იქ,

ჩვენამდეც მოუღწევია:

410. მეზღვაურებმა მოგვიტანეს თქვენი ამბავი,
ჰეროთ-სასახლის დარბევისა,

უდაბურქმნილის საუკეთესო ჰეროთ-სასახლის,
როცა მთვარე ჰკიდია ცაზე,

მზე კი ანათებს შუქს და სიცოცხლეს, ერთად
გაფრენილს.

415. ბრძენთა მირჩიეს, ბრძენთა-ბრძენთა მირჩიეს
ასე,

რომ ვალად მაწვა თქვენთან მოსვლა.

მათ ხომ იციან ჩემი ძალა, საკუთარ თვალთ
დარწმუნებულან,

როგორ მომწვეთავს სისხლი მტრისა,

ბრძოლის გულიდან რომ ამოვსხლტები.

420. ხუთი დამიბავს გოლიათი, ხუთი ვეება გოლიათი
ჯაჭვით დამიბავს,

მათი მსგავსნი ერთიანად დამირეკია,

ოკეანეში — ღამის წკვარამში — ურჩხულებზე
მინადირია,

ვხოცე და ვმუსრე ურჩხულები, ერთსაც რომ არ
გაეჭაჭანა,

და მიზანი ჩემი ეს იყო.

425. ბედისწერამ თვით გადაწყვიტა. ახლა კი, ახლა მე
და გრენდელი შევიყარენით,

და მეც მოვედი.

ნება მიბოძე, ერთი თხოვნის, დანიელთა კეთილო
მწყემსო,

‘მორით მოვსულვარ, რჩეულო და

ედგეთოს შუღლს ბოლო მოვუღე,
საგანძური ვაახლე ვულფინგს; და მამაშენმაც

რომ მშვიდობას არ დაარღვევდა. თქმა როგორ
დაიფიცა,

და თან გულიც როგორ შემტკივა, ის რომ
გამოვთქვა, რაც გრენდელმა

475. თავს დაგვატეხა, და ზარალი რაოდენი მოგვაყენა
აქ, ამ დარბაზში-

თვითვე ხედავ, შეთხელებულ ამ ჩვენს რიგებს
თვითონვე ამჩნევ.

თვითვე მიხვდები, რაც დაგვიკარგავს, მისმა
ჩაგვრამ რა დღეც დაგვმართა-

ყოვლისშემძლე უფალს შეეძლო, ჩაეხშო მისი
მძვინვარება,

ჩაექრო მისი მძვინვარება!

480. ვინ დათვალოს, ჩემმა მოყმენმა;

ანთებულებმა სიმამაციო, ელის თასით

აღვზნებულებმა
თუ რამდენჯერ შემომფიცეს ბნელში დარჩენა,
რათა ეს შიში ურჩხულისა მახვილების ქნევით
მოესპოთ.

მაგრამ დილით შუადარბაზი,

485. ანათებდა ახალი შუქით, სველი სისხლის შუქით
ბრწყინავდა,

სისხლი სწვეთავდა სკამებსაც და იატაკსაც
სისხლი ღებავდა,

მაკლდებოდა ასე მოყმენი ამ ურჩხულის
თავდასხმებისგან,

მაკლდებოდა მეტი და მეტი

თუმცა ჯერ ნადიმად დავსხდეთ, ბეოვულფ, შენს
სადიდებლად სუფრას მოვუსხდეთ,

490. შენს მომავალზე ვისაუბროთ, სადღეგრძელო შენი
დავლიოთ“.

მიიწვიეს სუფრასთან გიონი,
გულად სტუმრებს სკამებს უწყობენ
და სანადიმოდ მიუძღვებიან. თლილ აზარფეშებს
ეზიდება

თაფლუჭის მცველი

495. და აზარფეშებს მანათობელ სიტკბოთი ავსებს.
და მგოსანი მღერის და გალობს, ნარნარი ხმით
გალობს მგოსანი.

დანიელნი და მათი სტუმრები

ზეიმობენ, თაფლუჭს სვამენ, მხიარულებენ.

8

და თქვა ანფერთმა, ექვლავის ვაჟმა,

500. პროთვარ მეფის ფერხთით რომ იჯდა,

ლაპარაკობდა სუსხიანად

ცივად და მკვეთრად (გალიზიანდა ბეოვულფის
თავგადასავლით,

სიმამაციო ბეოვულფისა, გწლიზიანდა, რომ

ვილაცას

დანიასა და მთელს მიწაზე

მეტი სახელი მოეხვეჭა, მეტი დიდება

505. ვიდრე მას, ანფერთს):

„შენა ხარ ის ბეოვულფი —

ის ტრაბახა სულელი შენ ხარ,

- ზღვაზე ბრექას რომ შეეჯიბრე,
 თქვენა ხართ ის თავგასული ახალგაზრდები,
 510. ზღვის სიღრმეებში გზას რომ მიიკვლევთ და
 სიცოცხლეს საფრთხეში აგდებთ
 უმიზეზოდ, თუმცა უშიშრად? ჭკვიანმა ხალხმა
 გაგაფრთხილათ, თქვენზე ბევრად გონიერებმა,
 ხელი აგელოთ ამ საქმეზე, მაგრამ თქვენი
 თავგასულობა
- მაინც ვერაფრით შეაჩერეს,
 ბრექასთან ერთად გადასცურეთ ზღვის ბილიკები,
 515. გადაიარეთ ზედაპირი ოკეანისა. მაგრამ ზამთარმა
 წყალი ძალუმაღ ააღელვა, ისე ძალუმაღ,
 ტალღები თავის ნებაზე რომ გათამაშებდნენ,
 თავს არ ზოგავდით შვიდ დღე-ღამეს
 გადარჩენისთვის
 ბოლოსდაბოლოს გამარჯვება. შენ კი არა, ისევ
 მას დარჩა
- ზღვამ მიაცურა თავის სახლთან,
 520. ნორვეგიის სამხრეთ მიწებთან —
 რონდინგთა მიწას რომ უხმობენ — ის რომ
 მართავდა, ხალხსაც უყვარდა,
 სადაც განძი ჰქონდა დაფლული. და მისი ძალა
 იფარავდა
 ხალხს და ქალაქებს. ის შეგპირდათ უკან
 გაშვებას
 შეგპირდათ და ბონსტანის ვაჟმა გაამართლა
 თავისი სიტყვა
525. შენ ბრძოლებში ბედი გწყალობდა,
 მაგრამ გრენდელს თუ შეებმები, ზურგს
 შეგაქცევს, ვფიქრობ, ეგ ბედი

- შენ აქ დარჩები, ამ დარბაზში,
 აქ დაიცდი და დემონი თვითონ მოგაგნებს“.
 თქვა ბეოეულფმა, ედგეთოს ვაჟმა:
530. „ანფერთ, ძმობილო, ელს აღუგზენია შენი სახე,
 ამიტომ სცადე,
 ბრექას ამბები მოგეთხრო ჩვენთვის.
 მაგრამ სიმართლე სულ უბრალოა: ვერც ჩემსავით
 ცურავს ვინმე სხვა,
 და ღონითაც ვერვინ დამჯაბნის.
535. მე და ბრექამ რომ დავიქადნეთ —
 ყმაწვილები ვიყავით და ჯერ ვერ გაგვეგო,
 თავს საფრთხეში როგორ ვიგდებდით —
 და ჩვენი ვქენით, შორეულ ზღვებს არ შევებუეთ,
 ხელთ შიშველი მახვილი გვებყრა,
540. გველეშაპთათვის გამზადებული; და კაუჭები —
 მახვილთევზასთვის
 ის ჩემზე სწრაფად ვერ მიცურავდა
 ბრექაზე ვამბობ —
 და იქვე ახლოს მივყვებოდი
 ხუთი დღე-ღამე
545. ვიდრე ღელვამ არ დაგვაშორა;
 გარს ყინული შემომეხვია,
 მთლად ჩამობნელდა, ცივმა ქარმაც ამოიქროლა—
 ჩრდილოეთიდან უბერავდა — და ტალღები
 აატყლაშუნა,
 გამოეღვიძათ წყლის სიღრმეში მიძინარ ქმნილებათ,
 გამოეღვიძათ, გამოცოცხლდნენ,
550. და სიკვდილისგან ამათლა მიხსნეს,
 მკვრივად ნაჭედმა ჯაჭვის პერანგმა
 და ლითონმა მკერდზე ნაქსოვმა.

უცებ ურჩხული ჩამეჭიდა,
გამაქანა მსწრაფლ უფსკრულისაკენ,
555. ხორცს ჩაფრენილი — ამ ჩემს ხორცში —
ფსკერისაკენ მეზიდებოდა,
ბედისწერამ მაპოვნინა იმისი გული, მახვილით
რომ უმალ გამეპო,
და ჩემთან ბრძოლა ურჩხულისათვის უკანასკნელი
ბრძოლა აღმოჩნდა,
უსიცოცხლო იმისი გვამი ზღვის ზედაპირზე
ავატივტივე.

9

გარს სხვა ურჩხულნი შემომერთყნენ,
560. ყოველმხრიდან შემომიტიეს.
ვმასპინძლობდი, რაც შემეძლო, ბასრი მახვილით.
მაგრამ ნადიმმა ვერ აამათ,
საჭმლით მუცლები ვერაფრით ვერ ამოიყორეს,
ფსკერზე ვიბრძოდით.

565. დილით ნაპირზე გადაწყვიტეს გამოძინება,
ზურგზე იწვნენ, სისხლი მოსჩქეფდათ.
გზის გადაკვეთა — ზღვის ამ გზისა —
მეზგაურებს უკვე შეეძლოთ,
შეეძლოთ ისე, შიში არ ეგრძნოთ; ველარაფერი
შეაჩერებდათ.

და გამოჩნდა ღმერთის ნიშანი,
570. აღმოსავლეთით დავინახე, წყალი დაწყნარდა,
მიწაც გამოჩნდა,
ნაპრალოვანი კლდეები ჩანდა.

ბედისწერა ყველას დაიხსნის, როცა სიკვდილს
დაუსხლტებიან!
ქუდბედიანი ვიყავ თუ არა,
575. ცხრა ურჩხული ხომ მაინც მოვკალ, ცხრა ვეება
ურჩხული დავეც,
ვის უბრძოლია ასეთ წკვარამში, ვის გაუძლია
უფრო მეტი გაჭირვებისთვის,
უფრო მძლავრადაც არავისთვის შეუტევიათ,
ვისხენი ზღვა ურჩხულებისგან,
ვარვარა ყბები მივუნგრე, შინ შემოვიქეც
ნამგზავრ-ნაბრძოლი.

580. სწრაფმა დინებამ დამაბრუნა!
და ფინეთის მიწას მივაღეჭ. არა მსმენია, ჰოი,
ანფერთ,

შენი ამბები,
ასე საშინელ შეტაკებებს რომ მოგვითხრობდნენ,
ასე ბრძოლებს ღამის წკვარამში!
ასე თამამად ბრექასაც კი არ უბრძოლია.

585. ვერც ბრექა, ვერც შენ შემეტოქები,
ქადილი რაა, ყოველგვარ ქადილს სიმართლეს
ვარჩევ.

უფრო მეტს გეტყვი: შენ არ გაძარცვე შენი ძმები,
შენ არ გაძარცვე უახლესი ნათესავები?

ვერ გადაარჩენს შენს სულს სიტყვები, ვერც
ნათელი გონება იხსნის:
ჯოჯონეთის ცეცხლში მოხვდები,

590. ჰოი, ანფერთ, წამებასაც — სამუდამო
წამებასაც — ვერ გაღურჩები.
ყოყლოჩინა ძევ, ექვლაფისა,

ისე მძლავრი რომ ყოფილიყო შენი მკლავები,
შეუბოვარი გულიც გდებოდა,
რომელი ბრწყინი გაბედავდა, შენს დარბაზში
შემოჭრილიყო,
ჰეროთ-სასახლე დაენგრია, უფლისწულნი
ჰმუნვით აღევსო,

595. და გრენდელმა რაკი გაბედა, კიდეც იცოდა,
იოლად რომ მოგეროდათ,
მიხვდა, ადვილად შემოაღწევდა, წინ ვერავინ
აღუდგებოდა;

აკი ბრძოლა არც შეხვედრია,
მხოლოდ ნთქავს და მხოლოდ ნეტარებს.
როგორც უნდა, ისე გაგუჟავთ, უბოდიშოდ
ნთქავს და ნადიმობს

600. თქვენი ხორციით, საფრთხეს არ ელის,
ბრძოლას არ ელის დანიელთაგან.
ახლა გითეები გიჩვენებენ, სიმამაცე როგორი
უნდა,

თავის ტყავზე იწვნევს გრენდელი,
და როცა მზე კვლავ აღმოხდება,
605. ნათელ ღრეებს ააფლვარებს, ყველა შემოვა ამ
დარბაზში დანიელთაგან:

ეს სატანა განიდევნება!“
იჯდა ჰროთგარი ბედნიერი — თმაჭალარა,
მამაცი მეფე,

მოწყალე მეფე, სახელგანთქმული,
ბოლოს და ბოლოს მოჰკლავენ გრენდელს; და
მას ჯეროდა

610. ბეოვულფის გაბედულ ძალის, ბეოვულფის
სულის სიმტკიცის-

გაისმოდა თასთა ჭახუნი, სიცილი და ამო
სიტყვები.

შემდეგ ველთოუ, დედოფალი დანიელების,
წარუდგა გითებს,

ველთოუ თქროსბექდიანი, კეთილშობილი
დედოფალი, გითებს წარუდგა,

615. დედოფალმა, ვინც იცოდა წესი და რიგი, სავსე
თასი მაღლა ასწია

ჯერ ჰროთგარის სადიდებლად
და ჯერ ჰროთგარის სადღეგრძელოდ,
უსურვებდა გულით მოლხენას, ხოლო
ხელმწიფემ

სიამოვნებით შესვა თასი, სუფრა დალოცა.

620. შემდეგ ველთოუ მეომრიდან მეომარზე
გადადიოდა,

უწილადებდა ყველას თასიდან,
უწილადებდა კამკამა თაფლუჭს,
ჩამოატარა ასე თაფლუჭი, ბეოვულფამდე ვიდრე
მივიდა, და ბეოვულფის ჯერი რომ დადგა
მიესალმა მას დედოფალი,

625. ღმერთს მაღლი უძღვნა მისი ლოცვის
შესმენისათვის,

და გაიწოდა ხელნი ველთოუმ.
მისთვის თაფლუჭი რომ მიერთმია, მიერთმია
ბეოვულფისთვის,

ვინც მოსულიყო მისი ხალხის დასახმარებლად,
მის ტანჯული დანიელების,

შესვა ედგეთოს მამაცმა ძემ, ბეოვულფმა
თაფლუჭი შესვა,

630. და დაარწმუნა დედოფალი დანიელების, რომ
მტკიცე იყო მისი გული
მკლავები კი მუდამ მზად იყვნენ:
„როს მოვიდოდით, მე და ჩემი მეგობრები
ზღვას რომ მოვკვეთდით,

უკვე ვიცოდი, თუ რა იყო
ჩემი მიზანი: აღსრულება თქვენი ხალხის

635. კეთილი ნების ანდა სიკვდილი გველეშაპის
ველურ ბრჭყალებში. ნება მიბოძეთ მამაცურად
ვიცოცხო ქვეყნად,

თუ არა, სიკვდილს შევეგებო
აქ, ამ დარბაზში“.

მალამო წასცხო ამ სიტყვებმა დედოფალს
გულზე,

640. დანაქადები ესიამოვნა; მეფეს წაუღო ეს
სიტყვები,
პროთგარს წაუღო, კეთილშობილი ნაბიჯით
რომ დაიძრა მისკენ.

წვეულება კვლავაც გაგრძელდა,
სიცილი და შეძახილები, მეომართა ლაღი მოქცევა
მათ მოლხენას აშკარას ხდიდა. ადგა მეფე,
პროთგარი ადგა, პილფდანის ვაჟი,

645. ძილმორეული ადგა მეფე; და როგორც კი მზე
ჩაესვენა,

პროთგარი მიხვდა, რომ გრენდელი
აქ მოვიდოდა, ამ დიდ დარბაზს ინახულებდა,
როცა ღამე დააფარებდა დედამიწას თავის
საბურველს
და კუნაპეტი და მდუმარე სიბნელე რომ
ჩამოწვებოდა.

650. დანიელებიც ფეხზე ადგნენ,
მეფე ბეოვულფს მიუახლოვდა,
გადაეხვია მამაც უფლისწულს, გულით უსურვა
ყველა სიკეთე,
და მბრძანებლად ის დატოვა, ბეოვულფი,
ჰეროთ-დარბაზში,

თან ესეც უთხრა:

655. „არცერთ უცხოელს ამ მიწაზე,
არ ღირსებია, რაც შენ გიბოძე,
ჯერ არავის ღირსებია ჩემს მეფობაში.

გებარებოდეს ეს დარბაზები,
დაიცავი ბოროტისაგან, გულში მხოლოდ

660. გამარჯვების წყურვილი გქონდეს! და გაწმინდე
ჰეროთ-სასახლე,
გაწმინდე და შენი ხომალდი ამ დარბაზის
განძეულით დაიტვირთება“.

ჭიშკრისაკენ დაიძრა მეფე,
და სამეფო კარი თან მიჰყვა;
წინ მიუძღოდა დედოფალი, მეფე დედოფალს
მიჰყვებოდა, რათა მის გვერდით დაწოლილიყო,

665. დედოფლის გვერდით მოესვენა.
ასე ამბობდნენ, დარაჯი ჰეროთს
თვითონ ღმერთმა მოუვლინაო,
თვით მოიყვანა ბეოვულფი, როგორც მცველი და
როგორც ფარი,

რის შემწეობით მეფე პროთგარს განსვენება
ტკბილად შეეძლო.

670. მტერს ბეოვულფი მზად დახვდებოდა,
ღვთის შეწევნით, თავის ძალით და სიმამაცით.
ბეოვულფმა გაიხადა ჯაჭვის პერანგი,
ჩამოიხსნა მტკიცე მახვილი.

მსახურს მიაწოდა მთელი იარაღი,
საჭურველი მსახურს მიაწოდა,
ბრძანა, დილამდე ედარაჯა საჭურველისათვის.

675. ქვეშაგებში დასაწოლად გამზადებულმა
ასე შესძახა:
„არა, გრენდელი არ იქნება ჩემზე მამაცი
და არც ძლიერი“

ჩემი მახვილი გაფატრავდა, მაგრამ არა,
ეს იოლია. თავხედი და ძალგულოვანი
მებრძოლია

680. ეს გველეშაპი, მაგრამ ვიცი, კლანჭები და
კბილები მისი
ჩემს ფარზე რომ იღრჭიალებდნენ, მისი თათებიც
უიმედოდ შეეხლებოდნენ ჩემს მახვილის ფხას.
შიშველ ხელებით შევებმები — თუ გული არ
შეუქანდება,

როს დამინახავს მომლოდინეს უიარაღოდ,
685. როცა უშიშრად დამიგულეხს. და უფალმა,
ყოვლის გამრიგემ, თვითვე განსაჯოს,

ვის მიანიჭოს გამარჯვება,
ჩვენში რომელი ამოირჩიოს!“
თავი მისდო ბეოვულფმა მოსასვენებლად,
და გითებიც მის გვერდით მიწვნენ,

690. გითნი მზად იყვნენ საბრძოლველად, ზღვა
ამისთვის გადმოელახათ,

ასე სჯეროდათ,
რომ დაჰკარგეს თვისი ქვეყანა, ქალაქები
მაღალკედლებს,
ველარც მეგობრებს იხილავდნენ, აღარც ამის
იმედი ჰქონდათ.

დანიელებზე ფიქრობდა ყველა,

695. გრენდელისაგან ამოუუყულ დანიელებზე, ამ
დარბაზში ამოუუყულ დანიელებზე,
სადაც გითებს ეძინათ ახლა.

მაგრამ ურჩხულის საბედისწეროდ ღმერთის ბაღე
იქსოვებოდა,
საბედისწეროდ ურჩხულისა და გითთათვის
საბედნიეროდ;

განგება გითთა მხარეს იყო,

700. ერთი კაცის სიმამაცით გაიმარჯვებდნენ.
ვინ დაეჭვდებოდა, რომ ღვთის სიბრძნეს, რომ
ღვთის ძალას უპყრია მიწა?
გველეშაპი კი გზას დაადგა, წყვდიადიდან
წამოიშრათა,

გითებს ეძინათ

ტკბილი ძილით ჰეროთ-დარბაზში,

705. ამ დარბაზის იმედი ჰქონდათ, ბოროტისგან
დაგვიფარავსო,

სიკვდილისგან დაგვიფარავსო, ვიდრე მათი ყამიც
დაჰკრავდა,

და სიცოცხლის ძაფს გაუწყვეტდათ. მაგრამ ბეო,
მათი მწყემსი ახლა ფხიზლობდა,

უღარაჯებდა, წყურვილს აღენთო, გველეშაბთან
შეხვედრის წყურვილს,
და მოლოდინს რისხვით აღევსო.

11

710. ჭაობიდან, ნისლიანი მთების ძირიდან,
გუბურებიდან — ღვთის სიძულვილი გულს რომ
ედო —
აქეთ გრენდელი დაძრულიყო, ჰეროთისკენ
მოსრიალებდა,
რათა მოეკლა, სადაც კი ვის მოახელთებდა,
მსწრაფლ მოდიოდა ღამის წკვარამში,
715. ჭაობებიდან დაძრულიყო, ფეხაკრეფით
მოსრიალებდა,
მოსრიალებდა ოქროცურვილ დარბაზისაკენ.
სტუმრებია ჰროთგარის ბინას,
გზა დაესწავლა —
მაგრამ არასდროს არ უნახავს, არც მანამდე და
არც მას მერე
არ უნახავს ეს დარბაზი ასე დაცული, ასე
მტკიცედ ჩაგმანული ჯერ არ ენახა,
720. არც ასე ცივად დახვედრია. მხიარულად
მოსრიალებდა
ჭიშკრისაკენ მიიწევდა, უცბად შეგლიჯა,
გადაამტვრია ურდულები ერთის შეხებით.
განრისხებული შესრიალდა მერე ჭიშკარში,
იატაკზე მისრიალებდა,
725. ღრიალებდა გაცოფებული,

თვალეზი ავად უელავდა,
შემზარავად უბრიალებდა.

- მერე შეჩერდა, მეომრები იწვნენ დარბაზში,
მწკრივად ეძინათ, მოესვენათ ჭაბუკ მეომრებს,
730. გაუნათდა გული გველეშაპს, მზერაც უმაღ
გააფაციცა,
მოინდომა, ამ სხეულთაგან სიცოცხლე რომ
გამოეგლიჯა,
გაუხურდა ურჩხულს გონება,
საქმელზე ფიქრით გაუხურდა, ნადიმზე ფიქრით,
მის მუცელს რომ ამოავსებდა,
ვიგემებო, ასე ეგონა, ბედისწერა სხვაგვარად
სჯიდა,
735. ისე სჯიდა, რომ აქ გველეშაპს,
უკანასკნელად უნდა ევახშმა.
სატანის ნაბიჯს კაცის თვალი უღარაჯებდა,
იწვა, ელოდა,
მისი ბრჭყალები, მაგარი და სწრაფი ბრჭყალი,
რომ დაენახა.
აიტაცა გრენდელმა გითი,
740. იქვე ვინც იწვა, გამოათრია, ნაწილებად
დაუგლიჯა მთელი სხეული
მძლავრი ბრჭყალებით,
ვენიდან სისხლი ამოსწოვა,
ხელ-ფეხი კი ძირს გადაყარა;
გრენდელის კბილებს, უზარმაზარ კბილებს
ურჩხულის, სიკვდილი ასე შეუერთდა.
745. ბეოვულფისკენ წამოვიდა მერე გრენდელი,
ბასრი ბრჭყალებით ჩააფრინდა ბეოვულფს,
თავს რომ იმძინარებდა,

მაგრამ თვითვე ჩაბლუჯა გმირმა,
მძლავრად მოსწია ცალი ტოტი, გრენდელს
ბრწყალები ჰაერში დარჩა.
იგრძნო გრძნეულმა ცოდვისა და ბოროტის
მწყემსმა

750. რომ არსად, მთელს დედამიწაზედ,
ამ საარაკო მკლავთ ბადალი არ იქნებოდა;
შიშმა აავსო, მაგრამ ვერარა
ველარ იხსნიდა ამ მკლავებიდან.
ერთსლა ცდილობდა, გასხლტომოდა,
გაქცეულიყო,
755. თავის ჭაობში მიმალულიყო:
გრენდელს ახსოვდა სულ სხვა ჰეროთი, სულ სხვა
დარბაზი, სულ სხვას ელოდა,
მაგრამ თავის დანაქადებს
არ ივიწყებდა ჰიგლაქის მოყმე,
შემართულიყო, აკავებდა, არ ანებებდა ურჩხულს
გაქცევას,
760. მძლავრად მოწურა უფრო გრენდელი,
ერთსაც ეცადა სისხლისმსმელი თავის დაღწევას,
აღარ სურდა აღარც ხორცი, აღარც სისხლი
აღარა სურდა,
აღარაფერი აღარ უნდოდა გაქცევისა და მიმალვის
მეტი;
ბრწყალებს ველარც კი ატოკებდა, ისეთ მახეში
ჩაჭერილიყო:
765. ძლევამოსილი მუდამ მგზავრობა
ასე ვაგლახად უმთავრდებოდა.
მთელი დარბაზი ზანზარებდა, სახურავი
ექანებოდა,

შიშს დაეზაფრა დანიელები, ორთაბრძოლა არა
წყდებოდა

- უჩვეულო და თავზარდამცემი,
770. გრგვინვა-გრიალი ჰეროთს არყევდა,
მკვიდრად ნაგებს და რკინით მოჭედელს
რათა დარტყმებს არ დაექცია;
ორი სხეული ეხლებოდა ჰეროთის მტკიცე,
მშვენიერ კედლებს;
არც რა დარჩათ დაულეწავი,
775. თუ რამ იდგა, იატაკზე იფანტებოდა,
როს გრენდელი და ბეოვულფი მიაწყდებოდნენ.
ჰროთგარის ნებით მორთეს ჰეროთი,
საუკუნეებს რომ გაუძლებდა;
მხოლოდ ცეცხლი თუ დაბუგავდა,
780. ვარგარა აღში თუ შთაინთქმებოდა
ჰეროთის რკინა, ხე, სპილოს ძვალი.
შეიცვალა უეცრად ხმები,
ისე დაფრთხნენ დანიელები, ქვეშაგებში სულ
ჩაიკარგნენ,
როცა სიბნელე გადაფატრა საზარელმა გმინვამ
გრენდელის,
785. ხმამ ტკივილის და განწირულების,
ცრემლი მოსჩქეფდა გაძაგრულ ურჩხულს,
დაჭიმულ ყელზე ღვარად მოსჩქეფდა
მძლავრ მკლავებს საით წაუვიდოდა,
არ ინახვოდა რომლის მჯობიც დედამიწაზე,
ბეოვულფს საით წაუვიდოდა.

790. კაცთა მძლავრ მფარველს
მანამდე სურდა გველეშაპი ჩაბლუჯული
ჰყოლოდა ხელში,
სანამ სული ამოხდებოდა
ყველას მტერსა და ყველასაგან მოძულებულს
მთელს დანიაში.
წამოეშველნენ ბეოვულფს გითნი.
795. მსწრაფლ გამოძვრნენ ქვეშაგებიდან, მსწრაფლ
მოიმარჯვეს მახვილები,
წინაპართაგან ნაბოძები მახვილები ააპრიალეს,
რათა თავიანთ უფლისწულისთვის, რასაც
შეძლებდნენ, მხარი მიეცათ;
გამამაცურდნენ, მაგრამ ამაოდ, ყოველი მხრიდან
ეძგერნენ გრენდელს
ბოროტეულის სულისაკენ გაეთხარათ იქნებ
ბილიკი,
800. ვერც რა დააკლეს,
თვით უბასრეს და უმტკიცეს რკინას აღარ
ძალუძდა გაეკვეთა გრენდელის კანი,
რადგან გაჩხიბა მახვილები ბოროტმა და ცოდვის
დემონმა,
დაიწყევლა და მოკვდავთ მახვილს ფხა
დაუჩლუნგა.
მაგრამ დარეკა ჟამმა მისმა, გასრულდნენ დღენი
მისნი,
805. მოახლოვდა სიკვდილი მისი;
ჯოჯოხეთში უნდა დანთქმულიყო, აღმუვლებულ
და მასზე უარეს.

- დემონთ მომლოდინე ხელებში ჩავარდნოდა.
ახლა მიხვდა ბოროტისმქმნელი,
კაცთა სიცოცხლის შემმოკლებელი,
810. თუ რა მოიმკო ყოვლისშემძლე ღმერთთან
ჭიდილით;
გრძნობდა, ძალა ეშრიტებოდა,
ბრჭყალებს ველარც კი ატოკებდა, ო, რა
მძლავრად ჩაებლუჯა ჰიგლაქის მოყმეს,
ერთსაც აბორგდა გველეშაპი
ძალის ნიშატიც არ შერჩენოდა, დაიგრიხა
ტკივილებისგან,
815. მხრებზე დააწყდა სისხლიანი კუნთები გრენდელს,
ძვლები დაემსხვრა და დაენაყა.
ბრძოლა გასრულდა, ბეოვულფმა მოიხვეჭა ახალი
ძლევა.
თუმცა გასხლტა მაინც გრენდელი,
ისე იყო დაჭრილი და დაფხავებული, ბუნაგამდე
თუ მიატანდა,
820. ჭაობის ფსკერამდე თუ ჩააღწევდა,
რათა სიკვდილს დალოდებოდა,
ბოლო დღეები დაეთვალა. გულშეგებით გაიღიმეს
დანიელებმა
სისხლიანი ორთაბრძოლა რაკი მოთავდა.
ბეოვულფი, ზღვის გაღმიდან მოვიდა მათთან,
825. ბეოვულფი მამაცი და გამჭრიახი,
მოსპო გაჭირვება, გაწმინდა ჰეროთი;
ბედნიერებით აღვსილიყო,
ისეთი ბრძოლა გადაეხადა.
რაც დაიქადა, აუსრულა დანიელებს დანაქადები,
ვითთა უფლისწულმა მოკლა გრენდელი და

830. ბოლო მოუღო სევდას, ჭმუნვას, უილაჯობას,
 უმწეო ხალხს რომ დასტყდომოდა
 სისხლისმსმელი დემონისაგან.
 გამარჯვება აღარავის ეეჭვებოდა,
 მის დასტურად მალლა ეკიდა,
 ბეოვულფმა რომ გადაჰკიდა,
 835. ურჩხულის მხარი, მკლავით, ბრჭყალით,
 რაც კი მოსთრევდა.

13

- მეორე დილით ხალხი დაიძრა ჰეროთისაკენ,
 დარბაზისაკენ მოდიოდნენ უცხოქვეყნელნი,
 უფლისწულნი, წინამძღოლები,
 840. მოიჩქაროდნენ, რათა ენახათ,
 და ურჩხულის უზარმაზარ, არეულ კვალს თან
 მიჰყვოდნენ.
 უკვირდათ მისი დამარცხება, არ იბრალვდნენ,
 მის ტანჯვასაც არ განიცდიდნენ,
 სიხლიან კვალს მიუყვებოდნენ.
 ტბის ნაპირამდე მიჰყვებოდნენ მის
 დამარცხებულ და ეულ ლტოლვას.
 845. ტბის ნაპირამდე, იმ ბოლო გზამდე,
 სადაც გრენდელმა მიათრია განწირული და
 დაქანცული თვისი სიცოცხლე.
 ირგვლივ წყალი სისხლს შეედება,
 აღელვებდა და აღუღებდა მრისხანე ტალღებს
 მძლავრ ვენებიდან გამოწურული სიმხურვალე
 გველეშაპისა.

850. ბობოქარ ტალღებს დაეფარა მისი სიკვდილი,
 ღრმად ჩაემარხა, სიწყვდიადეში, შესაბრალისი
 აღსასრული გველეშაპისა,
 ჯოჯოხეთი რომ გაიხსნა მის მისაღებად.
 გაიხარა ყრმამ თუ მოხუცმა, ბედნიერი
 მგზავრობიდან
 უკუ მოიქცნენ, შესხდნენ თავის ნასუქ ცხენებზე,
 855. ლალ კვიცებზე და ნელ-ნელა
 ჰეროთისაკენ გამოეშურნენ,
 მოირწეოდნენ ცხენებზე და აღიდებდნენ
 სიმამაცეს ბეოვულფისა,
 იფიცებოდნენ, რომ არსად, მთელს დედამიწაზე,
 მთელს ცისქვეშეთში
 860. ან ზღვათა შორის, არც სამხრეთში, არც
 ჩრდილოეთში.
 არსად არ იყო ბეოვულფის ბადალი მწყემსი
 თავის ხალხისა
 (მაგრამ არავის უფიქრია, ბეო მისთვის
 ედიდებინათ,
 რათა დიდებულ მათ მეფისთვის, ჰროთგარისთვის,
 ნიშნი მოეგოთ!)
 როს ბილიკი მოსწორდებოდა,
 865. ცხენებს ლალად მიაჰყენებდნენ,
 მათი ზურგები, წითელ-ყვითლად, ყავისფერად
 ნაფერადები, მთელს გზაზე ჩანდა.
 დროდადრო კი მოხუცი და ამაყი მოყმე,
 გარდასულ გმირთა სიმღერები ვისაც სმენოდა
 და თვითონაც ხშირად მღეროდა,
 870. ქსოვდა სიტყვათა ნატიფ ბადეს ბეოვულფის ამ
 გმირობაზე,

- ლექსთა შეკვრას ისე ცდილობდა,
სწრაფად და მკვიდრად, პოეტური ხელოვნებით
ცდილობდა შეკვრას,
შექმნისთანავე იმღეროდა ახალ სიმღერას,
ძველ სიმღერებსაც მოიგონებდა —
875. მოგზაურობებს ზიგმუნდისა, და იმ ბრძოლებს
საგვარეულოს
ველსის ვაჟი რომ მართავდა, ძალგულოვანი.
ემშაკეულთა, მოლაღატეთა წინააღმდეგ
ბრძოლების ამბავს,
რის შესახებაც ფიტლას გარდა არვის სმენოდა,
ბიძასთან ერთად რომ იბრძოდა,
880. ფრთხილად უსმენდა მეგობარი, მამაცი მოყმე,
ოდეს ზიგმუნდი ენას ახსნიდა და თვით ჩადენილ
საოცრებებს მოუყვებოდა,
უამბობდა ერთგულ მეგობარს.
უამბობდა გოლიათებზე, მიწის პირისგან რომ
აღგვილიყვნენ
ზიგმუნდის ძალით — იმ დიდებაზეც უამბობდა,
885. იმ სამუდამო დიდებაზეც, მისი სიკვდილის
შემდგომაც რომ არ გაჰქრებოდა,
მედგარ ბრძოლას გველეშაბთან, განძს რომ
იცავდა.
გვერდზე მისწია ხავსიანი, რუხი კლდეები,
გვერდზე მისწია ზიგმუნდმა და გველეშაბთან
მარტო ჩავიდა,
გამოქვაბულში შეაღწია, დრაკონი სადაც
იმალებოდა,
890. გააფთრებით მოუქნია ბასრი მახვილი,

შუა გაკვეთა გველეშაბი, ხორცი გაუბო, მიაჭელა
ტანით კედელზე,
იქ ჩამოჰკიდა, სად ელვარე ხმალი ესვენა,
გველეშაბის ელვარე ხმალი,
მამაცობამ და ძლიერებამ მოახვეჭინა მეფური
განძი,
ოქროსა და მდიდრულ ბეჭდებს დაეუფლა მისი
მარჯვენა,

895. ძვირფასი განძით რომ დატვირთა,
შეაცურა ზღვაში ხომალდი.
ბოლო დრაკონის უსულო გვამი თავის ველურ
სისხლში ჩასტოვა.
არცერთ უფლისწულს, არც წინამძღოლს არა
ჰქონია არც მეტი ძალა,
ან დიდება ან სახელი ზიგმუნდზე მეტი;
900. იზრდებოდა მისი სახელი, განძეულიც სულ
იზრდებოდა.
ამდენი განძი მხოლოდ ჰერმოდს თუ ექნებოდა;
ერთი დრო ხომ ჰერმოდსაც ჰქონდა,
მაგრამ ამყმა ხასიათმა, მარცხმა, მზაკვრობამ,
იუტლანდელებთან განდევნეს იგი: მათ
მახვილებზე დაასრულა თვისი სიცოცხლე.
905. და ეს სიცოცხლე სავსე იყო უბედურებით,
მწუხარება თან რომ დასდევდა,
სულ გასაჭირი რომ მოჰქონდა უბედური თავის
ხალხისთვის,
არად აგდებდა ბრძენთა რჩევებს,
სიმამაცის იმედად იყო.
აურაცხელ განძეულს ფლობდა შობიდანვე მეფე
ჰერმოდს

910. და გულმაგარი მეომრებით სავსე ქალაქებს.
უფუნურებამ უხეშად და ტლანქად აქცია,
ყურს არ უგდებდა აღარავის, მხოლოდ თავისთავს
თუ ენდობოდა,
დაიშასხურა ტანჯვაც, სიკვდილიც: ბეოვულფი
სულ სხვა მოყმეა,
ყველასათვის საყვარელი, სამეგობრო და
მისანდობი;

915. ცოდვებით ჰქონდა ჰერმოდს გული დამძიმებული.
მიჭენაობდნენ ცხენოსნები, რაც კი
შეეძლოთ,
ჩაიარა დილამ, წავიდა.
ჰეროტს მიადგნენ ცხენოსნები,
ყველას ერთი სურვილი ჰქონდა, რომ აღენიშნათ
გამარჯვება ბეოვულფისა.

920. ადგა პროთგარი,
წინ წამოდგა მსლებლებთან ერთად,
ველთოჟც ადგა, რათა გვერდით ამოსდგომოდა.
დედოფალი, მეუღლე მისი,
იმ საოცარი დარბაზისკენ დაიძრა ყველა.

14

925. კიბის თავზე შედგა პროთგარი,
მისჩერებოდა გრენდელის ბრჭყალებს,
გველეშაპის ვეება ბრჭყალებს,
მოოქროვილი გუმბათიდან რომ ირხეოდა.
შესძახა მერე:

„ღმერთს მაღლი ვუძღვნათ! დიდხანს

დაგვზაფრა
ამ საშინელმა ბოროტებამ, სიდუხჭირე თავს
დაგვატეხა;

930. როცა უფალი მოიწადინებს, სასწაულებს სჩადის
უფალი,
საოცრებებს, საკვირველებებს, ეს ქვეყანა ხელში
უპყრია.

მე იმედი გადამწურვოდა,
ლოცვის ილაჯი წამრთმეოდა, არც რას ველოდი,
აღარაფრის იმედი მქონდა, გარდა

ტანჯვა-უბედურების.
935. გავერანდა ჰეროტ-სასახლე, სისხლით მოირწყო,
და ჩვენს ბრძენ ხალხსაც
გადაუწყდა ისე იმედი, აღარაფრის აღარ

სჯეროდა;
აღარც გზა ჩანდა და რას უნდა მოელო ბოლო
უთანასწორო ბრძოლისათვის სატანას და
მოყმეებს შორის, ურჩხულებსა და მეომრებს
შორის.

ეს გზა ერთმა კაცმა იპოვნა,

940. გამოგვეცხადა დანიაში და ღვთის შეწევნით,
ერთმა კაცმა მოიმოქმედა, რაც ვერ შევძელით
დანიელებმა,
უქმი აღმოჩნდა ჩვენი ძალა, ჩვენი სიბრძნე
უქმი აღმოჩნდა.

ქალმა, ვინც შობა ბეოვულფი, ცოცხალია ახლა
თუ მკვდარი,
კარგად უწყოდა ძალი ღვთისა, ღმერთის ჩვენი
მამა-პაპათა,

945. ღვთის სადიდებლად შობა ვაჟი,
მოყმეებს შორის საუკეთესო,
ნება მიბოძე, გულში ჩავიკრა, შვილად მივილო
და შეგიყვარო:

და ეს მშვიდობა გულმხურვალე დანიელთა და
გითთა შორის მარადის დარჩეს.

აჰა, აიღე, რაც შენს სულს და გულს ეამება,

950. შენთვის რა უნდა დამენანოს.

მოყმეებმა, შენ ვერცერთს რომ ვერ გაგიტოლებ,
უხვად მოიმყეს დიდება და
საჩუქრებიც უხვად მოხვეჭეს. თუმც არცერთი არ
შებრძოლებია

ასეთ ურჩხულს, შენ რომ შეები. შენი არის ახლა
დიდება,

სამუდამოდ შენი იქნება. დაიმსახურე სიმამაცით

955. და შენი ძალით. დე გფარვიდეს ღმერთი ისევე,
დღეს რომ გფარვიდა!“

ბეოვულფმა მიუგო მეფეს:

„რაც ჩავიდინეთ, გულმა უბიძვა
ხელებს იმის აღსასრულებლად;

960. გველეშაპთან ბრძოლის ჟინმა მოგვიყვანა აქ,
დანიაში, ჩვენი ძალის გამოცდის ჟინმა,

მსურდა შენი თვალთ გეხილა,

იატაკზე გაჭიმული გრენდელის გვამი!

ჩავეჭიდე მაგრად მის ბრჭყალებს, მაგრად, თავი
არ დამიზოგავს:

აქვე მინდოდა მისი მოკვლა,

965. ჩავბლუჯე ისე, გამსკდარიყო გრენდელის გული,
გახეთქოდა გული გველეშაპს, ბოლო სუნთქვა
აღმოხდენოდა,

მაგრამ ღმერთმა არ დამანება,

ჩაბლუჯული მყავდა გრენდელი, მოახერხა მაინც
გასხლტომა,

გაქცევა მაინც მოახერხა ისეთი ძალით,

970. მხოლოდ შიში რომ შთაბერავდა,

მაგრამ მკლავი აქ დამიტოვა,

ცოცხლად გადარჩა, მაგრამ მკლავი დამინარჩუნა.

გაიხარა, როცა გამისხლტა,

მაგრამ ბოლო დასდგომოდა მის ბოროტ დღეებს,

975. მჭიდროდ მიჰკვროდა ზურგზე სიკვდილი, როცა
გარბოდა,

გულს უგლეჯდა მძაფრი ტკივილი,

ნაბიჯ-ნაბიჯ უბიძგებდა ჯოჯოხეთისკენ.

დაე ცახცახტანილი ტანჯვაში მოხედეს,

დაელოდოს ღვთიურ სინათლეს, საკადრისს რომ
მიუზღავს გრენდელს“.

980. ანფერთს სხვა რაღა დარჩენოდა, დამშვიდდა და
თავი ანება

ბეოვულფის ძველ ბრძოლებზე ქილიკს და დავას,
ვეღარც ქადილი უშველიდა, რადგან საბუთი

მკაფიოდ ჩანდა უფლისწულის ძალგულოვნების,
უზარმაზარი მკლავი გრენდელის

ირხეოდა დარბაზის თაღზე,

985. და ეს ზიზღისაღმძვრელი მკლავი, ბოლოვდებოდა
ფოლადივით მაგარ ბრჭყალებით,

ისე მაგარი, ირწმუნებოდნენ,

უბასრესი მახვილიც კი ვერას დააკლებს,

ვერ მოამტვრევს,

და ვერც გველეშაპს ვერ მოსპობსო,

990. და რაც ბასრ მახვილს არ შეეძლო, ბეოვულფმა
მოახერხა შიშველ მკლავებით.

15

მეფემ ბრძანა გაეწმინდათ ჰეროთ-სასახლე,
მოერთოთ; და ასობით ხელი
ქალისა თუ კაცის ხელები ბრძანების უმაღ
აესწრაფა მოსართავად დიდი დარბაზის,
კედლებს აკრავდნენ ოქრომკედლით ნაქსოვ
ქსოვილებს,

995. სტუმართ სალხენად, მათ თვალისთვის
წყლის დასაღვად. მაგრამ დარბაზი,
სახელგანთქმული,
იყო მთლიანად შელახული და დაღწილი,
ანჯამები გაღუნული, ბუდეებიდან ამოვარდნილი,
ერთადერთი მთელს დარბაზში

1000. თალი იყო შეურყეველი. სისხლიანი დემონი რომ
გარეთ გაიჭრა, თავდავიწყებით გამოუსხლტა,
ბეოვულფის მკლავებს დაუსხლტა, ვერავინ რომ
ვერ გაჰქცევია,
გველუშაპი ბრძოლას გაექცა, შეირცხვინა თავი
ამითი.

ჩვენი წასვლის ჯერიც დადგება.

1005. ღვთის ხელშია ყველაფერი დედამიწაზე.
რაკი ჩვენც წასვლა გვიწერია, ოდესმე წავალთ,
სხეულს წავიდებთ სიკვდილის ცივი სარეკლიდან
მარად ძილისკენ,

რაც ამქვეყნიურ ლხენას მოჰყვება.

მერე ჰროთგარი გზას გაუყვა
1010. დარბაზისაკენ; დრო დამდგარიყო ნადიმისა,
გულსაც ენადიმებოდა,
მანამ არცერთი გამარჯვება
ასე ზეიმით არ აღუნიშნავთ, არც უკეთეს ხალხს
არ აღუნიშნავს.

შემოუსხდნენ სუფრას მოყმენი,
მხიარულობდნენ; ხოლო მეფე და ნათესავი
1015. მისი, ჰროთულფი, სადღეგრძელოს მიირთმევდნენ
ერთმანეთისა,
თასები მაღლა აეწიათ, და საუბარი
თავაზიანი და თბილი ჰქონდათ. მეფე და ხალხი
ერთნი იყვნენ; იმ დროს არცერთი დანიელი

შეთქმულებას არა ცდილობდა,
და არც მზაკვრობა იმალებოდა იმათ ღიმილში.
1020. ალამი უძღვნა მეფემ ბეოვულფს მოოქროვილი,
მორთული დროშა გამარჯვების აღსანიშნავად,
მუზარადიც მიუძღვნა და ჯაჭვის პერანგიც,
უძველესი მახვილიც მისცა,
და ყველაფერი შეომართა თანდასწრებით
მიართვეს ბეოს.

1025. თასი ასწია ბეოვულფმა მადლობის ნიშნად, არ
ითაკილა საჩუქრები
მის წინ მდიდრულად გამოფენილი.
არ გაუცია კვლავ ასეთი საჩუქრები არცერთ
მწყალობელს,
განძი ასეთი სიუხვით და დიდებულებით,
როგორც ჰროთგარმა.

1030. ჩაჩქნის ზარადი სამაგრებით იყო შემკული,

რკალები ერთყა დასაცავად — ვინც ატარებდა —
ხმლის ცემისაგან ფიცხელ ბრძოლებში,
ხოლო ლითონის ბოლოები
მტრის ხელთაგან თავდასაცავად.

1035. მერე შფარველმა მეომართა, დანიელთა
მწყემსმა, პროთგარმა
ბრძანა რვა ცხენის შემოყვანა,
რვა ბედაურის ოქროს აღვირით. ერთს ზურგზე
ადგა.

მოოჭვილი უნაგირი, ნაჩუქურთმევი,
თითქოს მეფის საომარი რაში არისო;

1040. მასზე იჯდა მეფე პროთგარი, როცა საომრად
მიდიოდა,

და ყოველთვის იქით მიჰყავდა,
სადაც ფიცხელი ბრძოლა იყო გაჩაღებული,
სადაც მოყმენი იმუხრებოდნენ.
დაასაჩუქრეს ბეოვულფი ცხენებითა და იარაღით.
მეფე პროთგარმა რაც მიუძღვნა.

1045. თანაც დალოცა, ღირსეულად მოგეხმაროსო.
ასე გასცა დანიელმა განძისმფლობელმა
საჩუქრები იმ ბრძოლისათვის,
მის ხალხისთვის რომ გადაიხადეს
ამით დიდება მოიპოვა, ამ ძვირფასი საბოძვარის
უხვი გაცემით,
მათ თვალში, ვისაც სიმაართლე უყვარს.

1050. და უფრო მეტიც: პროთგარმა ბრძანა
ყოველი გითის დაჯილდოება,

ვინც ბეოვულფთან ერთად მოცურდა და ახლაც
მის გვერდით ვინც იჯდა,
ჯავშანითა და მახვილებით — და იმ გითისთვის,
გველემას რომ ვერ გადაურჩა, ოქრო ფრთხილად
გადაიხადეს.

1055. ბევრს იმსხვერპლებდა კიდევ ურჩხული,
ღმერთსა და გმირის სიმამაცეს ბედი რომ არ
შეეტრიალათ,

მას მერეც, ახლაც
ღვთის ხელს უნდა მიენდოს კაცი
მხოლოდ მის ნებით აღიძვროდეს.

1060. მის ნებას უნდა დაეძებდეს ჩვენი გულები.
ჩვენს ცხოვრებას, ამ წუთისოფელს მოაქვს
კეთილიც, მოაქვს ბოროტიც;
ერთსაც შევხვდებით და მეორესაც.
ღარბაზში არფას ჩამოჰკრეს და

იყო სიმღერა, სიცილი და ამბავთა თხრობა.

1065. იმღეროდა კარის მგოსანი,
მხიარული დანიელები სვამდნენ, უსმენდნენ,
თავიანთ მწვანე სკამებზე მსხდარნი.
და მღეროდა ფინების ამბავს კარის მგოსანი,
ჰნაფს რომ ესხმოდნენ,

თავს ესხმოდნენ გაუფრთხილებლად,

1070. აჩანაგებდნენ დანიელთა ტომს, მეფეს
უკლავდნენ.

ფინის ცოლმა — ჰნაფის და იყო ფინის ცოლი —
მაღე შეიტყო
მისი ქმარი რას სჩადიოდა: ფინის სიტყვებმა,
დათაფლულმა, და გამცემლობამ

- შეიწირეს ქალისათვის საყვარელი ორი
 სიცოცხლე,
 მისი ვაჟის და მისი ძმისა და ორივე შუბმა
 იმსხვერპლა,
 1075. ბედისწერის ხელით ნასროლმა. როგორ
 გლოვობდა!
 და როს გათენდა, მიზეზი ჰქონდა
 მოთქმა-გოდების,
 დაეტირა თავისი მკვდრები, გულგანგმირული
 თავისი ვაჟი
 და მისი ბიძის სისხლიანი ტანი ეტირა —
 ორი კაცისა, ვისაც ძლიერ უყვარდათ იგი, და
 დედოფალიც
 1080. ენდობოდა იმათ სიყვარულს. მაგრამ კარგი დღე
 არ დაადგა არც ფინელთ ლაშქარს,
 წამოეგო ბევრი შუბებზე,
 ცოტა ფინელი თუ გადარჩა და იმათ სცადეს
 შეეტიათ ჰნაფის ყმისთვის, ჰენგესთისათვის,
 გზა დარბაზისკენ გაეკვლიათ. და უცებ ფინმა
 შესთავაზა დანიელებს
 1085. ომის ნაცვლად მშვიდობის სიტყვა:
 რომ ბრძოლა აქ შეწყვეტილიყო, და დარბაზი და
 ტახტი გაეყოთ
 ნახევარი დანიელებს, ნახევარიც ფინის მოყმეებს.
 საჩუქრების დარიგებისას
 ნახევარი ერგებოდათ ჰენგესთსა და იმის
 მოყმეებს,
 1090. სამკაულებიც გაიყოფოდა, ოქროსა და ვერცხლის
 ნადავლი,
 ორივე მხარეს თანასწორად რომ შეხვედროდათ,

- უკლებლივ ყველა გამდიდრდებოდა,
 დამძიმდებოდა ყველას ქისები,
 და ოქრო გულსაც გაუთბობდათ.
 1095. აღიარეს ორთავ მშვიდობა,
 ფინელთაც და დანიელებმაც,
 წმინდა ფიცით დაიფიცა ფინელთა მეფემ,
 ბრძენნი რომ წერენ, ისეთ სიტყვებით,
 მხოლოდ ძმებივით რომ იცხოვრებდნენ ის და
 ჰენგესთი;
 1100. არც თვითონ და არც მოყმეები ზავს არაფრით
 არ დაარღვევდნენ,
 ავს გულში არ გაიტარებდნენ,
 არც დანიელნი გაიხსენებდნენ,
 ფინმა რომ მოჰკლა მათი ბატონი. აღარ ჰყავდათ
 მეფე დანიელთ.
 და დაიფიცა ფინმა ფიცით, მახვილი ჩუმად რომ
 იქნებოდა, მისი მახვილი,
 1105. და ხმას მაშინ ამოიღებდა, თუ ფრიზიელი
 მემორები
 ხელახლა მტრობას გააღვივებდნენ, წარსულს
 თუკი მოაბრუნებდნენ.
 ოქრო მოზიდეს, ცეცხლის ალი ააბრიალეს;
 ჰნაფის სხეული მოიტანეს, დასაწვავად რომ
 შეემოსათ,
 დაასვენეს სხვა სხეულებიც.
 1110. სისხლი ეჩნია ჯაჭვის პერანგებს: მოოქროვილი
 მუზარადები,
 დაჩეხილი და დაჭეჭყილი,
 მრავალბრძოლაგამომვლელი,
 ახლა უქმადღა დაყრილიყო,

- ხოლო გვამებს კი მეომრები კოცონზე წვავენენ!
მერე ჰნაფის დამ,
ცოლმა ფინისა, ცეცხლში მისცა ვაჟის სხეულიც,
1115. ალი, ბიძის სხეულს რომ სწვავდა,
დისშვილსაც მალე მოედებოდა.
კვლავ დაიტირა მოთქმით ქალმა,
დაიტირა და იმღერა კიდევ მკვდრის საბოლოო
სადიდებელი.
დანიელებმა დაასვენეს თავისი მეფე,
1120. ბოლი ავარდა, აღრიალდნენ უცბად მორები,
სკდებოდა ღია ნაჭდევები და დნებოდა თავის
ქალები,
დაბლა სისხლი მოთქრიალებდა,
და ცეცხლის ხარბი დემონები სისხლს სვამდნენ
და ძვლებს აყოლებდნენ,
ვიდრე არ გაჰქრა ყველაფერი.

17

1125. რამდენიმე თავის მოყმე გაუშვა ფინმა,
ნება დართო, ქალაქებსა და სამფლობელოთ
დაბრუნებოდნენ.
ფინთან ცხოვრობდა მთელს ავღრიან
ზამთარს ჰენგესთი,
ფინთან, ვინც სძულდა. გულს დანია არ
ეთმობოდა —
1130. დანია, სადაც არც ჰენგესთს და არც მის
მოყმეებს დაბრუნება აღარ შეეძლოთ,
ვიდრე მძვინვარე ზღვა ბორგავდა,
ვიდრე ღმუოდა,

- ვიდრე ზამთრის ცივი თითები წყლის ზედაპირს
არ გაჰყინავდნენ,
არ შეჰკრავდნენ ყინულის ჯაჭვით. ახალწლამდე
დაცდა ელოდათ,
1135. გაზაფხულისთვის დალოდება, მზის მოსვლას რომ
თან მოჰყვებოდა,
გაზაფხული დაადნობდა ძველი წლის ყინულს,
ოკეანესაც ის თუ გახსნიდა.
აი, ზამთარიც გავიდა და დედამიწაც
გამშვენებდა,
ჰენგესთს თავის სამყოფელი ესიზმრებოდა —
მაგრამ მოვიდა შურისძიება.
სასტიკი მტრობა ჩამოაგდო ჰენგესთსა და მეფე
ფინს შორის,
1140. ფინის სისხლიან მახვილს ის ვერ დაივიწყებდა,
შეთქმულებას იზრახავდა, გეგმებს ქსოვდა,
ელოდებოდა.
ერთხელ ერთმა დანიელმა
კალათში რომ ხმალი ჩაუდო,
ხმალი, რომელიც აშინებდა ფინს და მის მოყმეთ,
1145. დრო დამდგარიყო, მიხვდა ჰენგესთი, ყურში
დანიელთ კვნესა ჩაესმა,
ადგა ჰენგესთი და ჩაარჭო ახალი ხმალი
ფინის მუცელში, მთლად დაჩეხა ფინელთა მეფე
საკუთარ ჭერქვეშ.
დანიელნი წამოიშალნენ,
გულები ჰქონდათ აღგზნებული ფინის ლალატით
1150. და იმ მრავალი უბედურებით, ფინისაგან თავს
რომ დაატყდათ,

დაუმცხრალი ჰქონდათ გულები. და იმ დარბაზში,
სადაც მტერთან ერთად ცხოვრობდნენ,
წითლად მოსჩქეფდა მტრის სისხლი და სხეულები
დაბლა ეყარა,

დედოფალი წამოიყვანეს,
გადარცვეს ირგვლივ ყველაფერი, რაც
მოახელთეს,

1155. მოკლულ მეფეს რაც ეკუთვნოდა,
წამოკრიფეს ყელსაბამები, ბეჭდები და
ჩინებულად ნაკეთები

ძვირფასი ქვები, გემზე დააწყვეს,
თან წაიღეს განძეული, სასურველი ტყვეც
წაიყვანეს,

იმ მიწისაკენ, ქალს რომ ასე ენატრებოდა და იმ
მიწაზე მარტოსული არ იქნებოდა.

1160. მომღერალმა დაასრულა თავის სიმღერა;
მსმენელები სვავდნენ, ხარობდნენ, გუგუნებდა
მთელი დარბაზი.

აშხეფებული სასმისებით მოიჩქაროდნენ
მერიქიფენი. და დედოფალი, მბრწყინავ
გვირგვინით,
გამოჩნდა და მიეახლა პროთგარსა და თავის
ნათესავს

1165. პროთულფს, ერთად რომ დამსხდარიყვნენ, მათი
ძმობა და პროთულფის კარგი სახელი
ჯერ კიდევ არ დარღვეულიყო.
პროთგარის ფერხით იჯდა ანფერთი;

ყველასთვის სანდო,
დაჯერებული თავის ძალაში, თუმც ნათესავთა
სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი.

და ველთოუმ თქვა:

„აჰა, თასი,

1170. ჩემო მეფევ, ჩემო ბატონო! დაე ეწვიოს
ბედნიერება
დანიელთა დიდ ბეჭდის გამცემს; დაე გითებმა
მოისმინონ თბილი სიტყვა შენს ბაგეთაგან,
სიტყვები, მათ რომ დაიმსახურეს!
საბოძვარსაც უხვად გასცემდე, მოწყალე ხელით,
განძს, ლაშქარმა რომ მოგიზიდა ქვეყნიერების
ოთხივ კუთხიდან.

1175. მესმა, რომ გითთა შორის პირველი
ახლა შენს გულში შეილად მიიღე.
მისმა ძალამ გაწმინდა და გადაგვირჩინა
პეროთ-სასახლე:
იხარე მისი სიმამაცით, გული გაიხსენ ან რა არის
ასაღელვები
ხელისგულზე გაქვს ეს სამეფო დასვენებული.

1180. და თუ სიკვდილი მოგებარა, შვილების ბედი ნუ
შეგაშფოთებს,
პროთულფის კალთას იქნებიან შეფარებულნი,
თუ ბედისწერამ წაგიყვანა, ცოცხალია ვიდრე
პროთულფი,
ხომ ვიცი შენი ნათესავის გულკეთილობა,
და სიკეთითვე გადაიხდის იმ კეთილ ამავს, რაც
შენ მისთვის გაგიწევია,

1185. და შენს ორ ვაჟს ისე მოუვლის,
როგორც შენ მისთვის მოგივლია,
მამა როცა გარდაეცვალა და პროთულფი ობოლი
დარჩა!“

მერე მივიდა სავარძელთან, სადაც ისხდნენ
მისი ვაჟები,

ჰრეთრიკი და ჰროთმუნდი ისხდნენ;

1190. მათ შორის იჯდა ბეოვულფიც, გითთა მწყემსი
მათ შორის იჯდა;
დედოფალმა გადაჰკვეთა მათი დარბაზი და მათ
გვერდით წყნარად ჩამოჯდა.

18

აქაფებული თასი მიართვეს, გითთა უფლისწულს
შესთავაზეს;

მეგობრულად ჩამოართვა ბეოვულფმა
შენათავაზი.

ჯაჭვის პერანგი უძღვნეს ბეოვულფს, სამკლავენი
ოქროსი უძღვნეს,

1195. ულამაზესი ყელსაბამიც, რაც კაცს უნახავს.
არსად, არავის საგანძურში,
მსგავსი არსად იბოვნებოდა,
მას მერე, რაც ჩამოეტანა
ჰამას ბროზინგის ყელსაბამი მშობლიურ ქალაქს.

1200. გადაერჩინა ყელსაბამის მკვიდრად მსხდარი
ძვირფასი ქვები,
გადაერჩინა ტყავიც, სულიც ერმრიქისაგან
და ჰამა რომ ღმერთს მიეახლა, ჰიგლაქი ფლობდა
ამ ყელსაბამს,
სვერთინგის შვილიშვილი, დაიცვა ოქროს
განძეული,

მძლავრმა ხელეზმა მოუპოვა ყელსაბამი ჰიგლაქს
ბრძოლაში,

1205. მაგრამ გითთა ამაყმა მეფემ, ბოლოს დაჰკარგა,
რაც მოიპოვა,
როს მეტისმეტმა სიამაყემ ფრიზიელებს
გადაამტერა.

ტანჯვა ითხოვა, მიეგო კიდევ.

ძვირფასი ქვები ხომალდის ფართო ბანზე ჰქონდა
დალაგებული,

თავისი ფარის ქვეშ რომ დაეცა,

1210. მისი სხეულიც, მოელვარე ჯაჭვის პერანგიც,
ის ყელსაბამიც ისე ელაგა,
ტურა მეომრებს იოლად რომ ებოვნათ და
წამოეკრიფათ,
მწყრივებს შორის რომ დასუნსულეზდნენ,
ყველგან გითები გაშოტილიყვნენ, საითაც კი
ყაჩაღები გაიხედავდნენ.

1215. მეომრები ახმაურდნენ და თქვა ველთოთუმ:
„ატარე ეს ბრწყინვალე ქვები საყვარელო
ჩვენო ბეოვულფს;
ყისმათიანო მეომარო, იამე მათით,
დაე ძალა და სახელი შენი
თაობიდან თაობაზე გადადიოდეს, და ამ ორ
ბიჭს უწილადე

1220. შენი ბრძენი და ნაზი გული!
მეხსომება შენი სიკეთე, შენს დიდებას ვინ
დაივიწყებს;

ის იარსებებს სამუდამოდ,
ვიდრე მიწას ზღვა შემორტყმია,
და მის ნაპირს ტალღები და ქარი ეხლება.

1225. იბედნიერე, ვიდრე ცოცხლობ! შენი ყისმათი
ათბობს ჩემს სულს. და ეგ კალთა, ეგ დალოცვილი
შენი კალთა ვადააფარე
ჩემს ვაჟსა და ჩემი მეფის ვაჟს!
აქ ყველა მოყმემ როგორ თბილად ილაპარაკა,
იფარავენ თავიანთ ბატონს, ენდობიან თავის
მეზობელს,

1230. მორჩილი ყმები არიან და ისეთ ხალისით
იბრძოლებენ,
როგორცა სვამენ. დე შენი გული დაგეხმაროს
ჩემი თხოვნის აღსრულებაში!
დედოფალი უკან გაბრუნდა. მეფური ჰქონდათ
სმა-ჭამა და

მოლხენა მოყმეთ, ბედისწერამ ასე ინება,
უგონოები გამხდარიყვნენ. ღამე ჩამოწვა,

1235. დარბაზიდან გავიდა მეფე
და თავის საწოლს მიაშურა,
მეომრები ჰეროთში დარჩნენ,
ჰეროთს უნდა ემასპინძლა მეომრებისთვის.
სკამები აქეთ-იქით გასწიეს,

1240. ქვეშაგები იქვე დაიგეს. და უზომოდ ლულ
ნასვამებს

ღრმად ჩაეძინათ.

იწვნენ, სიკვდილს უღარაჯებდნენ;
ბალიშთა გვერდით მოეღვარე ფარები ეწყოთ,
ტევა არ იყო მუზარადთავან,

1245. შუბები ხელში ჩაებლუჯათ, ჯაჭვის პერანგი
მკერდს უფარავდათ.
ჩვეულებად ჰქონდათ დანიელთ,

მზად ყოფილიყვნენ ბრძოლისათვის მოსვენების
და ძილის უამსაც,
შინა თუ გარეთ, რათა უმაღლეს მომხატარიყვნენ
თავიანთ მეფის დაძახილზე,
1250. იმათ იცოდნენ მეომრული ცხოვრების წესი.

ყველას ღრმა ძილით ჩაეძინა;
ამ მოსვენებას მართლაც უზომო ფასი ჰქონდა
დანიელთათვის,

მათ ამისათვის მსხვერპლი გაიღეს,
ვიდრე გრენდელი თარეშობდა ჰეროთ-დარბაზში,

1255. და ხელთ ეპყრა მთელი დარბაზი, ვიდრე
ცოდვებმა ჯოჯოხეთში არ გაისტუმრა.
იცოდნენ, რომ მოკვდა ურჩხული,
მაგრამ ურჩხული ცოცხალი იყო, გრენდელის
დედა, და სწყუროდა შურისძიება.

დასტიროდა თავის დანაკარგს და გულს მწარე
დარდი უკლავდა,

ის საშინელი დედაკაცი, გრენდელის დედა,

1260. ცივ, ნისლიან ტბაში ცხოვრობდა,
იმ ამბის შემდეგ, რაც კენმა მოჰკლა ძმა თავისი,
მწვინით მოჰკლა თავისი ძმა.

ღმერთმა განდევნა,

გამომშრალსა და უნაყოფო უდაბნოში გაინაპირა,

1265. კაცისმკვლელის დადი დაასვა
და მან შობა ურჩხულთა. მოდგმა, მამასავით
დაწყევლილები:

ასე მოვიდა გრენდელი ჰეროთს,
განდევნილი, მის შესახვედრად, ვინც მას

1270. ელოდა,
მკლავს უთუოდ მოაგლეჯდა ვითთა უფლისწულს,
მაგრამ ბეოვულფს ახსოვდა ღმერთის ძლიერება,
მისი დიდება,

ღვთის მადლს მიენდო,
დახმარება ღვთის მადლს შესთხოვა.
მოჰკლა ურჩხული, ისე, როგორც ღმერთმა
ანიშნა,

1275. ტორი მოჰგლიჯა და აიძულა,
კისრისტეხით გაქცეულიყო სიკვდილის ციგ და
მომლოდინე ხელებისაკენ.

გრენდელის დედა ბუნაგიდან გამოიყვანა
სიხარბემ და დარდიანი გულის წადილმა
შურისძიების საშინელ ვზაზე.
ექებდა ჰეროთს,

1280. სად დანიელებს გულისძილით ჩასძინებოდათ;
მისმა სტუმრობამ დაასრულა დანიელთა ბედის
ღიმილი,

და ბედის ჩარხი უკულმართად შეუტრიალა.
არცერთი მღვდარი, თუნდაც მრისხანე, ჯერ
მამაკაცის ძლიერებით არ აღვსებულა,
კაცის ძალით და სიმამაცით არ უბრძოლია.

1285. შემუსრა მათი ელვარე ხმლები,
მტკიცედ ნაჭედი მახვილები, ტახისთავიანი
მუზარადები;

სცემდა და ჰკვეთდა ბასრი ბრჭყალებით.
ფარი იფარეს მოყმეებმა, მახვილებიც ააელვარეს,
თავი ანებეს მუზარადებს, ჯაჭვის პერანგებს,

1290. იქვე დატოვეს, სადაც მიწვდა მმუსრავი ხელი,
მახვილები დაატრიალეს.
მტერი აჩქარდა, რათა თავი გადაერჩინა,
ერთი მსხვერპლი აიტაცა და მსწრაფლ გაიქცა,
ჭაობებისკენ გაუჩინარდა.

1295. მაგრამ ვახშამი თან მიჰქონდა, ჩაებლუჯა
ღობლიან ტორებს.
მსხვერპლი კი იყო უახლოესი მეგობარი მეფე
ჰროთგარის,
უსაყვარლესი პიროვნება ჰროთგარისთვის
დედამიწაზე;
სახელოვანი მეომარი მოჰკლა ურჩხულმა,
შეუმოკლა სიცოცხლის დღენი. ვითები ვერ
შეაჩერებდნენ:

1300. სხვა დარბაზში მოესვენათ ბეოვულფსა და მის
მოყმეებს,

სხვა დარბაზში ეწვიათ ძილი,
ჰეროთში რომ ყვირილი ატყდა:
გრენდელის დედას მოეტაცა გრენდელის ტორი.
ასე დაბრუნდა დანიაში
მოთქმა-ვაება. იმათ მხოლოდ მკვდრები გაცვალეს,

1305. დანიელებმა და ურჩხულებმა, მაგრამ არავის
გაუმარჯვია,
ორივ დამარცხდნენ!

მოხუცი მეფე, ბრძენი ჰროთგარი
მთლად კანკალებდა სევდისა და სიბრაზისაგან.
დაღუპულიყო უძვირფასესი მეგობარი, მრჩველი
მისი.

1310. ბეოვულფის მოსაყვანად კაცი გაგზავნეს,

მსწრაფლ ეახლა შიკრიკი და ბეოვულფიც
მსწრაფლ გამოცხად
თავისი რაზმით, უკვე ცისკრის ქაში დგებოდა,
საუკეთესო მოყმეები მიაბიჯებდნენ იქით, სადა
ჰროთგარი იჯდა

- და ემღვრეოდა მეფეს გული,
1315. მის წამებას დასასრული რომ არ უჩანდა.
მიაბიჯებდნენ გითები სწრაფად,
მკვეთრად ისმოდა სიჩუმეში მათი ნაბიჯი.
და ბეოვულფმა კვლავ მიმართა ჰროთგარს
სიტყვებით
შეეკითხა დიად ბატონს დანიელების, თუ
მშვიდობით იყო ყოველი
1320. თუ ჩაიარა ლამემ მშვიდად.

20

ასე მიუგო დანიელთა მწყემსმა, ჰროთგარმა:
„ვერას გეტყვი სასიხარულოს! უბედურება ის
დაგვატყდა
დაიღუპა გმირი ეშერი, ერმლაფის ძმა და ჩემ
ყველაზე

- სანდო მრჩეველი, მეგობარი ჩემი, ეშერი,
1325. ბრძოლებში მუდამ ჩემს გვერდით იდგა,
მტრის მახვილებს მიგერიებდა.
მას ჰგავდნენ ნეტა ჩემი მოყმენი,
ჰქონდეთ გულები ისე მამაცი
და ისე ბრძენი! თავს დაგვესხა სხვა გველეშაპს
1330. მოჰკლა ეშერი, გაიქცა და

თან წაიღო იმისი გვამი: ალბათ შესანსლავს,
საზარელი ნადიმის კერძად გადაიქცევა იმისი
ხორცი — და ვინ გაიგებს,
ურჩხული სად დაიმალება?
გრენდელის გამო იძია შური,

1335. შური იძია შენი ძალის, უძლეველი მკლავისა და
გველეშაპის სიკვდილის გამო.
მთელი წელი ნადირობდა დანიელებზე,
მაგრამ შენ მოხველ და მოჰკალი იმავე დღესვე,
კიდევ ერთი მხეცი გამოჩნდა, მისებრ მშვიერი,
გაღუწყვეტია, შური იძიოს,
1340. სურს გველეშაპს და შეუძლია
მეტი ზიანი მოგვაყენოს — ასე იფიქრებს ყველა,
ვინც გლოვობს იმ კეთილშობილს, უხვს,
მოწყალე კაცს,
ყველა გულუხვად გაკითხული ჰყავდა იმ ხელებს,
ახლა გულზე რომ დაკრუფილან.
1345. გამიგონია, რომ ჩემს გლეხებს
მუშაობისას დაუნახავთ ორი ურჩხული,
ჭაობებში ხეტიალობდა,
უზარმაზარი ეს ურჩხულები იქ ცხოვრობდნენ,
იმ ველურ და ტიალ ადგილას.
და როგორც შეძლეს გლეხკაცებმა, ჩემს ბრძენებს
ისე გადმოსცეს რომ
1350. ორთაგან ერთი მღედრი იყო,
ხოლო მეორე, ასე უთქვამთ, დააბოტებდა
კაცივითო,
უმძლავრესი, თურმე, კაცივით.
შეეშინდათ და გამოიქცნენ, დახმარებას ჩვენგან
ელოდნენ.

და გრენდელი მათ დაარქვეს უფრო დიდ
ურჩხულს.

1355. მამა ჰყავდა თუ არა ჰყავდა, არავინ იცის,
არც ის იციან, სხვებიც თუ იყვნენ ამ ურჩხულთა
გამოჩენამდე,

ამათსავით რომ იმალებოდნენ.
იდუმალი ცხოვრება უჯობთ,
ქარიან კლდეში, მგლის ბუნაგებთან, სადაც
წყალი აწყდება კლდეებს

1360. და მიწის ქვეშ ჩაედინება, ჩაედინება, ნისლი
სადაც

შავ ღრუბელსა ჰგავს, ტბის ნაპირს კი
ირგვლივ ხეები შემორტყმია, წყლის ზედაპირი
შეყინულია,
ქარი სისინებს, მთელს მიდამოს ზანზარი გააქვს,
ბნელს მოუცავს იქაურობა.

1365. ჩირაღდანავით იწვის ტბა ღამით.
მისი სიღრმე არავინ უწყის,
ვერვის გონება ასეთ სიღრმეს ვერ ჩასწვდომია.
ძაღლებისაგან დევნილ ირემს,
ხარირემს, დიდრონ რქებით შემკობილს

1370. დაქანცულ ირემს ურჩევნია ნაპირას მოკვდეს,
ვიდრე სიცოცხლის გადარჩენა
წყალში ეძიოს. შორს კი არ არის,
სანახავად უამურია. ქარი ღმუის და
ქარიშხალი ისე მძვინვარებს, რომ ტალღები
ცასა სწვდებიან.

1375. წყვდიადშია სუყველაფერი, ჰაერიც, წვიმაც.
ზეცა ტირის. ჩვენი იმედი
მხოლოდ შენლა ხარ. დაიმალა გრენდელის დედა

თავის საშინელ სამყოფელში. შენ რომ არასდროს
არ გიხილავს. თუ გაბედავ, მიჰყევ იმას,

გადაგვარჩინე,
1380. ამ ერთხელ კიდევ გვიხსენი და რჩეული ოქრო,
უძველესი განძეული მოგენიჭება
ამ ბრძოლაში გამარჯვებისთვის!“

21

თქვა ბეოვულფმა:

„ნულა ვალალებთ! უმჯობესია
დაღუპულთათვის შური ვიძიოთ,

1385. ვიდრე ვიგლოვდეთ გაუთავებლად.
ქვეყნად არცერთი კაცთაგანი სიკვდილს ჯერ არ
გადარჩენია,
ვინც სახელს ეძებს, ჰპოვებს კიდევც,
სხვა რა დაგვრჩება სიკვდილის შემდგომ, სახელი
მხოლოდ,

ნუ ვაყოვნებთ, ქუდზე კაცს უხმეთ,
1390. გავეჩქაროთ, რაც შეგვიძლია,
თვალი შევაგლოთ ერთი გველეშაპს,
გპირდებით, ვერსად დაგვემალება,
ვერც მიწაში ვერსად ჩაძვრება, ვერც ხის წვერზე
ვერ აგვისხლტება,
ვერც ტბის ფსკერზე გაგვეტრუნება, სადაც
დღემდე ცოდვებსა ფარავს,

1395. მხოლოდ ერთ დღეს მოგიწევთ დარდი,
არა მგონია, მეტი დამჭირდეს.“
ზე წამოიჭრა მოხუცი ძეფე,

- ღმერთს მადლი უძღვნა ეს სიტყვები რომ
მოისმინა.
- პროთგარის ცხენი მოიყვანეს მისივ ბრძანებით,
შეკაზმული ცხენი მოჰგვარეს,
1400. ამხედრდა ბრძენი წინამძღოლი დანიელების,
ყოვლით შემკული და დიდებული, გაიყოლია
მებრძოლები და
გველუშაპის ნაკვალევს მიჰყვნენ.
კვალი ტყეზე გადადიოდა. მიჰყვებოდნენ ღრმა
კვალს ურჩხულის,
1405. კვალი გაუძღვიათ უკაცრიელ ადგილებისკენ,
გველუშაპმა რომ აწოწიალ
გვამი პროთგარის ერთგული კაცის.
გადაიარეს მალალი და კლდიანი მთები,
ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით
გადაიარეს, უწინ არც ერთს რომ არ ეხილა,
მერე ჩაჰყვნენ დამრეც კბოდეებს, სადაც
ბნელეთის ქმნილებან
1410. ნაპრალებში შეყუყულიყვნენ.
წინ მიუძღოდათ პროთგარი ცხენით,
ერთგულ მებრძოლთა პატარა გუნდით
გზას მიიკვლევდა.
მერე უეცრად, სადაც ხეები ცივი, რუხი
ქვებისაკენ წაფერდილიყვნენ,
1415. დაბურული ტყე შემოეყარათ.
ხოლო ტყის ქვემოთ ტბას რომ წააწყდნენ,
სისხლიანსა და პირზე დუჟმომდგარს, ისე
დააფრთხო დანიელს
ფრიალო კლდეზე წამოცმულმა ეშერის თავმა,
და ვაჟკაცები ისე წახდნენ,

1420. ოხვრა აღმოხდათ, შესაბრალისად ააკანკალათ.
დასცქეროდნენ ტბას, და მის სიღრმიდან
ამომავალ ოხშივარს გრძნობდნენ,
აკვირდებოდნენ სისხლიანი ტალღების ტრიალს,
საბრძოლო რქებს ჩაჰბერეს უმაღ,
კიდევ ჩაჰბერეს და იარაღი დაბლა დაუშვეს.
1425. ხედავდნენ, ტბა გველებს გაეცსოთ,
ჯადოსნური მცურავები სხმარტალებდნენ
მღულარე ტბაში,
კლდეებზე კი ზღვის ცხოველები გაწოლილიყვნენ.
იმათი ჯიშის, ოკეანეში რომ ჩნდებიან გამთენიისას,
და ხშირად ხომალდები მათ ყბებში რომ
ამთავრებენ მოგზაურობას.
1430. საბრძოლო რქების ხმა რომ მოესმათ,
გაშმაგებული გრგვინვა-ღრიალით თვალს
მიეფარნენ.
ბეოვულფმა ისარი სტყორცნა,
და ერთ ურჩხულს, ზოზინ-ზოზინით ვინც
მიფორთხავდა
გულს განუწონა.
1435. და სხვა ურჩხულთა კვალის მაგიერ სიკვდილს
გააყოლა.
რათა ჯერ ისევ სულთმობრძავი არ გაჰქცეოდათ,
კაუჭიანი შუბები მოსდეს დანიელებმა
განგმირულ სხეულს
და მიწაზე ამოათრიეს,
და ციცაბოზე ამოათრიეს,
1440. გარშემოადგნენ და თვალთ ჩხრეკდნენ საზარელ
მცურავს,
უცნაურ ქერცლს რომ დაეფარა.

ბეოვულფმა კი ერთხელ კიდევ შეიმოწმა ტანზე
აბჯარი,

სიკვდილის არა შინებია, ეს იცოდა რომ
მკვიდრად ნაქსოვ ჯავშანსა და ნაქედ ბექთარს

1445. შეეძლო ეხსნათ მისი სიცოცხლე, როცა ტბაში
ჩაეშვებოდა.

აბჯარს უნდა დაეფარა ლორწოიანი ურჩხულების
ბრჭყალებისაგან

და იმ ბრძოლისთვის შემოენახა, აქეთ რისთვისაც
მოისწრაფოდა-

თავს ჰროთგარის მუზარადი წამოიხურა,
მამა-პაპათა ნატარები მბრწყინავი განძი,

1450. მტკიცე რკინით რომ უცნობ მკედელს
შემოერკალა,

ვისაც ხელები გულზე ჰქონდა დაკრეფილი დიდი
ხანია,

გაუძლებდა ყოველგვარ მახვილს, ვერც ბასრი
ბრჭყალი ვერ გაჰკვეთავდა

ტბის ფსკერისკენ რომ ჩაცურდებოდა,
სისხლიან წყალში რომ ჩავიდოდა.

1455. და ტბის სიღრმეში მოტრიალე ქვიშებისაკენ
გაცურდებოდა-

ბეოვულფს ანფერთი შეეშველა, ჰროთგარის
მცველი,

მისცა მახვილი სახელგანთქმული, ტარშემკული,
ბევრგზის ნაცადი,

ჰრუნთინგი რომ შეერქმიათ.

მას სისხლით ნაწრთობ და მოელვარე რკინის
პირზე

1460. ტვიფრი აჩნდა და ვისაც კი უტარებია,

მამაცს, გამბედავს, თუკი სადმე მოუქნევია,
თუნდაც საშიშარ შერკინებაში,

არავისათვის უმტყუნია. ბეოვულფს პირველად
როდი მიჰქონდა,

შეწევნა ადრეც უთხოვია მტერთან ბრძოლაში,
რათა სახელი მოეხვეჭა.

1465. ანფერთმა სცადა დაევიწყა ბეოვულფთან
შეკამათება,

მთვრალი, არეულ-დარეულად თუ რას როტავდა,
მან გაუწოდა მძლავრი მახვილი მასზე უკეთესს,
ტბას ბეოვულფი თუ შებედავდა.

ანფერთი შეკრთა და ხელიდან გაუშვა ბედი

1470. სახელის შოვნის, ტბაში ჩასული

გმირის სახელით ამოსულიყო-

ხოლო შიში და ბეოვულფი ერთ-ერთს ვერ

სცნობდნენ,

ტბას ბეოვულფი თუ შებედავდა.

22

თქვა ედგეთოს მამაცმა ვაჟმა:

1475. „ბრძენო მეფევ, დაიმახსოვრე,

საფრთხე ახლოა და ამ საფრთხემ მათქმევინა

ცხელი სიტყვები,

და შენი მტერი მომისწრაფებს თუკი სიცოცხლეს,

ღირსეულო მეფევ იყავი

სამუდამოდ მათი მამა, მათი მფარველი,

ვინც დარჩებიან

1480. ჩემს დალუპვის მერე შენს ხელში,
ჩემი ძვირფასი მეგობრები, უწინამძღოლოდ
დარჩენილები.

და ის განძი კი, მე რომ მიძღვენი,
პიგლაქს მიაღწევი, გითთა მეფეს, ის დაინახავს,
დიდი ბატონი, ამ განძეულს როცა შეხედავს,

1485. რომ დანიაში
ღირსეული მფარველი ვბოვე,
მფარველი, ვისმა საჩუქრებმაც დიდად მაამა.
ჩემს სახელგანთქმულ ძველ მახვილს კი
ანფეროს ვუტოვებ, მე ჰრუნთინგის იმედად
ვრჩები,

1490. ტბაში სახელს ვბოვებ, ან სიკვდილს“,
ეს სიტყვები როცა აღმოთქვა,
ტბაში ჩაეშვა ბეოვულფი, არავის პასუხს არ
დაელოდა,

და უმაღლვე ტალღამ დაფარა,
წყალში თანდათან გზას მიიკვლევდა, ვიდრე
ფსკერამდე არ მიაღწია.

1495. ფსკერის ლამზე ფეხი რომ დასდვა,
წამსვე შენიშნა ხარბმა ურჩხულმა,
ასობით წელი ამ მიდამოს ვინც განაგებდა,
შეამჩნია, რაღაც არსება
ქვემოთ როგორ მოისწრაფოდა,

1500. ფსკერისკენ როგორ ეშვებოდა, გველეშაპის
სამყაროსაკენ
მოსულს ბრჭყალები შეაგება, გააფთრებით
ჩაბლუჯა, ოღონდ

ვერარა ავნო,

ბრჭყალებით სცადა გაეფხრიწა მისი მკვიდრად
ნაქსოვი ჯაჭვი,
მაგრამ ამაოდ ღრჭიალებდა და იკაწრებოდა.

1505. მერე ჩაბლუჯა აბჯრიანა-მახვილიანად
და ბუნავისკენ წააწიალა,
სცადა მახვილი ამოეძრო, ძერაც ვერ უყო
მახვილს ბეოვულფმა;
ამ შეტაკებამ მოიზიდა სხვა ურჩხულები, რათა
ენახათ

თუ რა ნადავლი ჩაებლუჯა ზღვათა მბრძანებელს,
1510. როგორ კაწრავდა მის ჯაჭვის პერანგს, ვეება
ეშვებს როგორ უყრიდა,
საღღაც როგორ მიაქანებდა. საბრძოლო
დარბაზში რომ შეათრია,
იქ დაუსხლტა ურჩხულს ბეოვულფი,
აქ წყლის მხურვალეა ველარ ატანდა, აქ სხვა
ურჩხულები ვერ შემოაღწევდნენ,

1515. ირგვლივ სინათლე იღვრებოდა,
ტბა ცეცხლის ალივით კაშკაშებდა,
როცა დაუსხლტა ბეოვულფი ზღვათა ჯადოსანს,
ურჩხულის თავს გაუსწორა მძლავრი მახვილი,
დატვიფრული მახვილი გაუსწორა

1520. და დაჰკრა.
რკინამ იმღერა თავის სიმღერა, ბეოვულფის
ძალას უმღერა,

მაგრამ ვერ გასჭრა სატანური კანი ურჩხულის,
ამ კანს მახვილი ვერ გაჰკვეთავდა,
ჰრუნთინგი ზიანს ვერ მიაყენებდა,
25. უსარგებლოდ იქცა ჰრუნთინგი.
მაშინ შეება ურჩხულს ბეოვულფი,

ურჩხულს კლანჭები ჩაესო მისთვის, ბრდღვნიდა
ბუოვულფს, კაწრავდა, გლეჯდა,
სულ დაუფლითა მუხარადი, მახვილივით იმანაც
უმტყუნა,
თავის მფლობელს ვერა არგო რა, უკანასკნელად
ეხურა იგი,

1530. მაგრამ ბუოვულფს სახელი სწყუროდა, იგი
გველეშაპს თვით მიეტანა,
სადღაც გატყორცნა ბრაზით მახვილი,
სადაც დააგდო, იქვე დატოვა.
რადგან ნაცადმა მახვილმა უმტყუნა, მკლავებით
უნდა ეცადა ძალა,

თითების ძალა უნდა ეცადა.
1535. ვისაც სახელი სწყურია, არაფერს შეუშინდება.
მხარში ჩაავლო ხელები ურჩხულს,
სიშმაგემ ძალა გაუორკეცა,
დასცა გრენდელის გრძნეული დედა,
ქვის იატაკზე დაანარცხა, ამაყმა მწყემსმა,
1540. ის იყო ბოლო უნდა მოელო, წამოიტოქა მაინც
ურჩხული,

კვლავ ჩაასო ბასრი ბრჭყალები,
კვლავ გასაგლეჯად წაეტანა.
გმირს არაქათი გამოეცალა, ყოველთა მჯობნს.
არაქათი გამოეცალა,
დაბარბაცდა და უღონოქმნილი ურჩხულმა ხელა
მიწას გააკრა

1545. ქვეშ ამოიღო, ზედ გადააწვა
და ხანჯალი გააშიშვლა, სისხლში ნალბობი,
რათა ერთადერთ ვაჟისათვის შური ეძია.

ზურგზე დაცემულს სცემდა ხანჯალს ჯაჭვის
პერანგზე,

მკერდს რომ იცავდა,
1550. ხანჯალს გაუძლო ნაჭედმა რკინამ,
ვერცრა იხსნიდა ედგეთოს ვაჟს, ის პერანგი რომ
არა სცმოდა,
ტბიდან ველარ ამოაღწევდა, სიკვდილის გზას
დაადგებოდა.

მაგრამ ყველაფერს ხედავს უფალი,
იგი განსჯის მრუდსა და მართალს,
1555. კეთილს ანიჭებს გამარჯვებას,
კვლავ ფეხზე დადგა ბუოვულფი, კვლავ მიეტანა
ურჩხულს საომრად!

23

კედელზე მძიმე საჭურველი ჩამოეკიდათ,
გოლიათთა გამოჭედილი მძლავრი მახვილი,
ყოველთა მჯობი, შელოცვილი მათივ ჯადოთი,
1560. უბრალო კაცი ვერც კი დასძრავდა
უცხოოდ შემკულ, ნაკეთებ მახვილს.
მისწვდა, იშიშვლა ბუოვულფმა გოლიათთა

ნაქონი ხმალი,
მილეწ-მოლეწა ის ჯაჭვები, მახვილს რომ ება,
გააფთრებულმა და მრისხანემ, თავდავიწყებით
მაღლა შემართა,

1565. დაჰკრა კისერზე, რაც შეეძლო,
ძალა რაც კი შემორჩენოდა
ძვალი, რბილი ერთად გაჰკვეთა,

ბუოვულფი

ქვე დაენარცხა გველეშაპის გრძნეული დედა,
ბეოვულფმა სისხლში ნაფერი ხმალი
შესტყორცნა.

1570. ბეოვულფმა გამარჯვების ყიჟინა დასცა.
კაშკაშა შუქი გადმოედგარა ირგვლივ ყველაფერს,
თითქოს რალაცა ენთო, იწვოდა,
ისე ელვარე როგორც სანთელი, დანთებული
მალლა ზეცაში,
კედლებს გაუყვა ბეოვულფი, გველეშაპის ბინა
მოხსრიკა.

1575. ხელში ეპყრა მტკიცედ მახვილი,
კვლავ მრისხანებით აღვსოდა გული,
ის მეორე ურჩხულს ეძებდა საბოლოო
შურისგებისთვის.

იმ ბოროტი თავდასხმებისთვის,
იმ ღამეული შემოჭრებისთვის,
1580. პროთგარის ხალხს მუსრს რომ ავლებდა
ქვეშაგებშივე ჰკლავდა მძინარეთ,
იქვე სანსლავდა, თხუთმეტი თუ მეტი შეჭამა,
ერთსაც უმალ აიტაცებდა,
თავის საზარელ ბუნავისკენ გააქანებდა.

1585. ღირსად მიაგო ბეოვულფმა,
კუთხეში ჰპოვა, მიკუნჭული,
აქ ჩამკვდარიყო ჰეროთიდან გამოქცეული,
მრისხანე მებრძოლს ერთის დარტყმით თავი
მოჰკვეთა.
უკანასკნელად შეაკანკალა გველეშაპის უთავო
ტანი, გაშეშდა მერე.

1590. ბრძენმა, მოხუცმა მეომრებმა, პროთგარს რომ
ახლდნენ,

ტბას მისებრ რომ ჩასჩერებოდნენ,
აზვირთებული ნახეს ტალღები, ამოხეთქილი
იხილეს სისხლი.

სიტყვა დასძრეს და ბეოვულფი
ახსენეს და აჩურჩულდნენ ჭაღაროსნები,
1595. თქვეს, იმედი განგვიქარდაო,
გმირს დაუკარგავს სახელი და სიცოცხლე ერთად,
ვედარასოდეს დაბრუნდება მოზეიმე,
როგორც დაგვცილდა; თითქმის ყველამ
დასტური დასცა,
რომ ბეოვულფი შეიწირა გველეშაპის მძვინვარე
დედამ.

1600. მზე გადიწურა, ჩაესვენა,
დანიელები აიშალნენ, ტბა მიატოვეს,
და შინისაკენ გაეშურნენ, პროთგარიც მიჰყვა.
დარჩნენ გითები, მწუხარენი, ტბის ზედაპირს
აკვირდებოდნენ,
თავისი მწყემსი ელანდებოდათ, მისი ხილვის
იმედი კი გადასწურვოდათ.

1605. გადნა მახვილი, სისხლისაგან გაქლენთილი
მახვილი გადნა და წყალივით ძირს დაეწვეთა,
გაჰქრა ისე, როგორც ყინული,
როგორც მსოფლიოს მბრძანებელი უხილავ კრავს
თვალხილულსა ხდის
და ლოლუებს ყინულისას ათავისუფლებს,

1610. და რაც მხოლოდ მას შეუძლია,
ვინც ჟამსა და წელიწადის დროებსა მართავს და
ვინც ღმერთია ჭეშმარიტი.
მდიდრული განძით იყო სავსე
ურჩხულის ბინა, თუმც ბეოვულფმა

გრენდელის თავი წამოიღო და გოლიათთა ნაჭედ
ხმლის ტარი;

1615. დანარჩენი ნაჭედი რკინა,
ადუღებულ სისხლს დაედნო გველეშაპისა,
მის სიკვდილის მერეც რომ დუღდა.
ბეოვულფმა, ცხარე ბრძოლას გადარჩენილმა,
ამოსცურა, გამოერიდა გველეშაპთა მღუმარე
გვამებს;
1620. წყალი გახდა მშვიდი, კამკამა,
ტბა დაწყნარდა უზარმაზარი,
რადგან დემონებს ბოლო მოეღოთ.
მფარველი ყველა ზღვაოსანის,
ამოცურდა მერე ნაპირთან, იხარებდა იმ მძიმე
ტვირთით
1625. თან რომ მიჰქონდა,
ძღვევამოსილმა გითთა რაზმმა,
ღმერთს მალღი უძღვნა ბეოვულფის უვნებელი
დაბრუნებისთვის;
- ტბა მიატოვეს.
ბეოვულფის მუზარადი მოჰქონდათ გითებს,
ბეოვულფის რკინის პერანგი.
1630. მათ უკან წყალი სქელდებოდა,
რადგანაც სისხლი ურჩხულისა ამოჩუხჩუხდა.
გითები სწრაფად მიაბიჯებდნენ, გზას ბედნიერს
მიიკვლევდნენ,
- ეს სავალი ყველას ახსოვდა,
ტბას გამოსცილდნენ, გამოსცილდნენ
ფრიალოებსაც
1635. მამაც მოყმეებს ატორტმანებდათ გველეშაპის
თავის სიმძიმე

ოთხზე ნაკლები ვერ ატარებდა —
ორ-ორ ვითს ჰქონდა შუბი გაყრილი ორივე
მხარეს —

- ამაყობდნენ მახინჯი ტვირთით,
დანიელების სანახავად მიჰქონდათ იგი.
1540. თოთხმეტი გითი ჰეროთ-დარბაზს მიუახლოვდა,
მამაცნი და გაბედულები, ბეოვულფის
წინამძღოლობით,
გაიარეს შუა დარბაზი, მწვანე დარბაზი გაიარეს.
მერე შევიდა ბეოვულფი
ჰეროთ-დარბაზში, განდიდებული იმ გაბედულ
ბრძოლების გამო,
1645. ახლახან რომ გადაიხადა: ჰროთგარს ეძებდა,
რათა ეძღვნა სალამი და გრენდელის თავი
მიერთმია.
- თმით მიათრევდა საშინელ ნადავლს,
იქ მიიტანა, სადაც ისხდნენ დანიელები,
სადაც სვამდნენ და დედოფალიც მათ შორის
იჯდა.
1650. ეს იყო მართლაც საოცარი სანახაობა და
მეომრები მიაჩერდნენ განცვიფრებულნი.

თქვა ბეოვულფმა:
„ჰროთგარ! შეხედე,
შეხე დიდი ჰილფდანის ვაჟო, გამარჯვების
დიდებულ ნიშანს,
შენთვის გითებს რომ მოუერთმევიათ.

1655. მისთვის სიცოცხლე კილამ დავთმე,
წყალქვეშ ბრძოლისას: მე დაღუპვა არ
ამცდებოდა,

გაიმარჯვებდა ძუ სატანა,
თუკი ღმერთი არ შემწეოდა.

პრუნთინგიც კი ვერაფერს გახდა, ვერაფერს
გახდა მძლე მახვილი,

1660. და მეც ვერაფერს გავხდებოდი, ვიდრე თვითონ
უზენაესმა

არ მიმანიშნა მოლაპლაპე და მშვენიერი
უძველესი, მძლავრი მახვილი, კედელზე რომ
ჩამოეკიდათ —

ასე ანიშნებს ღმერთი ხოლმე გასაჭირში
ჩავარდნილ მოყმეთ.

მივეტანე მაშინვე მახვილს,
1665. გავაშიშვლე და დავკარ ურჩხულს, მოვკალ იქვე
მისსავე ბუნაგში.

მაგრამ დაადნო მდუღარე სისხლმა
იმ მახვილის ნაჭედი რკინა.

რაც გადარჩა, ის წამოვიღე, ტარი გადარჩა.

1670. შური ვიძიე ურჩხულებზე, დანიელთა შური
ვიძიე.

და ჰეროთში ვინც დაიძინებს —

შენ თუ შენი მოყმეები,

ან რომელიმე დანიელი, მოხუცებული თუ
ახალგაზრდა

მშვიდად იძინოს, ნუ ექნება

1675. ურჩხულთა შიში, ნურც დედის და
ნურც ვაჟიშვილისა.

და მან გადასცა ოქროს ტარი

ჰროთგარს, რომელმაც თავის დამჭკნარ ხელით
აილო

და დააცქერდა გოლიათთა ნახელავს, მერე

1680. ხელთ ურჩხულებს რომ ჩავარდნოდათ; ეს

უძველესი იარაღი

საოცარ მჭედლებს გამოეჭედათ; მიტომ შემუსრა
გრენდელი და გველეშაპის გრძნეული დედა.

ღმერთის მტრები იმიტომ მოსპო. ეს უკეთესი
მახვილთა შორის ეკუთვნოდა დანიელთა შორის

უკეთესს,

1685. მბრძანებელსა და უბრძენეს მფარველს,

რაც დანიელებს სცნობებიათ. მოხუცი მეფე
დაკვირვებით დასცქეროდა ტარს უძველესი

ხმლის ნაშთისა,

და შენიშნა ზედწარწერილი ამბავი ძველთა

ბრძოლებისა

კეთილსა და ბოროტს შორის, ამბავი წყლის

მოძალებისა,

1690. წარღვნის ამბავი, რომ განდევნა გოლიათები,

როგორ იტანჯა

და თუ ვითარ მოისრა მოდგმა, ღმერთი რომ

სძულდა

და სასჯელი მისგან ეწვია,

მღელვარ ტალღებად დაეწია, ყველგან მისწვდა,
სადაც გაიქცნენ. და რუნული ასოებიც ნახა

ჰროთგარმა,

1690. ამ მოელვარე ტარზე ნათლად ამოკვეთილი,

ნამდვილ პატრონზე რომ დაღადებდნენ,

მასზე, ვისთვისაც გამოჭედეს, ტარდაგრეხილი

და დატვიფრული. ყველა გაჩუმდა
და ასე თქვა ჰილფდანის ვაჟმა:
1700. „ვიტყვი, რასაც მათქმევეინებს მესხიერება
და სიცოცხლე, განვლილი იმის ძიებაში,
თუ რა ჯობდა ჩემი ხალხისთვის:
რომ უფლისწული ბეოვულფი უკეთეს კაცად
დაიბადა!

შენი დიდება ყველგან წვდება, ძმობილო ჩემო,
1705. დედამიწის კიდევს აღწევს, გულში ბრძნულად
დაიმარხე ჩემი სიტყვები,
გაუფრთხილდი შენს ძალასა და ჩვენს სისუსტეს.
შევასრულებ, რასაც დაგპირდი.
ჩვენ მეგობრობა შევფიცეთ და რაკი შევფიცეთ,
შენს ხალხს შენვე თუ დაამშვიდებ.
მე აღარაფრის ძალა არა მაქვს.

1710. ჰერმოდისთანა ნუ გახდები ჩემი ხალხისთვის,
ამპარტავანი
რომ არაფრად არ აგდებდა მათს გულისპასუხს,
მოჰქონდა მხოლოდ ნგრევა, სიკვდილი,
მრისხანებისას ხოცდა მეგობრებს,
ვისთან ერთადაც დროს ატარებდა.
1715. ბოლოს დარჩა მთლად მარტოდმარტო, ვედარ
გრძნობდა ყოფის სიხარულს,

სახელოვანი მმართველი იყო,
ძალით ყველაზე აღმატებული,
მაგრამ სულით სისხლისმსმელი და გულბოროტი
განძს არავის უნაწილებდა,
1720. გზას არავის უჩვენებდა სიმდიდრისა და
სახელისაქენ.

და შემდეგ ამ უბედურებამ, დანიელებს რაც
დაატეხა,

ცოდვის სიმძიმემ ძლიერ დატანჯა.
მაგალითად გამოგადგება, მეფე როგორი უნდა
იყოს, ასე ისწავლე:

ეს ამბავი შენთვის მოგყევი,

1725. ეს ამბავი, ჩემსავით ძველი.

უზენაესი აჯილდოებს
ზოგიერთს სიბრძნით, ზოგს სიმდიდრით, ზოგს
ძალითა და ძლიერებით.

უფალს ეკუთვნის ეს ქვეყანა, და ნებასაც უფალი
აძლევს

კაცს, რომ სახელი მოიხვეჭოს, ანდა ქონება,

1730. აძლევს მიწასა და ქალაქებს საბრძანებლად,
ანებიერებს და მის სამეფოს

სამყაროსავით დიდხანს აცოცხლებს —

და უვიცებს განათუ ახსოვთ, ღვთის წყალობა
თავზე რომ დასდით,

ეს ყველაფერი რომ დასრულდება და
დასრულდება ძალიან მალე?

1735. კეთილდღეობა მხოლოდ დნ მხოლოდ; სხვა

არაფერი მას არ აწუხებს,
ავადმყოფობა არ აწუხებს, არ აწუხებს დროის
დინება,

არც უეცრად ამტყდარი ომი,

მაგრამ სამყარო გადაბრუნდება,

თუ ზურგს შეგვაქცევს. ან საიდან უნდა

გაიგოს, ცოდვას თუ სჩადის?

1740. გულში ეზრდება სიამაყე. თანდათანობით იფურჩქნება. და ვიდრე მის სულის მწყემსს სძინავს, ვიდრე სინდისი ისვენებს და ქვეყანა კი სწრაფად ტრიალებს, მკვლელი ჩუმჩუმად ეპარება, მოდის და მოაქვს — დაჭიმული მშვილდი მოაქვს, საშინელი ისრები მოაქვს.
1745. და ისართა ბასრი წვერები მიზანს პოულობს, ერჭობა მკერდში, მუზარადის ქვეშ, ველარავინ დაეხმარება და სჭრის სატანის ცღუნებანი, რადგან არ ახსოვს, სიმდიდრე როგორ მოიპოვა, დამლუბველი და ამქვეყნიური, როგორ იხვეჭდა, და თუ როგორ არ უძებნია
1750. არც ღირსება და არც დიდება, ოქროს ბეჭდების დაგროვებამ დაავიწყა მომავალი თვისი სახელი, თვითონ უფალმა რომ უბოძა შობისთანავე. დაივიწყა და არაფრად აღარ ჩააგდო. და ლატობს ბოლოს სხეული, ძვლები უდნება, ხორცი უდნება,
1755. გარდაიცვლება — და ცვლის სხვის სული, ცაში მის ადგილს სხვა იკავებს, სხვისი სული იკავებს ადგილს, ხელგაშლილის სული იკავებს, განძეულის გამცემის სული, ვისაც მარტო

- ოქრო არ ხიბლავს. უფროთხილდი ამ სენს საყვარელო ჩემო, ბეოვულფ, მოყმეთა შორის უკეთესო,
1760. და ამჯობინე ბედნიერება მარადიული; სიამაყე ნუ აგიყოლიებს! შენი ძაღლონე, სიდიადე განა რამდენ წელსლა შეგრჩება? მალე იქავე დააბრუნებ, საიდანაც აღივსე მათით, ავადმყოფობა ან ხმლის წვერი ბოლოს მოუღებს, ცეცხლი ანდა
1765. მქროლავი შუბი, მღელვარე ტალღა ან დანის დაკვრა, ან ძველ დროების საშინელება, ან თვალთ ჩაქრობა. მოვა, სიკვდილი უფრო ჩქარა მოდის, ვიდრე გგონია, მას ვერავინ ვერ გაექცევა. ასე ვმართავდი დანიელებს
1770. ნახევარი საუკუნეა, ვიცავდი უცხო ტომებისაგან, ხმალი და შუბი მუდამ მზად მქონდა, და არავის ჰქონდა სურვილი, ამ მაღალ და ღვთაებრივ მზის ქვეშ, დანიაში შემოჭრილიყო. და ყველაფერი შეიცვალა,
1775. და მკვდრებს ვგლოვობდით, როცა გრენდელი შემოიჭრა ჰეროთ-დარბაზში და დარბაზი ასე დალაშქრა; დიდი დამატყდა სევდა, წუხილი, გაუნელები და უსაშველო. მერე მაღლი ღმერთს, მბრძანებელს ჩვენსას, შენ მოხვედი და
1780. იმ ბედკრულობას ბოლო მოუღე. ახლა კი ვცოცხლობ,

- ამ სისხლიან თავს რომ ვუყურო!
 შედი დარბაზში, ინადიმე, იყავი ისე ბედნიერი,
 შენს სახელს როგორც ეკადრება. და როცა დილა
 გათენდება,
 ჩემი განძის მოზიარე თქვენ შეიქნებით“.
1785. დაემორჩილა ბეოვულფი, დარბაზს შევიდა
 მზიარული და სუფრასთან დაიკავა თავის
 ადგილი.
 და კიდევ ერთხელ ინადიმეს დანიელებმა და
 გითებმა
 ერთად. გაუმასპინძლდნენ სახელგანთქმულ
 გით მოყმეებს. — მერე სიბნელის საბურველი
 დაეშვა და დაღამდა კიდევ. ისინი ადგნენ;
 1790. პროთვარს ძილი მოერია, ჭაღარა და მოხუც
 დანიელს.
 და ბეოვულფსაც გაეხარდა, ქვეშავები რომ
 ელოდა,
 დაქანცულიყო უმამაცესი
 მებრძოლთა შორის. და მსახურმა გზა უჩვენა
 1795. იმ მოშორებულ, წყნარი სოფლისკენ,
 სადაც ძილი მოუვიდოდათ ბეოვულფსა
 და მის მებრძოლებს; კარგად მიხედეს პროთვარის
 სტუმრებს,
 მიაბრთვეს, რაც კი მოისურვეს.
 და მოისვენა ბეოვულფმა; გადმოჰყურებდათ
 ჰეროთ-დარბაზი,
 1800. ბნელში ბზინავდა; გითებს ეძინათ,
 ვიდრე ყორანმა, შავფრთიანმა, გაიხმინა
 მზიარულ ხმებით და კაშკაშა მზემ

- ჩრდილები დასწვა. მეზღვაურები საჩქაროდ
 ადგნენ,
 სურდათ შინისკენ შესდგომოდნენ მოგზაურობას,
 1805. უკვე მზად იყვნენ გასამგზავრებლად. მათი
 გულები
 ხომალდზე იყო და შინისკენ ეშურებოდა.
 და ანფერთიც მოვიდა მერე, ჰრუნთინგით
 ხელში, სახელგანთქმულ
 თავის მახვილით და ბეოვულფს შესთავაზა,
 სთხოვა მიეღო
 ეს საჩუქარი. მანაც აიღო,
 მაღლი უძღვნა და ასე უთხრა,
 1810. ეს ის ხმალია,
 რომლის ფლობაც სიამაყით მივსებს გულსაო:
 ზადი არ ჰქონდა
 იმის სიტყვებს, ნათქვამი იყო
 სწორედ გმირის შესაფერისი!
 გამზადებული იდგა ეტლი, საჭურველი აისხეს
 1815. გითთა. სწრაფად ეახლა ბეოვულფი ტახტზე
 მჯდომ პროთვარს,
 იჯდა, ელოდა დანიელთა მეფე დამშვიდობებას
 სახელოვან თავის სტუმრისას.

26

- თქვა ბეოვულფმა:
 „ზღვა გადმოვლახეთ
 აქ მოსასვლელად; დროა შინისკენ გავეშუროთ,
 1820. ჩვენი ძვირფასი მეფისაკენ, ჰიგლაქისაკენ.
 შესანიშნავად

გვიმასპინძლეთ დანიელებმა; თბილად მიგვიღეთ.
თუკი რამე შემეძლება მე ამ მიწაზე,
თქვენი სიყვარულის მოსაპოვებლად, ო, დიღო
მეფევ, იმაზე მეტი,
რაც ჩავიდინე, ბრძოლა შენი

1825. სახელისათვის, მიხმე და მოვალ, როგორც
ერთხელ უკვე გაახელ.

თუ ოკეანის მიღმა შევიტყობ,
რომ მეზობლები სამტროდ მოგიხტნენ,
გაგანაწყენეს მეზობლებმა,

როგორც ერთხელ გაგანაწყენეს, მე ჩამოვიყვან
ათას მოყმეს, ათას შეაბჯრულ გიჟს

1830. ჩამოვიყვან, რათა დავიცვა შენი ტახტი. ვენდობი
ჰიგლაქს:

ჭაბუკი არის ჩვენი მეფე, მაგრამ მჭირდება
შემწეობა ჩვენი მეფისა,

რათა უკეთ შემოგეშველო, ჩვენი ძალა შენც
გიწილადო,

დაგიცვათ ჩვენი წვერმახვილი შუბებით და
განგადიღოთ,

როგორც ღირსი ხარ, ვიცე, ჰიგლაქის სიტყვა და
ძალა

1835. მხარში უთუოდ ამომიდგება. და თუ ოდესმე
შენი უფროსი ვაჟი, ჰრეთრიქი,

ჩვენს სამეფო კარს ესტუმრება,
მასპინძლად ჰპოვებს კეთილ მეგობრებს:

არცერთ სტუმარს უცხო მიწაზე
ისეთი პატივით არა ხვდებიან, როგორც ძლიერ
და კეთილშობილ მოყმეს ხვდებიან“.

1840. უპასუხა მეფე ჰროთვარმა:

„უთუოდ ყოვლისმცოდნე უფალმა
ჩაგაგონა შენ ეს სიტყვები; ასეთი ბრძნული ჯერ
არაფერი მოუსმენია

ამ მოხუც ყურებს ასე ჭაბუკი
მეომრისაგან. მძლავრი არის შენი ხელები,

1845. შენი გული და შენი ბაგენი — სიბრძნით
აღსაფსე! თუ შენი მეფე,

ჰრეთელის ვაჟი, შუბით მოკვდება,
ან სნეულებით, ანდა მახვილის წერა გახდება,
და გადურჩები შენ იმ ბრძოლას,
მას რომ მოიდნობს, ვაცხადებ, რომ შენზე
უკეთეს

1850. კაცს გითევი ვერ იპოვნიან
სამეფოდ, ლაშქრის შემნახავად,
განძის დამცველად, თუ ტახტზე ასვლას
მოისურვებ,

გზა ხსნილი გაქვს. საყვარელო ჩემო, ბეოვულფ,
რაც მეტს დარჩები აქ, დანიაში,

1855. უფრო მეტად მასიამოვნებ. დანიელები და
გითები

ძმებად აქციე და მშვიდობა იქ მოიტანე, სადაც
ერთდროს

ბრძოლები იყო, და სიყვარულით განამტკიცე ეს
მეგობრობა.

ასე იქნება, ვიდრე ვცოცხლობ და ვიდრე მეფე
ვარ:

გავინაწილებთ განძს, ზღვითმოსულებს

1860. ხელგაშლილნი შევეგებებით;
ქიმმოტვიფრული ხომალდები წაიღებენ ჩვენს
საჩუქრებს

- და ჩვენს სიყვარულს. თქვენებურებიც
ძველ წესს მისდევენ, მათი გულელებიც, ასე,
ჩვენსავით, მუდამ
ლიაა მეგობრებისთვის, მაგრამ მტრებისთვის
1865. მტკიცედ დახშული“.
და მიუძღვნა გითთა წინამძღოლს
ახალ-ახალი საჩუქრები, ილოცა
მისი მშვიდობისათვის, მოუწოდა შინ დაბრუნება,
სთხოვა, თავს ნუ მოანატრებდა, დანიელთ
თავს ნუ
1870. მოანატრებდა. ეამბორა ედგეთოს ვაჟს მოხუცი
მეფე,
მხრებში ჩასჭიდა ორივე ხელი საუკეთესოს
მოყმეთა შორის
და ატირდა... და ცრემლები ვერ შეიკავა.
ჭალარა და ბრძენმა მეფემ კარგად იცოდა, თუ
რა მცირე იყო იმედი
ბეოვულფთან კვლავ შეხვედრისა,
1875. მაგრამ სახეზე რომ შეხედა, კვლავ მოეცა ამის
იმედი.
მხურვალე ჰქონდა ბეოვულფის სიყვარული, ისე
მხურვალე, ვერა შალავდა,
ცრემლები ისე სწრაფად სცვიოდა, ვერ იკავებდა,
ძვლები ეწვოდა, განშორება ისე უძძიმდა.
და დასტოვა ბეოვულფმა მეფე ჰროთგარი,
მიატოვა ჰეროთ-სასახლე,
და გაეშურა მწვანე მდელოთი, შეჭურვილი
ოქროს აბჯარით,
ხელები მალლა შეემართა და ხელებში განძი
ეჭირა,

- გითთა ხომალდს ლუზა ჩაეშვა; და მზად იყო
გასამგზავრებლად.
ასე დატოვა განძმა დანია, მდიდრულმა განძმა,
შორს გაემგზავრა და მოხუც მეფეს არც უნანია,
1885. არც უღარდია, ვიდრე არ მიჰყვა ზამთარს
ზამთარი,
ვიდრე სიბერემ არ მოჰპარა ჯანის სიმრთელე,
არ გაძარცვა
სხვა მრავალივით.

27

- მერე რაზმი მამაც გითების
რკინით შეჭედულ თორ-აბჯარით ნაპირს მიაღდა,
1890. მცველმა შენიშნა მათი მოსვლა,
და ვიდრე ნაბიჯს გადადგამდა, მიხვდა, ნანახი
ჰყავდა ისინი:
ბორცვიდან დაბლა სწრაფად დაეშვა,
ცხენს შოლტავდა, მაგრამ ამჯერად ვინა ხარო,
ალარ უკითხავს,
უთხრა, როგორ ელოდნენ გითებს,
1895. როგორ უნდოდათ შეჰგებებოდნენ ასეთ
მოყმეებს, ელვარე ჯაჭვის პერანგები
რომ ეცვათ ტანზე. ფართომუცლიანი მათი
ხომალდი
ქვიშის ნაპირში შეჭრილი იწვა:
დაეტვირთათ ჯავშნით, ცხენებით და მთელი იმ
მდიდარი განძით,

რის წამოღებაც კი შეიძლეს. ანბა მალა
 აღმართულიყო,
 1900. დახვავებული განძის ზემოთ, ჰროთგარის განძის,
 ახლა გითებს რომ ეკუთვნოდათ.
 დააჯილდოვა ბეოვულფმა ნავის დარაჯი
 მახვილით, ვადა
 ოქროთი რომ ჰქონდა ნაჭედი: იარაღმა
 მოუხვეჭა
 სახელი იმას. მიატოვა ხომალდმა ნაპირი, დანია
 დატოვა,
 1905. ღრმა წყალში შეცურა. მასზე კოჭები აჭრიალდა,
 ქარმა, რომელიც არ შეწყვეტილა,
 კარგად დაბმული აფრა დაჭიმა, მოგზაურები არ
 დააყოვნა,
 ხომალდი არ შეაყოვნა, ქიმმოტვიფრული,
 ტალღებს სწრაფად რომ მიაპობდა, მიაპობდა
 ზღვის დინებას,
 1910. ვრცელ ოკეანეს ჰკვეთდა ხომალდი,
 ვიღრე გითები დაინახავდნენ მშობლიური მთების
 მწვერვალებს,
 კლდეებს, გითური მიწიდან რომ
 ატყორცნილიყვნენ.
 ქარმა მიმართა ხომალდი ნაპირზე.
 ჩამოეგებნენ გუშაგები, მთელი ღლეები
 1915. ზღვას რომ გასცქერდნენ და ელოდნენ
 საყვარელ მოძმეთ, ზღვის ტალღებს რომ
 გაჰკვეთავდნენ და მოვიდოდნენ;
 დაამაგრეს ტვირთმძიმე ხომალდი, მოათრიეს
 ნაპირთან ახლოს, სადაც ზვირთები
 ვერ აწყვეტდა და გაიტაცებდა.

1920. გადმოიტანეს მათ ჯავშანი ოქროცურვილი,
 უძველესი მახვილები, ძვირფასი თვლები,
 და მიზიდეს ჰიგლაქის სახლში, დარბაზში მათი
 მწყალობელისა,
 ზღვის მახლობლად რომ გაემართათ, სადაც
 ცხოვრობდა
 მეფე ჰიგლაქი, მებრძოლებით გარშემორტყმული.
 1925. სახელგანთქმული იყო ჰიგლაქი,
 შესაფერისი ჰქონდა დარბაზი, შესაფერისი
 ჰყავდა მეუღლე, სახელად ჰიგდი,
 ყმაწვილი ქალი, მაგრამ მცოდნე და გონიერი.
 მეფე ჰარეთის ასული იყო, კეთილშობილი
 დედოფალი,
 სიძუნწისა რომ არა უწყოდა,
 1930. თრითს არა ჰგავდა, ყველას გულუხვად
 აჯილდოებდა. ხოლო თრითი ამპარტავანი
 გახლდათ მეტად,
 დესპოტი იყო და ენამწარე,
 ისე სასტიკი, ისე მძვინვარე, როს ჩაივლიდა,
 მამის მოყმენი თვალს არიდებდნენ,
 1935. იცოდნენ, ვინც თვალს გააყოლებდა,
 სახრჩობელა არ ასცდებოდა.
 ტყუილს იტყოდა, მოყმეებისთვის ეს ტყუილი
 იყო ბრძანება,
 და ვინც მის თვალთვალს გაბედავდა,
 მახვილის წვერზე წამოაგებდნენ.
 1940. და რაოდენ დიდი ცოდვაა,
 თუნდ ლამაზი იყოს ქალი, თუნდ უსახური, შიში
 დათესოს,

მოიტანოს ნგრევა. და ქალმა, გზა მშვიდად რომ
უნდა გალიოს,

წინასწარი განზრახვით ხოცოს.

მაგრამ ჰემინგის ნათესავმა მოარჯულა ის:

სტუმრები მისი დარბაზისა,

1945. ახლა სულ სხვა ამბებს ჰყვებოდნენ,
ირწმუნებოდნენ, დაივიწყა სისხლიანი ხრიკები

თრითმა,

რაც ბრძენმა მამამ მისი ოთახე დაქორწინება

განიზრახაო,

შეაუღლა იმ მამაცსა და ჰაბუკ მოყმეს,

გაჰზავნა ყვითელ-მწვანე ზღვის ვაღმა

1950. იმ ოქროთი შემკულ რაინდთან, ფიცხელ

მებრძოლთან

ომისა თუ მშვიდობის ჟამსა. ხალხი ახლა თრითს

ხოტბას ასხამდა,

სიკეთისთვის, ღირსებისათვის, და იმ გზაზე

შედგომისათვის,

რომ აღვსილიყო მეომართა წინამძღოლის, მისი

მეუღლის

თაყვანისცემით და სიყვარულით;

1955. მამაცი იყო და ძლიერი მეუღლე მისი,

კეთილიც იყო, და ერთ-ერთი საუკეთესო

დედამიწაზე,

შუბთამამი მეომარი, უშიშარი, განდიდებული

საჩუქრებით, ძლევამოსილი,

მეფე, თავის მშობლიურ მიწას

1960. ბრძნულად და კარგად რომ განაგებდა. ემერი

იყო მისი ვაჟი,

ნათესავი ჰემინგისა, შვილიშვილი გარმენდისა,
მოფარიავე უებრო და ფარი თავის მოყმეებისა.

ნაპირს გაუყვა ბეოვულფი და მისი რაზმი,
ქვიშის ფართე ზოლს.

1965. სამხრეთიდან წამოსული კაშკაშა შუქი

ანათებდა ქვეყნიერებას.

ხანმოკლე იყო ხომალდიდან სასახლემდე

მათი მგზავრობა, დარბაზამდე, სად ჰივლაქი,

ონგენტოს მკვლელი,

ცხოვრობდა და საბოძვარსაც უხვად გასცემდა.

1970. ისინი სწრაფად მიაბიჯებდნენ. ახალგაზრდა მეფემ

იცოლა

ამბავი მათი დაბრუნებისა;

ელოდა, რათა მიჰგებებოდა

თავის მეგობრებს, თანამებრძოლებს.

ბეოვულფის რაზმიც მოვიდა.

1975. როს ბეოვულფი თავდახრილი მიესალმა თავის

მბრძანებელს,

ტახტის წინ მდგარმა საზეიმოდ

ერთგულების სიტყვა წარმოსთქვა,

ბრძანა ჰივლაქმა, ტახტზე გვერდით მომიჯექიო —

ასე უბრძანა გადარჩენილს, გამარჯვებით

შინდაბრუნებულს —

1980. დაბრუნებულს მეფესთან და ნათესავეებთან.

თასნი აავსეს თაფლუჭებით,

დარბაზში კი ჰარეთის ქალმა ჩამოატარა,

ქმრის მეგობრებს მიართვა ელი.
ჰიგლაქს სიჩუმე აღარ შეეძლო, სურდა შეტყობა
ბეოვულფის თავგადასავლის,

1985. თავაზიანად შეეკითხა, ოღონდ წადილით,
სთხოვა, მოეთხრო ყველაფერი.

„საყვარელო ჩემო, ბეოვულფ,
გვიამბე შენი მოგზაურობა უცხო ქვეყნებში,
ჯერ ტალღებზე თუ რა შეგემთხვა,

1990. ან რა ჰპოვე ჰეროსის ჩასულმა,
თუ დაასრულე უიმედო ტანჯვა პროთგარის,
ამ ძლევაში მისი მეფე პროთგარს თუ დაეხმარე?

სისასტიკე გველესაპისა,
გულს მიწყულულედა, მაგრამ ვშიშობდი
შენს იქ გაშვებას:

1995. გაკავებული და ასე, ვცდილობდი ხიფათისაგან
შენს გარიდებას,

გეუბნებოდი, თვით იბრძოლონ,
დანიელებმა იბრძოლონ-მეთქი. და მადლობა
ღმერთს,

უენებელს გხედავ“.

თქვა ედგეთოს მამაცმა ვაჟმა:

2000. „ჰოი, ჰიგლაქ, მეუფევე ჩემო, გრენდელთან ჩემი
შებრძოლება,

ფიცხელი ბრძოლა, ცნობილია ყველასათვის
მთელს დანიაში, სადაც ურჩხული

უგვირგვინოდ მბრძანებლობდა ერთი ხანობა,
ხოცდა და ჭამდა პროთგარის ხალხს, გააჩანავა
მთელი დანია.

2005. დავამხე მისი ბატონობა,

შური ვიძიე მის უამრავ ბოროტებისთვის და ისე
მოვსპე სიბნელეში,

თვით უხნესიც კი ავსულთავან,
ვერ დაიქადნებს, მზეზე მწოლარე
და მოტრახხე, რომ მე ურჩხულმა დამამარცხა.

2010. მე ჯერ პროთგარი მოვძებნე და ვეახელი
ჰეროთ-დარბაზში;

როცა ჰილფდანის ვაჟმა შეიტყო
რომ გრენდელთან შესაბამელად ვიყავ მისული,
მან ღირსეულად მიმიჩინა თავის ვაჟის გვერდით
ადგილი.

ნადიმობდნენ მისი მხლებლები და მათს ნადიმს
მეც შეგუერთდი,

2015. ისეთ ბრწყინვალე და მოჭრიამულე რაზმში
ვიჯექი,

რომ არ მინახავს არსად მსგავსი.

სახელგანთქმული

დედოფალი მიმოდიოდა,
აჩქარებდა მერიქიფეებს,
ბეჭდებსა და სამაჯურებს უძღვნიდა მოყმეთ.

2020. და მესმოდა, როგორ ითხოვდნენ მოხუცებული
მეომრები,

მეფის ქალიშვილს მიერთმია იმათთვის ელი,
და თუ როგორ ესალმებოდნენ,

როცა ფრეუ ოქროს თასებს დაატარებდა.
მის ხელს პროთგარი ინგელდს შეჰპირდა,

მშვენიერი ფროლას ვაჟიშვილს;
2025. ჯვარს დაიწერს ფრეუ ინგელდთან.

გამოაცხადა დანიელთა ბატონმა და დიადმა
მწყემსმა,

და გამოსთქვა იმის იმედი, რომ ჰათობარდებთან
კინკლაობა დასრულდებოდა
მისი ასულის შემწეობით.

მე მგონი, ცდება, განა რამდენი ომი დამცხრაღა
ასეთნაირად?

2030. ცოტა დამცხრაღა. პატარძალი მხოლოდ მცირე
ხნით თუ ჩამოაგდებს მშვიდობას და
დაამშვიდებს შუბებს დროებით,
დიდხანს კი ვერა. როს ინგელდი და მისი ხალხი
ქორწილის ყამს იმ დარბაზში იქეიფებენ,
როს ფრეუ მისი ცოლი გახდება; დანიელებს კი
ტანთ ეცმევათ

2035. მოელვარე ჯავშანი და ზედ ერტყმევათ
ძველთაძველი ნაჭედი ხმლები:
ინგელდს და მის ხალხს გაახსენდებათ, რომ ამ
განძს ერთდროს

მათი მამები ატარებდნენ;
და როს სიკვდილის ხელით დაეცნენ, ეხურათ ეს
მუზარადები, ეს მახვილები ეჭირათ ხელში.

29

და როცა თავის უძველეს აბჯარს და იარაღს
დაინახავენ,

2040. განრისხდებიან ინგელდი და მისი მოყმენი. და
ერთ-ერთი მოყმეთაგანი,
ელით სავსე თასით მჯდომარე
და გულში მწარე ნაღველჩაღვრილი, გაიხსენებს
ომსა და სიკვდილს,

მოხუცი მოყმე, იქვე მჯდარი, თაფლუჭის მსმელი,
ენას ალესავს და წააქეზებს

2045. რომელიმე ჭაბუკ მეომარს, წაუქიმუნჯებს,
წაუჯიკავებს

ახალი ომის წამოსაწყებად.

„აის მახვილი, ის ძვირფასი, ძველი მახვილი,
ავე, სწორედ ის, მგონი მეცნობა.
მამაშენს ერტყა, ამით იბრძოდა,

2050. მახვილის ქნევა ვიდრე შეეძლო; დანიელებმა
მოჰკლეს იგი —

სხვაც ბევრი მოჰკლეს ჩვენთანები —
მკვდრები გაძარცვეს დანიელებმა, მამაცებმა და
ყოჩაღებმა!

სადედოფლოს მაყრიონიდან
ერთი იქნებ მკვლელის ვაჟია,

2055. ტრაბახობს თავის განძეულით, უძველესი აბჯრით
ტრაბახობს,
რაც შენი უნდა ყოფილიყო წესისა და რიგის
მიხედვით“.

მწარე სიტყვები ააღელვებს ფიცხელ გონებას,
წარსულ დროზე ფიქრებს წამოშლის,
ამოიძახებს მამის სახელს ჭაბუკი მოყმე

2060. და სულ უცოდველ დანიელ მსახურს
მახვილს გაუყრის — და სისხლიან მახვილის
ქნევით

დარბაზიდან გამოვარდება, რათა ტყისკენ
გზა გაიკვლიოს. მისი გაქცევა
ომს გამოიწვევს, მცხუნვარება გატეხილ ფიცის

2065. გამოაშრობს ინგელდის გულსაც,

თავის დანიელ საპატარძლოს აღარაფრად აღარ
ჩააგდებს.
პროთგარს ჰგონია, პათობარდებს რომ უყვართ
იგი,
რომ ფრეუც უყვართ, მაგრამ მათი მეგობრობა
დიდხანს არ გასტანს,
უსარგებლოა ყოველი ფიცი.

2070. ახლა გრენდელზე მოგახსენებ:
გწაღია, რომ ბევრი გაიგო, გასურს, შეიტყო
სუყველაფერი;
მაშ გავაგრძელებ. ადრეული საღამო იყო; ზეცის
სამკაულს
გადაეცურა განსვენების ადგილისაკენ
და ეჭვიანი გველეშაპი, კაცის სისხლის და
ხორცის მდომი,

2075. შემოიპარა, შემოიძურწა, როს ვდარაჯობდი
პროთგარის დარბაზს.

ჰონდშიუ, აბჯრით წამოწოლილი,
იყო პირველი გითი, ვისაც იგი მიაღდა.
ჩაეჭიდა მას გრენდელი, დაფლითა და
გადაყლაბა თავფეხიანად,

2080. ასე განაგო ბედისწერამ — დაიღუბა ჰაბუკი
მოყმე,
როს ღირსებებით ის-ის იყო აღივსებოდა. ეს
იყო მხოლოდ დასაწყისი
გველეშაპის განზრახულისა,
მას სურდა მუცლის ამოყორვაც, ჩანთის ავსებაც,
ჰეროთ-დარბაზის
სანახევროდ მოსუფთაეება. ჩემზეც სცადა

2085. თავისი ძალა. გვერდზე ეკიდა
ვეება ჩანთა, შეკერილი
დრაკონის ტყავით, სატანური ნიჭით
შექმნილი; მართლაც დიდებულ შესაკრავით
იკეტებოდა.

ჩემი აყვანა სცადა ურჩხულმა,
2090. ჩანთაში ჩადება დამიპირა, სამხრად შენახვა.
მძლავრი იყო და კადნიერი, მაგრამ მოვასწარ
ფეხზე დადგომა
და ძალა უქმად დაეხარჯა, ამან დაღუბა.

30

მთელი ამბავი, თუ როგორ მოვკალ,
გადავუხადე ბოროტებისთვის,

2095. რაც ჩაედინა, შორს წაგვიყვანს: შენმა რჩეულმა
მოყმეებმა ისახელა სუყველამ თავი. ურჩხული
თითქოს წაგვივიდა,
მაგრამ სიცოცხლე ორიოდ წუთს თუ გაიგრძელა,
მისი მკლავი კი,

მარჯვენა მკლავი ჰეროთში დარჩა;
ტბამდე მაინც მიაღწია,

2100. ტბის ფსკერამდე მაინც ჩაყვინთა, იქ დაეცა
ნახევრად მკვდარი. როს მზე მობრუნდა,
მეფე პროთგარმა უხვად გვიძღვნა განძეულობა,
მადლობა ამით გადამიხადა იმ სისხლიანი
ბრძოლისათვის,
მისი სახლისთვის რომ გავმართე. ნადიმი ბრძანა:

2105. იმღერდნენ და ჰყვებოდნენ ამბებს. ერთი
მოხუცი
 დანიელი გარდასულ დროს იხსენებდა,
 ხან თვით ჰროთგარი, კალთაში რომ ჩანგს
ჩაიდებდა,
 ააუღერებდა მის ვერცხლის სიმებს
 და ჰყვებოდა საოცარ ამბებს, მამაცი მეფე
2110. დალაგებულად გადმოგვცემდა ჭეშმარიტებას
სიკეთესა და
 ბოროტებაზე — მონათხრობში ჩააქსოვდა
მწუხარებას
 სიბერის გამო, იხსენებდა დაკარგულ ძალას,
 მოგებულ ბრძოლებს გაიხსენებდა.
 კენესოდა მეფე, მრავალ ზამთრით დამძიმებული,
2115. იხსენებდა, რაც ჩაედინა,
 რაც ეხილა, რაც მოესმინა. ასე ვისხედით
 მთელ დღეს ნადიმად. ჩამობნელდა
 მერე ისევე, გველეშაპის, გრენდელის, დედა
 შურისძიების ჟამს უცდიდა, სძულდა სუყველა
2120. მისი ვაჟის სიკვდილის გამო. ჯადოსან ურჩხულს
 გაუმართლა, შემოიჭრა ჰეროთ-დარბაზში,
თავხედურად შემოიჭრა და
 მოჰკლა ეშერი, ბრძენი მოყმე, თანშეზრდილი
მეფე ჰროთგართან.
 მაგრამ როს მზე კვლავ ამოიწვერა,
 დანიელებს აღარ შეეძლოთ
2125. რომ აეგოთ დასაკრძალი კოცონი მისთვის და
რომ დაეწვათ ძვირფასი ნეშტი,
 დაეწვინათ აალებულ მორებზე და ნაცარი

მტვერში შეერიათ: თან წაელო გველეშაპს
გვამი,
 წაელო თავის გამოქვაბულში, ტბის სიღრმეში,
სადაც ბუდობდა.
 მუდამ ტიროდა მეფე ჰროთგარი დაღუპულ
მოყმეთ,

2130. მაგრამ ახლა გული მოუკვდა, თავზე დაატყდა
 უდიდესი უბედურება. შემევედრა შენი სახელით,
თან მოთქვამდა, მომიწოდებდა
 უფრო ბრწყინვალე დიდებისაკენ,
 და ეს დიდება მშფოთვარ ტალღებში უნდა
მეპოვნა,
 მომეხვეჭა უნდა სახელი, და ჯილდოსაც
მპირდებოდა უფრო ღირსეულს.
2135. მღელვარე ტბაში ვეძებე და ვპოვე ურჩხული,
 ის საშინელი ჯადოქარი, მძვინვარე და
 გამხეცებული; ვიბრძოდით ასე ჩაგრებილნი,
ჩაჭიდებულნი;
 წყალი გაწითლდა სისხლისაგან,
 ბოლოს და ბოლოს მძლავრი მახვილით, იქვე,
კედელზე რომ ეკიდა,
2140. თავი მოვკვეთე.
 სიკვდილს ძლივას გადავურჩი, ჩანს, არ მეწერა.
 და ჰილფდანის დიადმა ვაჟმა,
 ჯილდოდ განძი დაახვავა, ძვირფასი თვლები.

ცხოვრობს ისე, როგორც კეთილ მეფეს
შეჰფერის:

2145. არ დამიკარგავს საჩუქრები, არაფერი არ
 დამკარგვია,
 რაც ჩემი ძალით მოვიხვეჭე. საგანძური რომ
 გახსნა მეფემ,
 ძვირფასი თვლების და აბჯარის, ნება მიბოძა,
 რაც მომწონდა, ამომერჩია,
 ასე გაახელ მისი სიმდიდრე,
 დასტურად ჩემი მეგობრობისა, იმის დასტურად,
 შენი დიდება
2150. ჩემს ცხოვრებას კვლავ რომ წარმართავს: მე
 ოჯახი არა მაქვს, ჰიგლაქი,
 ერთის გარდა, ჰიგლაქი, შენს გარდა“.
 ბრძანა ედგეთოს მამაცმა ვაჟმა, შემოეტანათ
 ალაში ტახისთავიანი, მუზარადი, აბჯარი
 ვერცხლთმოჭედილი
 და უძველესი, მახვილი, ოქროთი მოტვიფრული:
2155. „ეს საომარი საჭურველი ჩემი ჯილდოა,
 ნაბოძები ბრძენი მეფისგან. მას სურდა შენთვის
 გადმომეცა,
 თუ თავიდან ვისი იყო ეს განძეული.
 ამ განძეულს ჰერგარი ფლობდა უფროსი ძმა,
 დანიის მეფე,
 ვიდრე მისი სიკვდილის მერე ტახტზე ჰროთგარი
 ავიდოდა:
2160. ინახავდა ამათ ჰერგარი, თავის მამაცი
 ვაჟისათვის,
 ჰერვარდისთვის, არ მიუცია, თუმცა ჭაბუკმა
 დაუმტკიცა მას ერთგულება. ახლა შენია: დაე
 კეთილად გემსახუროს!“
 შემოიყვანეს ოთხი ცხენი,

- ოთხივ ტაიჭი, უსწრაფესნი და ერთურთის
 მჯობნი,
2165. მეფეს მიართვა ბეოვულფმა ტაიჭებიც და
 განძეულიც —
 ისე, როგორც ვაჟკაცს შეჰფერის,
 ვინც ბოროტების ქსელს არ უქსოვს თავის
 მეგობრებს,
 სასიკვდილოდ არ გაიმეტებს, არ უმუხთლებს და
 არ უმზაკვრებს,
 ენდობოდა დისშვილს ჰიგლაქი,
2170. ეყრდნობოდა იმის მარჯვენას,
 ბედნიერება სურდათ მხოლოდ ერთმანეთისთვის.
 უძღვნა ველთოუს საჩუქარი ბეოვულფმა ჰიგდს,
 ჰიგლაქის ცოლს,
 მშვენიერი ყელსაბამი იმას მიუძღვნა,
 მასვე მიართვა სამი კარგად ნახედნი ცხენი,
 მოხდენილები,
2175. ზედ ელვარე უნაგირებით; ჰიგდმა მიიღო
 საჩუქრები,
 მკერდს დაიბნია მშვენიერი ძვირფასი თვალი.
 დაამტკიცა ედგეთოს ვაჟმა,
 მართლაც უებრო გმირი რომ იყო:
 გმირი, ვინც მხოლოდ სახელს ეძიებს: და არც
 მეგობრებს ხოცავს მოვრალი,
2180. განრისხებისას, არც გულმხეცია,
 მძლე ძალას — მფარველ ღმერთის საბოძვარს —
 იყენებს მხოლოდ ბრძოლებისას, მამაცურად
 მოიხმარს ძალას.
 და მაინც იგი ბიჭობისას მასხრად აიგდეს,

- გითებმა ერთხელ არად ჩააგდეს, როს ბეოვულფი
სანადიმო დარბაზში იჯდა,
2185. მეფე საჩუქრებს უხვად გასცემდა,
ის კი მეფეს არაფერს სთხოვდა.
ყველას ეგონა, ზარმაციაო, ბეოვულფი დონდლო
ეგონათ,
თავდაყირა დაღვა ქვეყანა, ბეოვულფი მოყმე
იყო სახელიანი,
შეურაცხყოფას მიტომ იტანდა,
2190. მერე ჰიგლაქმა, გითთა მწყემსმა, შემოიტანა
მამამისის — ბეოვულფის პაპის — მახვილი,
ვეება, თან ოქროთი ნაჭედი; გითთაგან არვის
არ შეეძლო, უკეთესი იარაღით დაეტრაბახა.
კალთაში ჩაუდო ის მახვილი ბეოვულფს მეფემ,
2195. უბოძა მიწაც, შვიდი ათასი ჰაიდი, სახლებიანად,
ყველაფრიანად. გითლანდი იყო ორივესთვის
მშობელი მხარე —
მეფისა და უფლისწულისთვის მათმა მამებმა
დაუტოვეს
შენობები და ველ-მინდვრები — მაგრამ
ჰიგლაქის მემკვიდრეობა
გაიზარდა, უფრო განდიდდა, მეფე იყო და
მორჩილებდნენ.
2200. და როს ჰიგლაქი გარდაიცვალა,
მისი ვაჟი, მეფე ჰერდრედი, მართავდა გითებს,
და მის კვალს გაჰყვა უკუნეთში —
შვედებმა მოჰკლეს, მისი ფარი დაანაფოტეს,
გაჟუჟეს მისი მეგობრები,
2205. გარს რომ ერთყმოდნენ — და ჰერდრედი რომ
დაიღუპა, ერთადერთი ვაჟი ჰიგდისა,

- ბეოვულფი მართავდა გითლანდს,
ავიდა ტახტზე, ტახტზე, ერთხელ თვით რომ
უარყო,
და განაგებდა დიდხანსა და სვებედნიერად.
დააბერა წლებმა
და სიბერემ, მისი მეფობის ორმრცდაათ ზამთარს
ჩაველო
2210. როს სიბნელიდან შემოიჭრა გითლანდს დრაკონი,
გამოიღვიძა, შიში დათესა.
მანამდე დრაკონს უზარმაზარ კოშკში ეძინა,
კოშკს იღუმალი
ბილიკი ჰქონდა დატანებული; უცხო კაცი
გადააწყდა
ბილიკს შემთხვევით, მიჰყვა, მიაგნო უძველესი
ხანის განძეულს,
2215. წარმართულ ხანის ოქროს, ძვირფას თვლებს,
რასაც დრაკონი უდარაჯებდა, უცხო კაცმა,
სინარბისაგან დაბრმავებულმა,
დასტაცა ხელი თასს მოოჭვილს ძვირფასი
თვლებით, მოჰპარა დრაკონს და მოჰკურცხლა.
დრაკონი, რისხვით შეპყრობილი,
გამოიჭრა იმ სიბნელიდან
2220. და იწვნია მთელმა გითლანდმა დრაკონის რისხვა.

მაგრამ აქ ქურდი საქურდავად კი არ მოსულა;
მან მოიპარა
და დრაკონი განარისხა არა იმიტომ, რომ ასე
სურდა,

- არამედ მიტომ, რომ უჭირდა. იგი იყო ვილაცის
 მონა,
 რადგანაც სცემდნენ, გაიქცა და მიეფარა ყველას
 თვალთავან,
2225. მაგრამ არ ჰქონდა თავშესაფარი; მერე ფარულ
 ბილიკს მიაგნო
 და მას დაადგა. როცა იხილა
 მძინარე მხეცი, იხილა როგორ
 ამოქნარებდა, იზმორებოდა, გავლიძება არც
 უფიქრია,
 შემობრუნდა ზარდაცემული, გამოიქცა თავის
 საშველად,
2230. თან წაიღო თასი, შემკული ძვირფასი თვლებით.
 ის კოშკი
 სავსე იყო დამალულ განძით, წლების წინათ
 დაგროვილ განძით, ვიდრე ბოლო ნაშეიერი
 ღირსეულ ტომის, მფლობელი დიდი სიმდიდრისა,
2235. მოუსავლეთში არ გაემგზავრა, დინასტიას
 აღსასრული
 როცა დაუდგა, ყველა სიკვდილმა წაიყვანა,
 ერთი მეორის
 მიყოლებით, და მეომარმა, ამ აღსასრულს რომ
 შესცქეროდა,
 რაც ახსენებდა წარსულ დიდებას და ავსებდა
 მჭმუნვარე სევდით,
 თვითონაც სიკვდილს მოელოდა, ისიც იცოდა,
 რომ ოქრო და თვალმარგალიტი,
2240. ამდენი ხანი რომ დარაჯობდა,
 მეტად ვერასდროს ვერ დაატკბობდა.

- მან წაიღო ძვირფასი თასები, აბჯარი და
 უძველესი
 ხმლები წაიღო ზღვის მახლობლად, კლდეთა
 ძირას
 აგებულ კოშკში, დახშულ კოშკში,
2245. არც ფანჯარა რომ არ ჰქონდა და არც კარები,
 წინ ტალღები ბობოქრობდნენ, უკან კლდე იდგა.
 და მან ასე თქვა:
 „მიიღე, მიწავ, ეს განძეული, დაე ნურცერთი
 სულიერი
 მისი ხილვით ნულარ დატკბება. შენ გეკუთვნოდა,
 და დაე შენვე დაგიბრუნდეს. ბრძოლებმა და
 ხოცვა-ჟლეტამ
2250. გაწყვიტა ხალხი, ჩემი ხალხი, დაუხუჭა ყველას
 თვალები,
 ველარ იცხოვრეს და ველარ დატკბნენ,
 სიამოვნების კარნი დაუხშო. დაე ნურავინ ასწევს
 ამ ხმლებს, მოოჭვილ თასებს ნულარავინ
 გააპრიალეს:
 ნურც ნურავინ წინ წარუძღვება, ნურც ნურავინ
 უკან მიჰყვება.
2255. ეს ნაჭედი მუზარადები, ოქროთი შემკული
 მუზარადები დაჟანგდება
 და დაიმტვრევა; ხელები მათი გამწმენდი და
 გამკრიალები,
 უკვე გულზეა დაკრეფილი. და ეს ჯაჭვის
 პერანგები,
 ომში ნაცადი, როს ხმალი სცემდა
 და ფარსა და კაცს მახვილები ეძგერებოდა,

2260. დაჟანგდება და დაიშლება მოყმეებივით, მათ
ვინცა ფლობდნენ.
ვერა ნაწილი ამ განძეულის ვედარ ეწვევა
შორეულ მიწებს,
თან ვერ გაჰყვება თავის მფლობელებს. ჩანვის
სიმღერა,
შევარდენის სრბოლა დარბაზში
ფრთების ტყლაშუნით,
2265. და საჩხეში კვიცის ნავარდი — ყველანაირი
ქმნილება გაჰქრა,
პატრონები კი საფლავში წვანან!“
ასე მოთქვამდა სევდიანად დიდი ხნის წინათ
ვარდაცვლილებზე,
და ცხოვრობდა დღითიდღე და უფრო და უფრო
უსიხარულოდ, ვიდრე სიკვდილი არ მიეახლა
2270. და ისიც თან არ წაიყვანა და სიბნელეში
მოხეტიალე
ცეცხლოვანმა გველეშაპმა მიაგნო
ამ განძს, დაუცველ ამ საუნჯეს; და ის, ვისიც
ეშინოდათ ადამიანებს,
სიბნელიდან შემოფრინდა, ცეცხლის ალში
გახვეული,
დაეძებდა გამოქვაბულებს, ქვათა ნანგრევებს
დაეძებდა,
2275. და უეცრად ოქროს წააწყდა. მერე ის დარჩა,
წარმართულ ვერცხლსა და პატიოსან თვლებს
შორის ჩაწვა,
ვერც ვერასოდეს რომ ვერ იხმარდა და არც
არასდროს მიატოვებდა.
კაცთა მტერმა, მძლავრმა დრაკონმა

- ასეულ წლობით დაიძინა იმ ქვის კედლებში:
2280. გამოქცეული მონა ვიდრე გააღვიძებდა,
მონამ მოჰპარა ძვირფას თვლებით შემკული თასი
და პატიება
შესთხოვა ბატონს, შეევედრა პატიებას
და აპატიეს, როცა ბატონმა კმაყოფილებით
აიღო თასი,
შემოატრიალ-შეატრიალა და დაატყერდა
2285. უძველეს ტვიფარს. მხოლოდ თასმა უშველა
მონას,
თასმა დაატკბო მისი ბატონი, მაგრამ ურჩხული
განარისხა. ადგა ურჩხული, ქურდის კვალს
მიჰყვა, იპოვნა, დაინახა, როგორ მოვიდა
და წავიდა მისი სტუმარი. მონა გადარჩა,
2290. ისე ახლოს იყო ურჩხულთან, მის ცეცხლოვან
თავს ლამის შეეხო,
მაინც გადარჩა, გადაურჩა გველეშაპის ყბებს და
ორმა ხახას,
ღვთის მოწყალებამ გადაარჩინა,
და ორმა სწრაფად მორბენალმა ფეხმა იხსნა
დალუპვისაგან.
და დაადგა მის კვალს ურჩხული,
2295. სურდა ეპოვნა, ვინც მოჰპარა ვერცხლი
და გაძვრა; კოშკს გარს უვლიდა,
დაჭერა სურდა, მაგრამ ვერ შეძლო,
მონა ძალზე სწრაფად გაიქცა, ცარიელი იყო
მიდამო.
მხეცი განძეულს დაუბრუნდა, და აღივსო
2300. სისხლიანი შურისძიებით, იპოვნა, რაც განძს
დაჰკლებოდა,

რაც ქურდის ხელებს მოეპარათ.
მერე ქვებში ჩაიმალა, საათებს თვლიდა,
ვიდრე არ ჩაქრა ყოვლისშემძლე სანთელი და
საღამო დადგა, სიბრაზისაგან გაცოფებულს,
შეეძლო

2305. ყველგან წასულიყო, ეფრინა და გადაეწვა
სუყველაფერი,
დაეხოცა და დაენგრია თავისი სუნთქვით. და
მზე ჩავიდა,
და სიხარულით აღევსო გული; სიცოფისაგან
ანთებულმა
დატოვა კოშკი, ველარ ითმენდა, ისე უნდოდა
სამაგიერო
მტრებისთვის რომ გადაეხადა. დაზარალდა და
2310. დაფრთხა ხალხი, მაგრამ შეიტყო ბეოვულდმა
ამბავი მათი გაჭირვებისა,
ბედისწერის საათმა დაჰკრა, და მსწრაფლ მოვიდა
ბეოვულდი.

33

ურჩხული ცეცხლსა და კვამლს აფრქვევდა,
სახლებსა სწვავდა. და შეჰყურებდნენ
თავზარდაცემით
ზემოთ აღმართულ ცეცხლის ენებს, მძვინვარე
მხეცი

2315. ცოცხალს არაფერს აღარ ტოვებდა. და
სიბნელეში
ბზინავდა და ციმციმებდა ნიშნები მისი
მრისხანებისა,

რამდენიმე მილს იქით ჩანდა შედეგი მისი
მრისხანების,
შედეგი მისი სისასტიკისა, გაიშალა, თითქოს
გითთა დასაშინებლად,
მისი სიმშვიდე ვინც დაარღვიეს. მერე კი
სწრაფად გაეშურა

2320. თავის კოშკისკენ, დამალული განძეულისკენ,
ვიდრე რიჟრაჟი გამოჩნდებოდა.
ხალხს შემოარტყა ცეცხლის ალი,
და ქვის კედლებს შეეფარა ახლა ურჩხული
და თავის ძალის იმედზე იყო. მაგრამ ველარა
უშველიდა რა.

- მიეახლნენ მეფე ბეოვულდს,
2325. აუწყეს, რომ მისი ტახტი, მისი დარბაზი,
უკეთესი უკეთესთ შორის,
სუნთქვას დაეწვა, გველეშაპის ცეცხლოვან
სუნთქვას.

- დანაღვლიანდა ბეოვულდი, მათმა სიტყვებმა
გული ჩაწყვიტა, თვით დაიბრალა დარღვევანი
უფლის კანონთა, რისხვა უფლისა ჩემს ხალხს
2330. მევე მოვუვლინეო.
თავს აყვედრიდა, აბრალიდა, პირქუშსა და
დასევდილ მეფეს ეჩვენებოდა მთელი სამყარო
უცხო ადგილად.
მაგრამ დაინგრა მისი დარბაზი, მხურვალე
სუნთქვამ გველეშაპის

- დაჰბუგა ის და დაანგრია,
2335. დარაჯად რომ აღმართულიყო ნაპირთან ახლოს.
შურისძიებას მოითხოვდნენ ვითი მოყმენი; და
ბეოვულდი გაემზადა,

მწყემსი მათი და წინამძღოლი, ბრძანა მოტანა
რკინით ნაჭედი საბრძოლო ფარის,
იცოდა, ხისა არ უშველიდა, უბრალო ფარი
2340. არას არგებდა, ვერ დაიცავდა გველეშაპის
მწველი ცეცხლისგან. კეთილშობილი
უფლისწული

ამქვეყნიურ დღეებს მალე დაასრულებდა,
გათავდებოდა მოკლე სიცოცხლე, მაგრამ
ურჩხულსაც
გაიყოლებდა, წაართმევდა დაგროვილ განძსაც,
2345. ამდენი წლოებით რომ დარაჯობდა. და
მარტოდმარტო წავიდოდა,
დამცილება იქნებოდა, მოყმეები თან რომ
ეახლა:

იგი
საშიშს ვერას ხედავდა, არად აგდებდა
გველეშაპის
ფრთებსა და ბრჭყალებს, ან ყბებს, ცეცხლი
რომ იფრქვეოდა —

იგი მანამდე უარეს მტერსაც შებრძოლებია,
2350. მაგრამ გადარჩა და გაიმარჯვა უფრო მრისხანე
შეტაკებებში, მოყოლებული ჰეროთიდან, იმ
ბედკრული დარბაზიდან
მეფე პროთგარის მოჰკლა გრენდელი
და მისი დედა, ამოწყვიტა ამ მკვლელთა მოდგმა.
მეფე ჰიგლაქის მხარეს იბრძოდა,

2355. ფრიზიელებს რომ შეეტაკნენ, თავის უფალის
მხარეს იბრძოდა,
ვიდრე მახვილმა არ შეხვრიბა ჰიგლაქის სისხლი,
ვიდრე ფიცხელ შეჯახებისას მოქნეულ ხმალმა

არ იმსხვერპლა ვითების მეფე.
გადარჩა მაშინ ბეოვულფი, გაარღვია მათი
ფარები,

2360. თავი დაიხსნა ჩამობრანძულ ფრანკებისაგან.
ოცდაათი აბჯარი იხსნა მდინარის პირას
მაცხოვრებთაგან,
მკვდრებს რომ ძარცვავდნენ, მდინარის მიერ
ჩამოტარებულთ-
და ბეოვულფმა ისინი ხმალში გამოითხოვა,
სული იმდენს გააცხებინა,

2365. მხოლოდ ცოტამ გაასწრო სახლში,
გაიპარნენ და უხაროდათ, რომ გადაურჩნენ.
ბეოვულფი დამწუხრებული დაბრუნდა
გიოლენდს, ამ სულელურ ომს ერთადერთი
ის გადაურჩა. ჰიგლაქის ქვრივმა

2370. გვირგვინი მიართვა ბუოვულფს, შესთავაზა
მთელი სამეფო,
რადგან ჰერდრედის იმედი არ ჰქონდა, თავისი
და ჰიგლაქის ვაჟის,
რომ მომხდურები დაეფრინა. მაგრამ უარჰყო

ბეოვულფმა
სამეფო ტახტი, რადგან ცოცხალი იყო
ჰერდრედი, ვაჟი მეფისა,
და უწინამძღვრო ვითებს შეეძლოთ

2375. კანონიერი მეფის არჩევა. ეხმარებოდა იგი
ჰერდრედს
ყოველნაირად, სთავაზობდა თავის სპეტაკ გულს,
სადაც ჰიგლაქის ყმაწვილი ვაჟი დაინახავდა
სიბრძნეს, რაც აკლდა: სითბო, სიკეთე მოუტანა
ბეოვულფმა ახალ ხელმწიფეს.

2380. მაგრამ მოვიდნენ შვედი დევნილნი, მფარველს
 ეძებდნენ; მეფე ონელას წინააღმდეგ
 ამბოხებულნი,
 პილფდანის სიძის და ყველაზე მორჭმული მეფის,
 თავისი ხალხის დიდი მწყალობლის წინააღმდეგ
 ამბოხებულნი.
 და მოვიდა თვითონ ონელაც, უზარმაზარი
 ლაშქრით მოადგა, ვითლენდს მოადგა
2385. მძლეთამძლე მეფე; ამბოხებულებს სიტყვა მისცა
 მეფე ჰერდრედმა, ახლა სიცოცხლეც მათთვის
 გაიღო, დაიცვა შვედი დევნილები;
 ონელას მეტი არა სურდა რა:
 და როგორც კი ჰერდრედი მოჰკლეს, სახელოვანი
 მეომარი
 უკან გაბრუნდა, შვეციაში, ბეოს დაუთმო
 სამეფო ტახტი!

34

2390. მაგრამ ბეოვულფს კარგად ახსოვდა, მისი მეფე
 თუ როგორ მოჰკლეს,
 როგორც კი შეძლო,
 შვედებს ათხოვა მოყმეები, ოქროც მისცა
 ამბოხებულებს,
 დაეხმარა ცხარე ბრძოლებში
2395. ვრცელი ზღვის ვალმა, მათ გაიმარჯვეს, შური
 იძიეს,
 შვეციის ტახტი მოიპოვეს, მოჰკლეს ონელა.
 ასე გადარჩა ედგეთოს ვაჟი

- ყველა განსაცდელს, ყველა ბრძოლაში
 მამაცი იყო და უძლეველი, ვიდრე ურჩხული არ
 მოევლინა,
2400. ბედისწერამ არ მოუვლინა ვიდრე ურჩხული-
 თორმეტი მოყმე მიაბიჯებდა თავის მრისხანე /
 მეფესთან ერთად, როს ბეოვულფი გაეშურა
 ურჩხულისაკენ,
 ბეოვულფმა უკვე იცოდა, რამ გააღვიძა
 დრაკონი და
 რამ განარისხა. ახლა ბეოვულფს ეპყრა თასი,
 2405. ურჩხულისგან მონას, მონისაგან ბატონს,
 ბატონისაგან მეფეს ჩაუვარდა ხელთ,
 და გზას ის მონა უჩვენებდათ, მონა, ვისი
 ბრალიც იყო
 ვითების ეს უბედურება; და ორივესი ეშინოდა,
 მხეცისაც და
 მოყმეებისაც და იძულებით მიუძღოდა
 გველეშაპის
 დაფარული სამყოფელისკენ. უჩვენა მათ
 უზარმაზარი
2410. ქვები, მიწაში ღრმად ჩამჯდარი. ზღვა სცემდა
 კლდეებს
 იქვე მახლობლად. ბეოვულფი
 შესცქეროდა, უსმენდა ამბებს
 მიწის სიღრმეში დახვავებული ოქროსი და
 თვალმარგალიტის;
 ელოდებოდა მათ ურჩხული, დამალული, თუმც
 მზად იყო
2415. მათ შესახვედრად. ოქროსა და ნაჭედ
 თორ-აბჯარს

უფრო უკეთეს ადგილებზე მარხავდნენ ხოლმე!
ჯერ ნაპირზე ისვენებდა გულადი მეფე,
ვიდრე მოყმენი წარმატებას უსურვებდნენ და
აქეზებდნენ

დაუძძიმდა ბეოვულფს გული:

2420. სული უგრძნობდა ბედისწერის მოახლოებას,
გრძნობდა რალაცას, არ ყოფილა ეს გრძნობა
შიში, ცოდნა იყო
მოხუცებულის. კვლავაც მტკიცე ჯავშანი ერტყა,
მაგრამ მკლავი კი
დადუნებოდა უკვე გულივით. აქ გაიყრება
მისი სხეული და მისი სული; აქ დაიღვრება მისი
სისხლი,

2425. მისი სული ხორცს განეყოფა. თქვა ბეოვულფმა:
„სიყმაწვილე ბრძოლებში მაქვს გატარებული,
ყველა ბრძოლას გადავურჩი: მახსოვს ყოველი.
შვიდი წლის ვიყავ, როცა პრეთელმა
სახლისა და გულის კარი ერთად გამიღო, ჩემმა
მეფემ და მბრძანებელმა

2430. მამისაგან წამომიყვანა, თვითონ მივლიდა,
მინახავდა, მათამამებდა, უხაროდა
მუხლზე რომ ვუჭექ. არასოდეს ვყვარებივარ
თავის ვაჟებზე უფრო ნაკლებად — ჰერბალდზე,
ყველაზე უფროს ვაჟზე,
ან ჰათსინზე, ანდა ჰიგლაქზე, ჩემს მბრძანებელზე.

2435. უფროსი ვაჟი საშინელი სიკვდილით მოკვდა
ნადირობისას: მშვილდი მოზიდა უმცროსმა ძმამ,
რქისწვერიანი მშვილდი მოზიდა,
ააცდინა მიზანს ისარი
და ჰათსინმა ჰერბალდს მოარტყა,

2440. მოძებნა მისი გული ისარმა, იქვე განგმირა.
ცოდვის ტრიალი დიდი იყო, ნათელი იყო
დანაშაული,
მაგრამ, აბა, რა გაეწყობოდა, არც შურისგება,
სიკვდილი სიკვდილისა წილ,
და დასჯაც აბა, რას უშველიდა.
ასე ხდება, როცა მოხუცი, ვისმა ვაჟმაც მეფეს
შესცოდა

2445. და ჩამოახრჩვეს: დგას და შესცქერის,
შვილს შესცქერის სახრჩობელაზე,
გლოვობს იმედი გადასწყვეტია, ვიდრე მისი
სისხლი და ხორცი
ჰკიდია ყორნების დასაკორტნად. მას შეუძლია,
რომ ხმამაღლა ივიშვიშოს და ივალალოს, მაგრამ
ვერ შეძლებს შურისძიებას,

2450. და ახსენდება ყოველ დილით, თუ როგორ
მოკვდა მისი ვაჟი,
გული უკვდება; აღარც ვაჟი,
აღარც მემკვიდრე, მომავალი, მამას არ რჩება,
უბედურებას როგორ გაუძლოს,
და ის ადგილი, სადაც მისი ვაჟი ცხოვრობდა,
ვიდრე სიკვდილი მოუხმოდა,

2455. მას ეჩვენება ბერწ, უკაცურ, ქარიან მიწად,
ვერანა და ტიალ ადგილად; უშვილო მამას
აცახცახებს.
შეჰყურებს ამ ადგილს. ასე სძინავთ მხედრებს
მიწაში; სიტკბო წასულა,
დადუმებულა ჩანგი და იმედი გადაწყვეტილა.

2460. და მგლოვიარე მიჩოჩდება
თავის საწოლთან; სამყარო, სახლი ტკივილს
აღუძრავს,
სიცარიელით აღუძრავს ტკივილს. ჰრეთელსაც
ასე ეჩვენებოდა,
დაიღუპა როცა ჰერბალდი და მწუხარებით
აღვესო
გული, მკვლელი ცოცხლობდა; და ჰრეთელი
2465. მის სიყვარულს აღარა გრძნობდა. ველარაფერი
ვერ უშველიდა,
ველარც სიტყვა, ველარც ხელი, ვერც ბასრი
რკინა,
ველარც ომი, სიძულვილი, ბრძოლა, სისხლი,
ველარც კანონი. ტკივილს ვერარა დაუამებდა,
ამ ტკივილით უნდა ეცხოვრა, ან მწუხარება და
სიცოცხლე
2470. ერთად დაეთმო. როცა ჰრეთელი საფლავს
ჩავიდა,
მის ვაჟებს ერგოთ ყველაფერი, ჰათსინს და
ჰივლაქს.
და მერე ატყდა გითების და შვედების ომი,
ცხარე ბრძოლები ამ ვრცელი ზღვის
გალმა-გამოღმა,
როცა ჰრეთელმა დაიძინა, მძლავრმა ჰრეთელმა
დაიძინა,
2475. გაეხარდათ ონგენთოს ვაჟებს, იფიქრეს, შვედებს
რომ შეეძლოთ უკვე თავდასხმა,

- უკვე აღარ სჭირდებოდათ მეგობრობით თვალის
ახვევა,
შემოიჭრნენ და ცეცხლს მისცეს სუყველაფერი,
და ძველ სუნსბერგთან
უნამუსოდ ამოხოცეს გითი მოყმენი.
გადაუხადა ჩემმა ხალხმა სამაგიერო, სიკვდილი
სიკვდილისა წილ,
2480. ბრძოლა ბრძოლის წილ, თუმცა ერთი ძმა
შეეწირა ამ შურისგებას — ჰათსინი, მეფე
გითებისა,
მახვილით მოჰკლეს.
რიქრაქამდე მკვლელიც დაეცა, და ჰივლაქის
მოყმეებმა
ყველაფრისთვის შური იძიეს.
2485. ეფორი მისწვდა შვედების მეფეს,
გადაუხლიჩა მუზარადი, თავი გაუპო,
ქვე დაანარცხა სისხლიანი, გაფითრებული,
ელვისებური დარტყმით მოჰკლა.
ხაფი ხმით ამცნო
2490. ყველას თავისი სიხარული.
საჩუქრები, მეფემ რომ მიძღვნა
და მიწა ჩემი ხმლით მოვიპოვე, ბედისწერამ ასე
ისურვა: მას არასდროს დასჭირებია დანიელები,
ან გითები, ანდა შვედები, მოყმეები და
მოკავშირენი,
2495. ოქრო-ვერცხლით მოსყიდულნი, თავის მხარეზე
გაღმოყვანილნი,
ყველას სჯობდა ჩემი მახვილი, მის სამსახურში
ვიდექ ყოველთვის,
წინ ვიყავი ყოველ ბრძოლაში,

- ხმალს მარტოდმარტო ვიქნევდი და მუდამ ასე
გაგრძელდება,
ვიდრე გამიძლებს ეს მახვილი
2500. და ისევე მემსახურება, როგორც აქამდე
მემსახურა.
ასე მოვკალი დაგრეფი, ფრანკი, ჰიგლაქს
სიცოცხლე ვინც მოუსწრაფა,
და გაძარცვა იმის გვამი: ჰიგლის ყელსაბამი,
ველთოუს განძი ველარ ერგო
დაგრეფის მეფეს. ბოლო მოელო
2505. ქურდს ბრძოლაში, მაგრამ მახვილით კი არ
მომიკლავს,
თუმც მამაცი იყო და მძლავრი, მოვიმწყვდიე
მაინც მკლავებში,
ჩემს წინ დავამხე, ძვლები ვუმტვრიე,
ამოსჩქეფა იმისმა სისხლმა. ახლა ვიბრძოლებ
ამ განძისათვის ხელებითაც და მახვილითაც“.
2510. და დაიქაღნა ბეოვულფმა:
„არ ვიცოდი, რა იყო შიში,
ჯერაც ყმაწვილკაცს უამრავი ბრძოლა მომიხდა.
ახლა მოგხუტდი,
მაგრამ ბრძოლით ახლაც ვიბრძოლებ, მოხვეჭით
სახელს ახლაც მოვიხვეჭ,
გველეშაპი, თავის კოშკში შეფარებული, თუკი
გაბედავს
2515. პირისპირ შემხვდეს“.
დაემშვიდობა თავის მოყმეებს,
ცალ-ცალკე და უკანასკნელად დაემშვიდობა:
„არც ხმალს ვიხმარდი, არც სხვა იარაღს,
ამ მხეცის მოკვლა უიმისოდ რომ შეიძლებოდეს,

2520. გრენდელივით რომ აღესრულოს ჩემს მკლავებში
მოქცეული,
კიდურიდან კიდურამდე გადაიხლიჩოს. მაგრამ
მისი სუნთქვა
მწველია, შხამი ინთხევა მისი ენიდან,
არა მრცხვენია, ფარ-ხმალითა და
შეაბჯრული რომ მივდივარ მასთან საომრად:
და როცა ჩემსკენ დაიძრება,
2525. არც შეეცოკდები, ცეცხლის ალებს
არ გავექცევი, ვიდგები, ვიდრე ბედისწერა
თვითონ გადაწყვეტს,
ვინ გაიმარჯვოს მტკიცე არის გული ჩემი,
მშვიდი არის ხელები ჩემი: გამხნელება
არა მჭირდება. აქ დამელოდეთ, მეგობრებო,
2530. მალე ვიხილავთ, ვინ გადურჩება
სისხლისმღვრელ ბრძოლას, ფეხზე იდგება,
დასრულდება როდესაც ბრძოლა. ამას ვერავინ
ვერ შეძლებდა,
მე რომ ვაპირებ, ვერცერთი კაცი
ამ ურჩხულთან შებრძოლებას ვერ გაბედავდა.
2535. და ვერცა სცდიდა. ამ ურჩხულის განძეული,
მისი ოქრო
და ყველაფერი, რაც კი კოშკში დაუშალავს,
ჩემი იქნება,
ან მერგება მწარე სიკვდილი“.
და წამოდგა ბეოვულფი, კვლავაც მამაცი,
კვლავაც ძლიერი,
გვერდზე ფარით, ჯაჭვის პერანგით
მკერდშეჭურვილი,

2540. გზას დაადგა თავდაჯერებით, მშვიდად დაადგა
კოშკისაკენ,
კლდიანი ფლატის ძირას რომ იდგა: იქით
ლაჩარი ვერ წავიდოდა!
და მერე მან, ვინც უამრავ უიმედო ბრძოლას
გაუძლო,
ვინც გაბედულად ტრიალებდა, ვიდრე ფარ-ხმალი
ერთიმეორეს ეჯახებოდა, საუკეთესომ მეფეთა
შორის,

2545. დაინახა უზარმაზარი ქვის თაღები და თანაც
იგრძნო სიმხურვალე
ურჩხულის სუნთქვის, ფარულ შესასვლელს
რომ მოჰყვებოდა, გასაძლებად ძნელი იყო,
ძალიან ძნელი, მომდინარე ცეცხლის ნაკადი,
კვამლი ავსებდა ყველა კუთხეს.

2550. და გითთა მეფემ და წინამძღოლომა,
განრისხებულმა დაბლა დასწია
თავისი ხმალი და შეჰყვირა საბრძოლო ხმაზე,
ისე ხმამაღლა დაიყვირა, ისე მკაფიოდ, ხმამ
გააღწია
დახავსებულ კლდეების მიღმა და ყურს მიწვდა
გველეშაპისას.

აღდა მხეცი, განრისხებული,
2555. მიხვდა, რომ კაცი მისულიყო — და ამას
მხოლოდ
შეტაკება თუ მოჰყვებოდა. ჯერ მისი სუნთქვა
გამოვიდა,
ქვების მიღმიდან კვამლის ღრუბელმა გამოაღწია,
მერე თვით მიწა შეზანზარდა. ბეოვულფმა
ფარი იფარა,

2560. გასასვლელისკენ მოიმარჯვა.
დაიკლაქნა გველეშაპი და გაიშალა, წააქეზა
გულმა
საბრძოლად. მას ელოდა გმირის მახვილი,
ძველთაძველი და
გაშიშვლებული, მისი ბასრი და მბზინავი
პირი. მიუახლოვდა გველეშაპი, ორივე მზად იყო,

2565. ორივე საომრად მოზიდულიყო.
მტკიცედ იდგა ბეოვულფი, არ ინძრეოდა,
აეფარა მაღალი ფარი, იცდიდა მბზინავ
აბჯარში მჯდარი. სწრაფად მიეჭრა გველეშაპი,
ცეცხლი და კვამლი შეაფრქვია, მისი ბედისწერა
დააჩქარა.

2570. რკინის ფარს ეცა ცეცხლის ალები,
ერთხანს გაუძლო, მეტად მცირე ხანს, ბეოვულფი
ერთხანს დაიცვა,
როგორც ფიქრობდა ბეოვულფი; მერე დნობა
დაიწყო ფარმა,
და ეს პირველად იბრძოდა გმირი, პირველად
თავის სიცოცხლეში,
ბედისწერა რომ გადაუდგა, თავის მძლე ძალამ
რომ უღალატა.

2575. ეს იცოდა, მაგრამ ხმალი მაინც ასწია,
დასცა ღრაკონის ქერცლიან ჯავშანს .
გადაუტყდა უძველესი ხმალი ბეოვულფს, თუმც
ჩაესო გველეშაპს კანში,
სისხლიც აღინა, მაგრამ დაიმსხვრა
და უღალატა, ღრმად ვერ ჩაესო და გმირს ისე
ვერ მიეხმარა,

2580. მას რომ სჭიროდა, ურჩხული შეხტა
ტკივილისაგან,
დაეძგერა, სცემდა ბეოვულფს,
მომაკვდინებელ ალს ახრჩოლებდა, ყველაფერს
მოსდო.

და ბეოვულფი სხვა ომების ძლევათსილ
გამარჯვებებს
აქ უკვე ვეღარ დაიქადებდა: უღალატა იარაღმა,
2585. მაშინ უმტყუნა, როცა ყველაზე მეტად სჭიროდა,
გადაუტყდა ბრწყინვალე ხმალი. და ედგეთოს
სახელოვანმა,

მამაცმა ვაჟმა ახლა თვალეზში ჩახედა სიკვდილს,
წუთისოფლის დატოვება მას არ უნდოდა,
სხვა შორეულ ადგილში გაცვლა — მოგზაურობა
2590. უკუნეთში, ყველა კაცი რომ უნდა შეუდგეს,
როცა სიკვდილი დაუსრულებთ
ხანმოკლე ყოფნას დედამიწაზე.
სწრაფად მიეჭრა გველეშაპი, გულმოცემული
ბეოვულფის უკანდახევით;

მისი სუნთქვა ანათებდა,
შეაჭირვა ბეოვულფი, გაახვია გიზგიზა ალში —
2595. აქამდე მეფე, მაგრამ ახლა კი
დამარცხებული მეომარი. არცერთი მისი
თანამებრძოლი
არ მივიდა დასახმარებლად, მის მამაც და
კეთილშობილ მხლებლებისაგან
არცერთი მოყმე არ მიეშველა: თავს უშველეს,
ტყეში

შეცვივნენ. მხოლოდ ერთი მათგანი დარჩა,
2600. ერთი შეჩერდა, გაახსენდა,
132

როგორც კეთილ კაცს შეეფერება, თუ რას
ნიშნავს ნათესაობა.

ვიგლავი იყო სახელი მისი, ვექსტანის ვაჟი იყო
ვიგლავი
და მეომარი ჩინებული; მისი ოჯახი შვეციიდან
წამოსულიყო.

და ბეოვულფს რომ შეჰყურებდა,
2606. ხედავდა, როგორ წვლობდა მეფე, ცეცხლი
ეკიდა.
ახსოვდა, რითაც მეუფემ და ბიძაშვილმა
დაასახუქრა,

აბჯარი, ოქრო და მამულები,
მისმა ოჯახმა რომ შეიფერა; და ვიგლავმა
გადაწყვიტა
გადასაწყვეტი: ასწია თავის ყვითელი ფარი

2610. და უძველესი ხმალი იშიშვლა,
ხმალი, რომელიც ეკუთვნოდა ონელას ძმისწულს,
და წაართვა იმას ვექსტანმა, მაშინ მოჰკლა,
უფლისწული

შვეციიდან რომ გამოიქცა
და მეფე ჰერდრედს შეეფარა.

2615. ვიგლავის მამამ მიუტანა მკვდრის აბჯარი და ეს
მანვილი
მეფე ონელას, არაფერი უთქვია მეფეს, ოლონდ
აბჯარი,

მახვილი და სუყველაფერი, რაც ეკუთვნოდა
ამბოხებულ იმის ძმისწულს,
ეკუთვნოდა და დაჰკარგა,
როცა სიცოცხლეს გამოეთხოვა, ვიგლაფის მამას
დაუბრუნა.

2620. მბრწყინავ საჩუქრებს ინახავდა ვექსტანი,
ფლობდა
ამ იარაღს წლების მანძილზე, ელოდა, როდის
მოიხმარდა მათ მისი ვაჟი,
და ატარებდა ღირსეულად და ისე კარგად,
როგორც
ოდესღაც მამამისი; გარდაიცვალა მერე ვექსტანი,
ვიგლაფი იყო მისი მემკვიდრე, მიიღო განძი,

2625. იარაღი, მიწაც მიიღო. მას არასდროს გამოეცადა
ეს თორ-აბჯარი, არ ებრძოლა ამ მახვილითაც,
ვიდრე არ იხმო
ბეოვულფმა, არ წარუძღვა ომში ბეოვულფი.
მაგრამ არ შედრკა ვიგლაფის სული, ძლიერი
იყო მახვილი მისი;
მისი ვაჟკაცობა დრაკონმაც იხილა, მისი
მახვილის ძალაც იწვინა,

2630. როს ბრძოლის ცეცხლმა ერთად შეჰყარათ.
თქვა ვიგლაფმა, გულდამძიმებით,
თქვა ეს სიტყვები, რაც მის მეგობრებს
ეკადრებოდათ:
„მახსოვს თაფლუჭის დარბაზში თუ როგორ
ვისხედით,
თაფლუჭს ვსვამდით, ვიქადნებოდით, რარვი
მამაცნი ვიქნებოდით,

2635. როცა ბეოვულფს დავჭირდებოდით, ვინც
გვიბოძა ეს ხმლები და
ეს საჭურველი: დავიფიცეთ, მადლს გადავუხდით,
როცა ამის დრო დადგებაო; და სიკეთეს
სიკეთითვე გადავუხდიდით —
სიცოცხლეს არ დავიშურებდით, როცა
ბეოვულფს დასჭირდებოდა
მან ნება დაგვრთო, გამოგყოლოდით, დიდი
ლაშქრიდან ამოგვარჩია,

2640. ეგონა, წონა ჰქონდა ჩვენს კვებნას, სწამდა
ჩვენი დაპირებისა, ჩვენს მახვილებსაც
ენდობოდა. მან მეომართა,
მსახურთა ნაცვლად წამოგვიყვანა.

სურდა დრაკონი მარტოს მოეკლა, ასე სურდა
მძლეთამძლე მეფეს,
მარტოს ებრძოლა, დაუხმარებლად,

2645. როგორც იმ წლებში, მისი ძალა და გამბედაობა,
კაცის თვალებს
რომ ანცვიფრებდა. მაგრამ წავიდა ის დღეები,
გაჰქრა
და ახლა ჩვენი მეუფე ჭაბუკთა მკლავებს უნდა
დაეყრდნოს.

უნდა წავიდეთ ბეოვულფთან, ვიდრე მრისხანე
ალი ხორცს უწვავს, მივეშველოთ

2650. ძლივამოსილ მეფე ბეოვულფს! ვფიცავ უფალს,
მირჩევნია თვითვე დავიწვა,
ვიდრე ვიხილო, როგორ ეხვევა ალი ჩემს მეფეს.
რა კაცები უნდა გვერქვას, შინ მივიტანოთ
ფარები, თუკი
მის მტერს არ მოვკლავთ.

2655. შინ გავიქცეთ, როცა ბეოვულფს აქ ასე ძლიერ
ავიწროებენ? არაფრისათვის,
რაც სიცოცხლეში ჩაუდენია, არ იმსახურებს
ბეოვულფი,
ასე მართლ და საცოდავად რომ დაიღუპოს,
მძვინვარე მხეცის მიერ დაჩეხილი: ჩვენ ხომ
შევფიცეთ,

2660. ეს ხმლები და ეს თორ-აბჯარი, თვითეული
ყველასათვის რომ ყოფილიყო!
მერე მეფისკენ გაიქცა იგი, დაიყვირა
გამამხნეველად,
და ვიგლაფიც იქ შევარდა, მომაკვდინებელ
ონშივარში გველეშაპისა:
„საყვარელო ჩემო, ბეოვულფ, გახსოვს, ერთხელ
როგორ იქადდი,
რომ ვერაფერი წაგართმევდა ამქვეყნად

2665. სახელს: იბრძოლე, რომ შეინარჩუნო,
ახლა იყავ მძლავრიც, მამაციც, ღირსეულო ჩემო
მეფევ. ორივე ერთად დაიცავი, სიცოცხლეც და
სახელიც შენი. შენს მხარდამხარ იტრიალებს
ჩემი მახვილიც!“

ხმა გაიგონა კაცთმოძულე გველეშაპმა,
ვიგლაფის ხმა და

2670. ძლიერ განრისხდა; გამოანათა შემმუსრავი
ცეცხლის ალები,
მოტრიალდა მის საპასუხოდ,
მის ფარს მოედო ცეცხლის ტალღები
და ფარის კუთხემ წვა დაიწყო. ჯაჭვის პერანგი
ვერ უშველიდა, მაგრამ დამწვარ ხეს ხელიდან
გააგდებდა ვიდრე ვიგლაფი,

2675. გადახტა და
ბეოვულფის ფარს მოეფარა; ხოლო დანაცრდა
ვიგლაფის ფარი.

სახელოვანმა მოხუცმა გმირმა,
გაიხსენა დიდების დღენი, ასწია, რაც
დარჩენილიყო
ნაგლინგისაგან, უძველესი თავისი ხმლისგან, და
დაარტყა

2680. მთელი ძალღონით, ძველი მახვილი
მხეცის თავს დასცხო. მაგრამ ნაგლინგი
ნაწილობრივ მაინც დაიმსხვრა, როგორც სხვა
რკინა, ყველანაირი,
რაც კი ოდესმე ხელში სჭერია. მძლავრი იყო
მისი მკლავები, უძლიერესი მახვილიც კი არა
შველოდა,

2685. თვით საოცრად ნაჭედი ხმალიც. ომში დაჰქონდა,
თუმცა ბედისწერას დაედგინა, გითთა დიდ მეფეს
ვერანაირი იარაღით
ვერ ესარგებლა.

შემოუტია კვლავ გველეშაპმა, გამოაფრქვია
კვლავაც ცეცხლი,
ტკივილისგან გამწარებულმა, მძვინვარე ცეცხლი,

2690. გამოიჭრა საშინელი, სასტიკი მხეცი, შიში სულ
რომ აღარ ახსოვდა.

ეშვებით მისწვდა ბეოვულფს ყელში;
შებარბაცდა ბეოვულფი, სისხლმა იჩქეფა მისი
ყელიდან,

წვიმასავით იჩქეფა სისხლმა.

და როს ბეოვულფს სჭირდებოდა ყველაზე
მეტად,

2695. გამოაჩინა სიმამაცე თვისი ვიგლამა, ძალა,
უნარი,
გამბედაობა, დაბადებით რომ დაჰყოლია. გვერდი
უქცია

დრაკონის თავს, დაეხმარა თავის უფალს,
ქვევით შემოჰკრა. ტანში ჩაეფლო
მისი მახვილი; ხელი დაეწვა, მაგრამ მახვილმა

2700. შეასრულა თავისი საქმე, ბუბუტვა დაიწყო
გველეშაპის გიზგიზა ალმა, ჩაჰკრა დრაკონის
გიზგიზა ალი. და ბეოვულფმაც იძრო ხანჯალი,
მრავალნაცადი ხანჯალი იძრო: მოხუცმა მეფემ,
სისხლისაგან რომ იცლებოდა,
ჯერაც იცოდა, რა უნდა ექნა. შუა გაჰკვეთა
გველეშაპი,

2705. აქეთ-იქით მიჰყარ-მოჰყარა.
სიმამაცემ სძლია ურჩხული, ორი ღირსეული
ბიძაშვილი გაერთიანდა
და მოუღო ბოლო გველეშაპს.

და რაც მათა ჰქნეს, ყველამ უნდა ჩაიდინოს,
როცა დრო მოვა! უკანასკნელი იყო ეს ძლევა,
2710. ბეოვულფმა რომ მოიპოვა. დასასრული
სიცოცხლის და სიღიადისა.
ყელის ჭრილობა გაუსივდა და გაეზარდა;
გრძნობდა, ძარღვებში რაღაც დუღდა, რაღაც
იწვოდა,
მწველი შხამი, და ისიც იცოდა,

2715. მხეცის ეშვებმა დაუტოვა ეს მწველი შხამი.
ხელის ცეცებით

გაუყვა კედელს, ჰპოვა ქვის ფილა
და ზედ დაეშვა; ზე აიხედა და დაინახა
უზარმაზარი ქვის თაღები, მძიმე სვეტები,
იმ გოლიათურ დარბაზის ჭერს რომ ამაგრებდნენ.

2720. მერე გაჰბანეს ბიძაშვილის ნაზმა ხელებმა
სისხლდადენილი

ბეოვულფი, ძლევაგამოსილი თვისი უფალი,
ბრძოლით დაღლილი და მუზარადდაკარგული.
ხმა ამოიღო ბეოვულფმა, თუმც უშლიდა
მძიმე ჭრილობა, იცოდა, რომ გაილია

2725. დღეების ძაფი დედამიწაზე,
იხილა, ღმერთმა რაც დაუდგინა:
წავიდა ტკბობა ამქვეყნიური და წავიდოდა
სიცოცხლეც
მალე:

„აბჯარს ჩემს ვაჟს დავუტოვებდი,

2730. ღმერთს მემკვიდრე რომ ებოძებინა,
შვილი, ნაყოფი ჩემი სხეულის, მისი სიცოცხლე
ჩემგან შექმნილი. მე ვატარებდი
ორმოცდაათ ზამთარს ამ გვირგვინს: და

ვერცერთი მეზობელი
ვერა ბედავდა, თავზე დაგვსხმოდა, მეზობლები
გამოეგზავნა

2735. ჩვენს წინააღმდეგ და დაეცა ჩვენთვის თავზარი.
ჩემი დღეები

ისე წავიდა, ბედისწერას როგორცა სურდა,
როგორც ნებავდა, ვმართავდი ისე,

როგორც შემედლო, ტყუილად არასდროს
დამიფიცია,

ცრუ ბრძოლებსაც არ ვეძიებდი.

2740. ბელნიერი ვტოვებ ცხოვრებას;
ვკვდები და ვიცი, არასოდეს უხილავს უფალს
ჩემი მახვილი ჩემიანის
სისხლით შესვრილი. ძვირფასო
ვიგლაფ, სწრაფად მოძებნე
2745. ურჩხულის განძი: ჩვენ მოვუსწრაფეთ სიცოცხლე
და

მისი განძიც ჩვენვე გვეკუთვნის.
მომიტანე უძველესი ვერცხლეული, ძვირფასი
თვლები, მბზინავი ქვები და თორ-აბჯარი,
ვიდრე მოგვკვდები. სიკვდილი უფრო ტკბილი
იქნება

2750. დატოვება სიცოცხლისა და იმ ხალხისა, მე რომ
ვმართავდი
ამდენი ხანი, თუკი შევხედავ ამ განძეულს“.

38

სწრაფად წავიდა ვექსტანის ვაჟი,
რაც შეედლო, სწრაფად წავიდა, ისე მოიქცა,
მომაკვდავმა ბეოვულფმა

- როგორცა სთხოვა, შიგნით შევიდა სიბნელეში,
2755. კოშკში შევიდა, მიაბიჯებდა შეაბჯრული,
მახვილით ხელში.

და გამბედავმა, ჭაბუკმა მოყმემ
გამარჯვებით რომ ანთებულყო,

- გროვებად ნახა მბზინავი თქრო, ძვირფასი
ქვები, იატაკზე რომ გაფანტულიყო, თასები და
2760. სამაჯურები, დაქანგებული მუზარადები, თუმც
ჩინებულად
გამოჭედილი, დაქანგებული, რადგან არავინ
არ წმენდდა და აპრიალებდა. იქვე ეყარა,
გველეშაპმა სადაც დატოვა;
სიბნელეში როცა გაფრინდა ერთხელ, ვიდრე
უკანასკნელად
იბრძოლებდა (ასე იოლად

2765. შეუძლია თქროს, გამარჯვება რომ იზეიმოს,
უძლიერესი კაცთაგანი რომ დაამარცხოს,
როგორ ღრმადაც არ უნდა ჩაფლან), და იხილა
ვექსტანის ვაჟმა

ალამი, მალა დაკიდებული, თქროცურვილი,
მოქსოვილი საუკეთესო მქსოველთა მიერ.
და ყველაფერზე მალა იხილა

2770. ნათელი რაღაც უცნაური, სუყველაფერს რომ
ანათებდა,
კედლებს, იატაკს და განძეულს. არაფერი არ
შერხებულა,

არც სხვა ღრაკონი გამოჩენილა;
წამოკრიფა, რაც კი სურდა, მთელი განძი,
თვალს რომ უტკბობდა, მძიმე სინებით,

2775. თქროს თასებით და ალმით ძლევა მოსილით
ისე აივსო ორივე ხელი, რის წაღებასაც
მოახერხებდა.

გმირის ხანჯალმა, ბასრმა რკინამ,
ბოლო მოუღო ცეცხლისმფრქვეველ საშინელებას,
კოშკს და განძეულს რომ დარაჯობდა.

2780. და გითების ჭალარა მწყემსმა
 ბოლო მოუღო მის ფრენასა და მწველ
 თავდასხმებს,
 სამუდამოდ მოუღო ბოლო.
 უკან გაბრუნდა მერე ვიგლაფი, დაბრუნებას
 ესწრაფოდა,
 ვიდრე სული ედგა ბეოვულფს, მიეტანა მისთვის
 განძი,
2785. რაც მოიპოვეს. სწრაფად მირბოდა,
 იმედი ჰქონდა, დაჭრილი მეფე, დასუსტებულ
 და
 მომაკვდავი, ქვეყანას ჯერ არ მიატოვებდა,
 განძეული მიართვა მეფეს
 და იხილა სისხლიანი სახელოვანი ბეოვულფი,
 ძლივსღა
2790. სუნთქავდა. მაგრამ ვიგლაფმა წყალი ასხურა,
 ვიდრე სიტყვები
 არ აღმოხდა მეფეს მკერდიდან და ვიგლაფმა არ
 გაიგონა.
 განძეული რომ დაინახა, მან ამოთქვა
 ნაწყვეტ-ნაწყვეტად
 „ამ ოქროსთვის, ძვირფას თვლებისთვის
 მადლობას ვწირავ“
2795. ზეციურ მამას, მწყემსს ამ ქვეყნისა —
 ყველაფრისათვის, რაც მიბოძა,
 შემადღებინა, მიმეტანა ჩემი ხალხისთვის,
 ვიდრე სუნთქვა ამომხდებოდა. მე გავიღე ჩემი
 სიცოცხლე
 ამ განძისათვის და კარგი ვქენი.

2800. მიიღე, ვიგლაფ, რასაც გიტოვებ, გითებს ახლა
 შენ უწინამძღვრე.
 შენ დაეხმარე; წასულია ჩემი დრო უკვე.
 ააგებინე
 მამაც გითებს ჩემთვის სამარე,
 როცა კოცონზე დამფერფლავენ, და ააგე
 აქ, წყლის ნაპირას, მალლა აღმართე,
 2805. მეზღვაურებს რომ შეეძლოთ მისი დანახვა,
 აღმართე კოშკი და განსოვდეს ჩემი სახელი,
 ბეოვულფის კოშკი დაარქვი,
 ნაგებზე მყოფნი, ზღვაში, ნისლსა და სიბნელეში,
 ამ კოშკს იცნობენ“.
 მერე ოქროს ყელსაბამი მოიხსნა მეფემ,
 2810. მოიხსნა და გადასცა ვიგლაფს,
 მისცა ოქროთი მოტვიფრული მუზარადი, მისცა
 ბეჭდები,
 და თავისი ჯაჭვის პერანგი, უბრძანა, კარგად
 მოიხმარეო:
 ჩვენს შორს გაფანტულ ოჯახიდან შენ არა
 ხარ უკანასკნელი.
 ბედისწერამ მოგვისპო ტომი.
 2815. მიჰყავდა მძლავრი მოყმეები
 და მიუძღოდა მომლოდინე სიკვდილისაკენ. და
 მეც ახლა მათ კვალს მივყვები“.
 დაუდუმდა ბაგე ბეოვულფს, აღარ უთქვამს
 სხვა არაფერი,
 იმდენი თქვა, რამდენიც შეძლო;
 მალე ცეცხლში დაიძინებდა. მისმა სულმა
 დატოვა ხორცი,
 2820. დიდებისაკენ გაფრინდა სული.

მარტოდმარტო დარჩა ვიგლაფი,
სევდიანად დაჰყურებდა საყვარელ მეფეს,
მიწაზე რომ გამოტილიყო, დარჩენილიყო
სადარაჯოდ

დავლევჩილ და სისხლიან გვამის.

2825. მაგრამ მოკლული იყო მკვლეელიც,
დაკლაკნილი გველეშაპი, შუაზე რომ
გაკვეთილიყო, უმოძრაო და

ცივი ეგდო: მოყმეებმა მოსპეს დრაკონი,
თავისი კოშკის წინ დააგდეს,
მისი განძი ხელში ჩაიგდეს, როცა დაეცა,

2830. დაეზღერთა დედამიწაზე, შუა გააპეს
თავიანთი ნაჭედი ხმლებით, ღრმად ჩაასვეს
იმის სხეულში. სიბნელეში ველარ იფრენდა,
ბნელ ცაში ველარ იკაშკაშებდა, ველარც
სიმდიდრით

დატკბებოდა, ვერც ველარაფერს დასწავდა და
თავს დაესხმოდა.

2835. ორმა მოყმემ უჩვენა ძალა, მახვილებით მოჰკლეს
დრაკონი.

თვით მრავალთაც კი, როგორ ძლიერნი,
გამბედავნი და თამამნი არ ყოფილიყვნენ, არ
შეეძლოთ

ამის ჩადენა, რომ შებმოდნენ გველეშაპის
შხამიან ეშვებს,

ანდა მის კოშკში დამშვიდებით შეედგათ ფეხი,

2840. მათ დახვდებოდათ განძის გუშაგი

მღვიძარი და მომლოდინე, მათ შესახვედრად
მუდამ მზადმყოფი.

ბეოვულფმა მოიპოვა დრაკონის ოქრო,
სისხლით იყიდა; გველეშაპმა და ბეოვულფმა
დღე დაუბნელეს ერთურთს მზიანი.

2840. როცა დასრულდა შებრძოლება,
გამოვიდნენ ტყიდან მოყმენი, ლაჩრები და
მოლალატენი,
იცოდნენ, რომ მკვდარი იყო უკვე დრაკონი.
როცა დრაკონი ცეცხლს აფრქვევდა, შეეშინდათ,
დაეცვათ მეფე,

შეეშინდათ ხელშუბთა და შუბების სროლა,

2850. დარცხვნილები მოდიოდნენ კურდღლებივით
გაქცეულები, ხელში ფარები დაეჭირათ,
იმ ადვილისკენ მოდიოდნენ, სადაც მეფე ესვენა
მკვდარი,
და დაელოდნენ, ვიდრე ვიგლაფი სიტყვას
დასძრავდა.

ხოლო ვიგლაფი ბეოვულფის ნეშტის გვერდით
ჩამუხლულიყო,

მძიმედ ასხამდა წყალს სახეზე,

2855. გამოცოცხლებას ცდილობდა მისას. არ შეეძლო.
აღარავის შეეძლო უკვე,
რომ შთაებერა კვლავაც სიცოცხლე მათი მეფის
სხეულისათვის,

ანუ ღვთის ნება შეეცვალა: სამყაროსა და
კაცობრიობას უფლის სურვილი ატრიალებს,
ასე იყო და ასე იქნება.

2860. შემობრუნდა მერე ვიგლაფი და ცხარედ
უთხრა,

ლაჩრები რასაც იმსახურებენ, ლაჩრებმა რაც
უნდა მოისმინონ.
მიაჩერდა გაქცეულებს ვექსტანის ვაჟი,
მწუხარებით აღვსოდა გული და ისა თქვა, რაც
უნდა ეთქვა:

„ვიტყვიოთ იმას, რასაც ყველა
სიმართლისმთქმელი —

2865. გასაჩუქრებლათ თქვენი მეფე
მახვილებით და თორ-აბჯარით, დღეს რომ
აგისხამთ;
დარბაზს ისხედით, თაფლუჭის დარბაზს
და ბეოვულფი ხელგაშლილი გასაჩუქრებლათ
ჯავშანითა და მუზარადებით, საუკეთესო
იარაღით

2870. მთელს ქვეყანაზე. ბრძოლა დაიწყო
და თქვენ ლაჩრულად გაიქეციოთ, მახვილები
იქვე დაჰყარეთ,
საშიშროება როგორც კი გაჩნდა.
განა შეეძლო თავმოწონება ბეოვულფს თქვენი
მიხმარებით ან გახარება,
თქვენს ერთგულებას რომ იხილავდა?

2780. ღვთის შემწეობით უშველა თავს, მარტოდმარტო
იქნევა მახვილს,
მხოლოდ საკუთარ თავის იმედად.
მე რა ვუშველე, მაგრამ რაც შეეძელ,
ხომ შევეწიე; მივეახლე, რადგან ვიცოდი,
რომ ბეოვულფის ძალის გარდა ვერ გვიხსნიდა
სხვა ვერაფერი,

2880. თურმე იღბალი ჰქონია ჩემს ხმალს, უცებ
ჰპოვა სუსტი ადგილი

და გაჰკვეთა გიზგიზა ალი.
ძალზე ცოტას თუ გაახსენდა,
რომ მოსულიყო, როს ბეოვულფი სიკვდილს
პირისპირ ეგებებოდა.

2885. ახლა მახვილთა ბოძება და ოქროს ბეჭდების,
და მდიდარი მამულებისა, გათავდა, მორჩა
თქვენთვის და თქვენს ნათესავთათვის:
როცა ვითები შეიტყობენ,
კული როგორ ამოიძუეთ, თქვენი გვარიდან
ალარავის არ ეღიროსება
არაფერი მათს სიცოცხლეში. და სიკვდილი
ემჯობინება

2890. მათთვის და თქვენთვის ასეთ სიცოცხლეს,
ასეთ ცხოვრებას — სირცხვილის დალით“.

40

მერე ვიგლაფმა შიკრიკს უბრძანა,
გაჰყოლოდა ფლატეს იქითკენ, დილას აქეთ
ვითები რომ ელოდებოდნენ, სევდიანად
დაფიქრებულნი,

2895. მეუფე მათი მოკვდებოდა თუ დაბრუნდებოდა,
მღუმარედ ისხდნენ მოყმეები
და უკეთესს იმედოვნებდნენ. ცხენს მათრახი
გადაუჭირა,
მათთან მივიდა ვიგლაფის მაცნე; შემოეხვივნენ
მაცნეს ვითები,
და მოუთხრო მან ყველაფერი, ახალიც და
ძველიც მოუთხრო:

2900. „გარდაიცვალა ჩვენი მეფე, გითების
 მწყემსი,
 ურჩხულმა მოჰკლა ბეოვულფი, მაგრამ თვითონ
 ურჩხულიც მოკვდა,
 ხანჯლით შუაზე გაპობილი;
 თავის სისხლში წევს გველეშაპი.
 მის კანს ვერარა ხმალი ვერ ჰკვეთდა, ვერ ჰჭრიდა
2905. ურჩხულს. იქვე ვიგლაფი ზის მგლოვიარე,
 ბეოვულფის ნეშტის ახლოს, ვექსტანის ვაჟი,
 დაღალული, სევდიანი, გაუჩიებული,
 დარაჯობს მეფეს, სადაც წვანან
 ბეოვულფი და მისი მკვლეელი.
2910. და ახლა ბრძოლას უნდა ველოდეთ,
 შეიტყობენ ფრანკები და ფრიზიელები ჩვენი
 მეფის სიკვდილის ამბავს.
 ამბები ხომ სწრაფად ვრცელდება.
 ჰიგლაქს ჰქონდა ფრანკებთან
 ბრძოლა, მოითარეშა მათი მდინარე,
2915. მათი რაინი მოითარეშა ხომალდებით და
 მეომრებით,
 ვიდრე ფრანკები თავს არ დაესხნენ დიდი
 ლაშქრით და ჰიგლაქი მოკლეს,
 ბევრი დაეცა კიდევ ჩვენგანი,
 შეაბჯრული მოყმეები დაგვიმარცხეს
 რიცხვის სიჭარბით. ვერ მოიტანა განძეული,
2920. ვერ დაზვინა თაფლუჭის დარბაზი და იმის მერე
 აღარ გვექონია მოსვენება ფრანკებისაგან.
 და მშვიდობას არც შვედებისგან უნდა
 ველოდეთ.
 ყველამ იცის, თუ როგორ მოჰკლა

- ჰათსინი მათმა მეფე ონგენტომ,
 2925. ტყის მახლობლად გამოიჭირა, როცა ჩვენი
 ჰაბუკი მეფე
 საბრძოლველად ნადრეგად ეშურებოდა, ბევრსა
 ბედავდა.
 მოხუცმა და ბრძენმა შვედმა, ბრძოლებისას
 მუღამ საშიშმა, ნება მისცა გით მოყმეებს,
 მიწაზე რომ გადმოსულიყვნენ,
 ძარცვა დაეწყოთ, და უეცრად დაესხა თავზე,
 მიფანტ-მოფანტა,
2930. დაიბრუნა განძეულიც და დედოფალიც,
 მოტაცებული,
 და ჩვენი მეფე კი სიცოცხლეს გამოასალმა.
 ფეხდაფეხ მიჰყვა დამარცხებულ მტერს,
 წინ გაირეკა შვედური ხმლებით,
 ვიდრე სიბნელე არ ჩამოწვა და გითები
 დაქანცულნი, უწინამძღვრონი
2935. ვიდრე ტყეში არ დაიმაღნენ. მაგრამ ონგენტო
 არსად წასულა
 და ტყე ალყაში მოიქცია,
 გადარჩენილ, გაქცეულ გითებს
 ექადნებოდა და დასცინოდა
 მთელი ღამის განმავლობაში. ჰპირდებოდა, რომ
 დილით
2940. ცოტას ჩამოახრჩობდა, გაართობდა ამითი
 ჩიტებს,
 მერე სხვებსაც ამოხოცავდა. მაგრამ როგორც კი
 მზე ამოვიდა,
 გაისმა ჰიგლაქის საყვირთა ხმებიც,
 საბრძოლო ხმა და სინათლე ერთად მოვიდა,

და გითეზი, იმედი რომ გადაწყვეტოდათ, კვლავ
მეომრებად გადააქცია.
2945. ჰიგლაქი გითეზს გამოჰყოლოდა, ბოლოსდაბოლოს
კიდევ ეპოვნა.

41

და მერე კი ყველაფერი სისხლით აივსო,
ორი რაზმი გითეზისა დაეცა შვედებს, ყველგან
იბრძოდნენ,

ჩეხდნენ ერთმანეთს.

დამწუხრებულმა ონგენტომ ბრძანა

2950. უკანდახევა ამალღებულ ადგილისაკენ, რათა აეგო
ციხე-სიმაგრე; მას სმენოდა მეფე ჰიგლაქზე,
იცოდა მისი

ძლიერება და გამბედაობა. გაშლილ ადგილას
ასეთ მებრძოლს ვერ გაუძღვებდა,
ვერ დაიცავდა მძიმე განძეულს,

2955. ვერ დაიცავდა ქალებს და ბავშვებს გითთა ახალი
ხელმწიფისაგან.

მამაცი, მაგრამ ბრძენი ონგენტო გაიქცა და
უშიშარი ადგილი ჰპოვა,
მიწის კედლების მიღმა ჰპოვა. უკან მიჰყვნენ
აღზნებული გითი მოყმენი,

ველ-მინდორი გადითარეშეს,
მიაწყდნენ კედლებს, შემუსრეს და შიგნით

შეიჭრნენ ჰიგლაქ-მეფის

2960. დროშის ფრიალით. და ჭაღარა, მოხუცი მეფე
გაშლილ ადგილას გამოიყვანეს, მზინავი ხმლები
მიემართათ შვედი მეფისკენ, რათა ონგენტოს
მსჯავრი მიეღო

ეფორისაგან. ეფორის ძმამ,
ვულფს რომ უხმობდნენ, პირველმა ასწია

იარალი,

2965. მრისხანედ დაჰკრა მძვინვარე
მეფეს, გააპო მისი მუზარადი; სისხლი
თმებზე ჩამოედინა. მაგრამ მამაცი მოხუცი შვედი
არ შემკრთალა და უმაღვე
უკეთესი დარტყმა აგემა,

2970. დაარტყა ვულფს უფრო სასტიკად. და ეფორის
გაბედული ძმა შეტორტმანდა, ხმალი ნახევრად
აიქნია,

მაგრამ მიწაზე დაუვარდა. ონგენტოს ხმალმა
ვულფს მუზარადი გაუკვეთა, სისხლი ამოსკდა
და ისიც ნელა დაეშვა დაბლა.

2975. ღრმა გამოდგა ნაჭრილობევი, მაგრამ სიკვდილი
მაღე მაინც
არ მოელოდა; გადაარჩინა ბედისწერამ, სული
შთაჰპერა.

მაგრამ ეფორმა, მისმა მამაცმა
ძმამ რომ იხილა ვულფის დაცემა, ფართობირიან
ხმლით წინ წამოდგა,
გოლიათების გამოჭედვით, და ისე მძლავრად

2980. მოუქნია, რომ ონგენტოს ფარი დაიმსხვრა
და დაეცა თვითონ მიწაზე, ასე დასრულდა მისი
სიცოცხლე.

მერე გითეზი მიიჭრნენ
ვულფთან, წამოაყენეს, შეუხვიეს ნაჭრილობევი.
ხოლო ვულფის ძმამ

იარალი აჰყარა შვედს,

2985. აიღო მისი ჯაჭვის პერანგი, მისი მახვილი

- და მუზარადი,
მთელი მისი საომარი აღკაზმულობა,
და მთავრად ახალ მეფეს, ჰიგლაქს მთავრად.
მიესალმა ეფორს ჰიგლაქი, მადლი უძღვნა
2990. საჩუქრებისთვის, დაჰპირდა ყველას გასაგონადაც,
თაფლუჭის დარბაზს რომ დასხდებოდნენ,
ვულფსა და ეფორს განძს უბოძებდა,
აავსებდა მათს მებრძოლ ხელებს; სიმამაცეს
სიმდიდრით რომ გადაუხდიდა, დაურიგებდა
მიწებს,
2995. ოქრო-ვერცხლს, მდიდრულ საზღაურს,
დიდი ღვაწლისთვის, რაც ჩაიდინეს. ყაბულს
იყვინენ გითი მოყმენი-
ჰიგლაქმა იმით დაადასტურა სიყვარული
ეფორისადმი,
ერთადერთი ქალიშვილის ხელს რომ შეჰპირდა.
და ეს დავაა, მტრობა და შუღლი,
3000. რაც შეედებთან ბრძოლას მოგვიტანს,
და როგორც კი გაიგებენ, რომ ჩვენი მეფე
გარდაცვლილია, უწინამძღოლოდ დარჩნენ
გითები,
- საუკეთესო მეფე დაჰკარგეს —
ვინც მტრებს დევნიდა,
3005. ვინც იცავდა განძსა და მიწას და ვინც იხსნა
პროთგარი და დანიელები —
მთელი ცხოვრება მამაცურად ვინც გაატარა.
მაშ წავიდეთ,
- გავეშუროთ ძღვევამოსილ ბეოვულფისკენ,
ვიხილოთ ჩვენი მეფის ნეშტი და უმაღვე
3010. კოცონში მივცეთ. მის ძვლების გარდა,

- გარდა მისი განძეულისა, ცეცხლმა სხვა ბევრი
რამ უნდა დასწვას:
ცეცხლს უნდა მივცეთ ოქროს გორების,
ის დაუთვლელი ხვაფი თასების,
ხვაფი ბეჭდების, მისმა სისხლმა რაც კი იყიდა.
3015. დავწვათ, დავნაცროთ, გავანადგუროთ.
ძეხორციელი
ამ ძვირფას თვლებით არ უნდა დატყბეს; არც
ლამაზმანმა
უნდა შეიმკოს ყელი ამ მზინავ სამკაულებით,
ამის ნაცვლად, ეს განძეული, სევდიანი და
მარტოსული,
გაემგზავროს უცხო ქვეყანას, დასრულდეს მისი
მხიარულება,
3020. როგორც დასრულდა ბეოვულფისა,
დასრულდა მისი ნეტარება და სიხარული.
აიწევა შუბები და გაიტყორცნება მრავალ ცივ
დილას,
მოყმეებს ველარ გააღვიძებს ჩანგის წკრიალი,
ჩანგის ნაცვლად გამოაღვიძებთ თვალბედითი
ყორნის ყრანტალი,
3025. სიკვდილის მაცნის და მსურველის,
რათა არწივს მიახაროს, ჩიჩახვი როგორ გავსებია
გვამების ხორციით,
და მუცელი მგლების მუცლებზე უფრო სწრაფად
ამოყოფია“.
- ამას ამბობდა მამაცი მაცნე,
სიმართლის მთქმელი, ოღონდ ავის მაუწყებელი.
3030. მერე აღგნენ მოყმეები და ნელ-ნელა დაუყვნენ
ფლატეს, მისჩერებოდნენ იმ შესანიშნავ

- სანახაობას, შეჩერდნენ და ცრემლი დასდინდათ,
გარდაცვლილი ბეოვულფი
როცა იხილეს, მათი მამაცი მწყალობელი
უკანასკნელ საწოლზე იწვა, ქვიშაზე იწვა;
3035. მიედწია ბოლო დღისთვის უძლეველ
მეფეს, ღიად ბატონს გითლენდის მხარის,
მკვდარს სიკვდილით სახელოვანით.
და ურჩხულიც დაინახეს, უცნაური, ქერცლოვანი
მხეცი იხილეს
- თავის კოშკის წინ გამოტოლი,
3040. ათასფერად აბზინებული, დადუმებული და
ჩამწვარი საკუთარსავე სიმხურვალეში.
ორმოცდაათი ფუტის სიგრძე, დაფრინავდა
ჩუმ სიბნელეში, სწრაფად მფრინავი
ჰაერს სინჯავდა და ეშვებოდა
3045. ბუნავისაკენ. ახლა კი სიკვდილს ჩაეგდო ხელში;
ველარასდროს უღარაჯებდა გამოქვაბულებს,
ველარც კოშკებს უღარაჯებდა
ველარც განძეულს შეინახავდა, ველარც თასებს,
ვერც ძვირფას ლანგრებს,
ძირს გაფანტულებს, ვერც ვერცხლს და
სპილენძს,
დამტვრეულსა და დაქანებულს, შეჭმულს,
3050. თითქოს მიწაში იდო ათასობით ზამთრის
მანძილზე.
მთელს ამ სიმდიდრეს, ამ დაუთვლელ
განძს ზედ ეს ეწერა:
კოშკში ვერავინ შევიდოდა, ვერც იდუმალ
კარს გააღებდა, თუკი უფალი
3055. გამარჯვებათა, იგი, ვინც მწყემსავს ადამიანებს,

თვით უფალი, ყოვლისგამრიგე, არ დართავდა იქ
შესვლის ნებას,
და მხოლოდ მას დართავდა ნებას.

- განძს თავის კოშკში ღრმად რომ მალავდა,
ღმერთის კანონი დაარღვია ამით ურჩხულმა
3060. და სასჯელიც მიტომ იწვნია.
ნაპარავ განძის ღარაჯობისას დრაკონმა მოჰკლა
ვიგლავის მეფე,
მაგრამ თვითონაც სიკვდილი ჰპოვა.
ვინ უწყის თუ უფლისწულებს და მათ მოყმეებს,
მძლავრ, უმამაცეს ადამიანებს,
სიკვდილი როდის მიეახლებათ, მათი დრო გადის,
3065. მათი სახლ-კარი, დარბაზები ცარიელდება.
ბეოვულფმა ჰპოვა დრაკონი,
ბრძოლაც შეჰბედა, თუმცა არ იცოდა, ღმერთს
რა როგორ გადაეწყვიტა,
ან სიკვდილი თუ ეწვეოდა ანდა რატომ უნდა
სწვეოდა,
ჯადო იყო დატოვებული
3070. გარდასული კაცების მიერ; განკითხვის დღემდე
რომ იქნებოდა.
ვინც ოდესმე ამ ძვირფას თვლებს მოიპარავდა,
დაინთქმებოდა ცეცხლში ოქროს ჯოჯოხეთისა
დამძიმებული ცოდვითა და დანაშაულით, თუ აქ
სიხარბე

მოიყვანდა: ღმერთს თუ შეეძლო დაერღვია ეს
ჯადოსნობა»

3075. კაცთათვის მადლი მოეფინა.

თქვა ვიგლაფმა, ვექსტანის ვაჟმა:

„როგორ ხშირად ზარალდება მთელი ქვეყანა,
ერთი კაცი რომ გამოაკლდება! ეს დრო გვეწვია:
საყვარელ მეფეს ვთავაზობდი

3080. ფარსა და დაცვას, ვარიდებდით საშიშროებას,
ვევედრებოდით, რომ დრაკონი იქ დაეტოვა, იქ
იმ ბნელ კოშკში,

სადაც ამდენხანს იყო, დაეტოვა
თვით სამყაროს დასასრულამდე. მაგრამ ძალზე
ძლიერი იყო

ბედისწერა და მისი წადილი, იცის ყველამ,
რამხელა განძს შეეწირა

3085. მისი სიცოცხლე: თუმც ბეოვულფი ღირსი იყო
უფრო მეტისა,

ვიდრე ეს განძი და ეს ჯილდოა.
ვნახე ყოველი, ვიყავი კოშკში,
სად დამალული იყო აბჯარი და განძეული,
შევცქეროდი ამ შემზარავ, ომგამოვლილ საგნებს
ვუცქერდი.

3090. შევავროვე ოქრო და ვერცხლი,
რაც შევიძელი, წამოვკრიფე
და ჩემს მეფეს მსწრაფლ მივებახლე.
იქვე იწვა ბეოვულფი, სული ჯერ ედგა,
ლაპარაკი კიდევ შეეძლო და გონებაც ფხიზელი
ჰქონდა.

3095. სევდიანად მომმართა მეფემ, მთხოვა, რომ თქვენ
შეგვებებოდით,

მთხოვა, როგორც კი მის ნეშტს დაწვავდით,
აქ მოგეტანათ მისი ფერფლი. ყველაზე მაღალ
კოშკად გექციათ

ეს კოშკი და იმის საფლავად — ისე დიდად და
მარადიულად,
ვით სახელმწიფო ჰქონდა ბეოვულფს, როცა
მიწაზე დააბიჯებდა,

3100. არცერთ კაცთავანს მასთან შებმა რომ არ
შეეძლო.

წამოდით, კოშკში შევიდეთ და
უკანასკნელად ვნახოთ დრაკონის
ბრწყინვალე განძი: მე გაგიძღვებით და
მიგიყვანთ

გროვამდე უცხო თვალმარგალიტის,
3105. ბეჭდებისა და ოქრო-ვერცხლის. დაე აენთოს
მაღალი კოცონი:
და როგორც კი სამალავს ვნახავთ,
საყვარელი მეფის ცხედარს იქ დავასვენებთ,
ჩვენი მწყემსის და წინამძღოლისა, სადაც
განისვენებს სამუდამოდ

ღვთის სავანეში“.

3110. და უბრძანა მერე ვიგლაფმა
უმდიდრეს გითებს, მამაც მოყმეებს,
მიწათმფლობელებს, წინამძღოლებს,
შეშის მოტანა დასაკრძალად ბეოვულფისა:
„ცეცხლი შთანთქავს ახლა მის სხეულს,

3115. დამძიმდება ცეცხლის ალი და გაშვდება
მისით, ვინც უძლებდა რკინის პერანგზე
მოხვედრილ ისრებს,
შუბებს, დაკბილულ და ბასრ შუბებს,

ფარებს რომ ჰკვეთდნენ,
და წვერმახვილ ისართა გრიგალს“.

3120. და ვექსტანის ბრძენმა ვაჟმა ამოარჩია
შვიდი გითი,
გითთა შორის ღირსეულები, და ჩაუძღვა
მოყმეთ გვირაბში, კოშკის სიღრმეში
რომ მიდიოდა; წინ მიმავალს
ჩირაღდანი ეჭირა ხელში. საუკეთესო მოყმეები
3125. ბეოვულფის მიმდევართაგან, მიჰყვებოდნენ
ამ კაშკაშა ალს: იხილეს ოქრო,
ვერცხლი იხილეს, დაუცველად რომ ლპებოდა აქ,
ამ ქვესკნელში. გითებს არც კი უყოყმანიათ,
და არც შემკრთალან, შეაგროვეს სასწრაფოდ
განძი
3130. და მალლა, კოშკში ამოიტანეს.
დააგორეს კლდიდან დრაკონი,
ოკეანეში გადააგდეს,
გაიტაცა ტალღის მოქცევამ. მერე კი განძი,
ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი თვლები,
3130. საზიდარზე მოაქუჩეს, ბეოვულფის სხეულთან
ერთად,
და ჩაიტანეს ქვიშის ნაპირზე, სად კოცონი
ელოდებოდათ.

- დაახვავეს უზარმაზარი გროვა შეშისა,
შემოაწყვეს მუზარადები ირგვლივ, ფარებიც
შემოუწყვეს,
ელვარე ჯაჭვის პერანგებიც იქ დაალაგეს,
3140. ბეოვულფმა როგორც ითხოვა.
მოსვენეს მეფის ცხედარი, საყვარელი და
ძღვეამოსილი
მეფის ცხედარი, გლოვა-გოდებით დაასვენეს
მალლა, მორებზე.
სამგლოვიარო ცეცხლი აანთეს,
თანდათან ასცდა ცეცხლის ალს კვამლი,
3145. შავი და სქელი,
და ვიდრემდე ჰქროდა ქარი და ღმუოდა ცეცხლი,
დასტიროდნენ გაუჩერებლად, და დაიფერფლა
ნეშტი მეფე ბეოვულფისა.
და გაჰქრა ნეშტი. იქავე იდგნენ გითები და
წუხილს გოდებით გამოთქვამდნენ, მწყემსს
დასტიროდნენ.
3150. ქალმა სახედალარულმა, ჭაღარა თმა რომ თავზე
მრგვალად შემოეგრავნა.
მოთქმით იმღერა გლოვის სიმღერა,
სიმღერა უსაზღვრო წუხილისა,
შავი ღღეების, მომავალ შიშის,
უბედურების, მკვლელობათა, თავდასხმათა და
ტყვეობისა.
3155. და კვამლი კი ზეცამ ჩაყლაპა.
მერე გითებმა კოშკი ააგეს, როგორც ითხოვა
ბეოვულფმა,

მტკიცე კოშკი, მკვიდრად ნაგები, მეზღვაურებს
შორიდანვე რომ შეემჩნიათ; ათი გრძელი დღე
იმუშავეს და ბეოვულფს აუგეს ძეგლი,

3160. კედელში დაფლეს მისი ფერფლი,
იმ სიმაღლეზე, სადაც ბრძნული და მოყვარული
ხელი სწვდებოდა.

ხოლო განძი, მან და ვიგლაფმა
პირცეცხლა დრაკონს რომ გამოჰგლიჯეს, ბეჭდები
და სამკაულები,

უძველეს დროის თორ-აბჯარი — მთელი განძი,

3165. რაც მოიხვეჭეს ბეოვულფმა და ვიგლაფმა, იქვე
დატოვეს,

ვერცხლეული და თვალმარგალიტი ქვიშაში
ჩაფლეს,

დაუბრუნეს ისევ მიწას,

სამუდამოდ გადამალეს, რომ ვერავის ვეღარ
ეპოვნა.

უმამაცესმა თორმეტმა გითმა

3170. კოშკს ცხენებით შემოუარეს,
თავიანთ წუხილს გამოთქვამდნენ, ბეოვულფის
ამბებს ჰყვებოდნენ,

ბეოვულფის დიდების ამბებს,

ხოტბას ასხამდნენ მის გმირობას, და მის
ცხოვრებას,

კეთილშობილს მის სახელივით ყოველმა კაცმა

3175. უნდა ასეთი სიტყვები თქვას თავის მეფეზე,
სიტყვა, გამთბარი სიყვარულით,

როცა მათი ფარი და მცველი


სხეულს დასტოვებს, სულს გაგზავნის
მაღლა, ზეცაში. ცხენებით ასე დადიოდნენ
გითი მოყმენი, თავის საყვარელ მეფეს

გლოვობდნენ,
3180. მოთქმით ტიროდნენ, უკეთეს მეფეს არასდროს
რომ არ უცხოვრია,

არც უფლისწულს ასე მოწყალეს, არც კაცს,
ასე გადაგებულს

თავის ხალხისთვის, ღირსს ყოველგვარი
ხოტბა-დიდების.

დასასრული.



„ბეოვულფის“ გარემო

„ბეოვულფის“ ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა

არავინ იცის, როდის შეიქმნა „ბეოვულფი“, ვის მიერ ან რისთვის. ერთადერთი მანუსკრიპტი გადარჩა მას მერე, რაც ჰენრი VIII-მ დაშალა მონასტრები და მათი დიდი ბიბლიოთეკები დაარბია; ლორენს ნოუელი, მეთექვსმეტე საუკუნის სქოლარი, შეიძლება ჩაითვალოს „ბეოვულფის“ გადამრჩენად, რადგან ერთ-ერთ ფოლიანტს მისი სახელი აწერია. მანუსკრიპტი წარმოდგენს ორ სხვადასხვა ხელნაწერს: ხოლო თუ რამდენი ხელნაწერი არსებობდა, ან რამდენად ახლოა ეს ვარიანტი ორიგინალთან, ალბათ არასოდეს გახდება ცნობილი. უეჭველია, რომ ცუდმა ყდამ და ამას დამატებულმა საბედისწერო ხანძარმა 1731 წელს, დროთა განმავლობაში სერიოზულად დააზიანა მანუსკრიპტი. „ბეოვულ-

ფის“ ტექსტის ერთი ნაწილი ცნობილია მხოლოდ ორი ასლის საშუალებით, რაც შესრულებულია 1786—1787 წლებში დანიელი სქოლარის, ტორკელანის მიერ. სხვა ნაწილი, მთლიანი სტრიქონები, ან მანამდე გაჰქრა, ვიდრე მანუსკრიპტი ტორკელანის ხელში მოხვდებოდა, ან, უბრალოდ, აკლია, ანდა არასრულია: ცარიელი ადგილები უნდა ამოვსებულიყო მიხვედრილობის წყალობით და ხანდახან ულტრააისფერი ფოტოგრაფიით.

მაგრამ ჩვენ მაინც გვაქვს ეს პოემა და მართლაც იღბალია, რომ გვაქვს: ის არა მხოლოდ უნიკალურია, ერთადერთი ნიმუშია, რაც ეპიური ტრადიციის აღდგენაში გვეხმარება, არამედ დიდი პოეზიაა. ის ფასდაუდებელია, როგორც არქეოლოგიური რელიკვია. როგორც ლინგვისტური დოკუმენტი, საოცარია, ესაა მაღალი აღმოჩენათა და წინააღმდეგობებისა. პოემა გვიქმნის ცოცხალ წარმოდგენას ძველი ინგლისის სოციალურ ყოფაზე, ძველ ინგლისურ პოლიტიკასა და კიდევ მრავალ რამეზე, რაც მეცნიერებს დიდი ინფორმაციის მიღების საშუალებას აძლევს. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, „ბეოვულფი“ დიადი პოემაა; მის აბსოლუტურ ლიტერატურულ ღირებულებასთან შედარებით სხვა ღირსებანი მხოლოდ მეორეხარისხოვანია.

ეს, არსებითად, არისტოკრატიული პოემაა, რაც მეფეებს და მეფობას შეეხება:

როგორ მართავდა მრავალ ქვეყანას:

როგორ გზავნიდა მემორებს ყველგან, სადამდეც კი ზღვა წაიყვანდათ,

ისინი უკან ვით ბრუნდებოდნენ ხარკით და ძლევით:

მამაცი იყო სკილდ სკეფინგი!..

ძალა და სიმამაცე უმთავრესი ღირსებებია ორივე-
სათვის, წინამძღოლისთვისაც და მიმყოლისთვისაც. მაგ-
რამ თუკი მსახურის ძირითადი ვალდებულება ერთგუ-
ლებაა, მეფის მდგომარეობა უფრო რთულია.

აურაცხელ განძეულს ფლობდა შობიდანვე მეფე ჰერმოდო
და ვულმაგარი მეომრებით სავსე ქალაქებს.

უგუნურებამ უხეშად და ტლანქად აქცია,
ყურს არ უგდებდა აღარავის, მხოლოდ თავისთავს თუ
ენდობოდა,

დაიმსახურა ტანჯვაც, სიკვდილიც;

909—913.

ასეა დახატული ჰერმოდო, მეფე უეჭველად მამაცი,
უსაზღვროდ ძლიერი, მაგრამ უძლური, გაეწონასწორე-
ბინა აბსოლუტური ძალაუფლება დიდსულოვნებასთან
თავისი ხალხის საკეთილდღეოდ; უძლური, რათა წინ
გასძლოლოდა და თან გაფრთხილებოდა თავის მეომ-
რებს. პოეტი მაშინვე უპირისპირებს ამ გულმხეც ვე-
ლურს, ვინც სიმთვრალისას გააფთრებული ხოცავდა
უახლოეს მეგობრებს, ბეოვულფს.

...ბეოვულფი სულ სხვა მოყმეა,

ყველასათვის საყვარელი, სამეგობრო და მისანდობი;
ეს პოემა შექმნილია ინგლისში, ალბათ ოთხი საუ-
კუნით ადრე ნორმანთა დაპყრობებამდე. და ეს ინგლისი
დაახლოებით მერვე საუკუნისაა ქრისტეს შემდგომ; აქ
დახატულია მეექვსე საუკუნის გითების, დანიელთა და
შვედთა სოციალური ყოფა, უეჭველად ფეოდალური,
მაღალი ცივილიზაციისა და დიდი სიძლიერის, და ახალი
ქრისტიანული პლასტები ზნეობისა, სინაზისა და ღვთის-

მოშიშობისა ერთმანეთშია შერეული „ბეოვულფში“, და
ამას ემატება განდიდება ომისა, სიკვდილისა და სახე-
ლისმოხვეჭისა; ისეთი მოსაწყენი საქმიანობა, როგორი-
ცაა ფერმერობა, თევზაობა (გარდა სპორტული ინტერე-
სისა: იხ. სტრიქ. 1432—1441) და მზრუნველობა დი-
დებსა თუ პატარებზე, დამცირებულია, თუ შემთხვევით
სადმეა ნახსენები. მონობა ნებადართულია: როცა მონა
თან ახლავს ბეოვულფსა და მის რაზმს, ურჩხულის
ხრიოკ გამოქვაბულში, პოეტი მას ანგარიშში არ თვლის.
„თორმეტი მოყმე მიაბიჯებდა თავის მრისხანე მეფეს-
თან ერთად“. გვეუბნება 2401 სტრიქონი, მაგრამ ხუთი
სტრიქონის მერე პოეტი უმატებს, რომ „მეთორმეტე
კაცი“ — მონა — აგრეთვე მათთან იყო. მთავარი ხელ-
საწყობები ამ პოემაში იარაღებია: მტკიცე მახვილები და
მუზარადები მამიდან შვილზე გადადის, ისინი მაცო-
ცხლებელი განძეულივითაა. მახვილებს აქვთ თავისი
სახელი და წარმომავლობა, მსახურებს კი — არა.

პოემის მეტი ნაწილი უფრო გაჭიანურებულია, ვიდ-
რე, როგორც მოსალოდნელი იყო, დაწვრილებით მოთხ-
რობილი. ბეოვულფის სამი ბრძოლა, გრენდელთან,
გრენდელის დედასთან და დრაკონთან, საოცრად მცირე
ნაწილს შეადგენენ ეპოსისა. როგორც იაპონური ცე-
რემონიალური ჭიდაობისას, მოსამზადებელი პერიო-
დი — სიტყვები, რჩევა-დარიგება, რემინისცენციები —
ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც თვით ბრძოლა და
უფრო დიდ ადგილს იკავებს. პოეტს შეუძლია გადმოს-
ცეს ბატალური სცენა მკაფიოდ, ბრწყინვალე ნიჭით:

შემოუტია კვლავ გველუშაპმა, გამოაფრქვია კვლავაც

ცეცხლი,

ტკივილისგან გამწარებულმა, მძვინვარე ცეცხლი,

გამოიჭრა საშინელი, სასტიკი მხეცი, შიში სულ რომ აღარ
ახსოვდა.

ეშვებით მისწვდა ბეოვულფს ყელში;
შებარბაცდა ბეოვულფი, სისხლმა იჩქეფა მისი ყელიდან,
წვიმასავით იჩქეფა სისხლმა.

2688—2693.

და უეჭველია მიკერძოება ბრძოლის სცენაში, აქ ნაჩ-
ვენებია უმთავრესი როლი კაცისა ამ მოყმეთა ბატო-
ნობის საზოგადოებაში:

არცერთი მღვდრი, თუნდაც მრისხანე, ჯერ მამაკაცის
ძლიერებით არ აღვსებულა
კაცის ძალით და სიმამაცით არ უბრძოლია.
შემუსრა მათი ელვარე ხმლები,
მტკიცედ ნაჭედი მახვილები, ტახისთავიანი მუზარადები,
სცემდა და ჰკვეთდა ბასრი ბრჭყალებით.

1283—1287.

მაგრამ პოეტი წვდება თვით ბრძოლის მნიშვნელო-
ბას და არ გვაწვდის შიშველ ფაქტებს. მას აინტერესებს
თუ რა არის კარგი მებრძოლის ნიშანი, რა აქცევს გმი-
რად ადამიანს; იგი კეთილი კაცებისა და ბოროტი ურ-
ჩხულების გონებაში იხედება.

გრძნობდა, ძალა ეშრიტებოდა,
ბრჭყალებს ვეღარც კი ატოკებდა, ო, რა მძლავრად
ჩაებლუჯა ჰიგლაქის მოყმეს,

ერთსაც აბორგდა გველეშაპი
ძალის ნიშატიც არ შერჩენოდა, დაიგრიხა ტკივილებისაგან
მხრებზე დააწვდა სისხლიანი კუნთები გრენდელს...

811—815.

როცა ბეოვულფმა აიღო ხმალი „გოლიათთა ნაქო-
ნი“, რომელიც გამარჯვებას მოუტანდა გრენდელის დე-
დაზე, პოეტის აღწერილობა უფრო ღრმავდება — თუმ-
ცა არც მოქმედება დუნდება:

გაათრებულმა და მრისხანემ, თავდავიწყებით მალა
შემართა.

დაჰკრა კისერზე, რაც შეეძლო,
ძალა რაც კი შემორჩენოდა...

1564—1566.

ღმერთი უწყალობებს ბეოვულფს გამარჯვებას, მაგ-
რამ მხოლოდ მას მერე, რაც „კვლავ ფეხზე დადგა ბე-
ოვულფი. კვლავ მიეტანა ურჩხულს საომრად“. კარგი
მებრძოლი. გმირი, კაცი, ყველა განძთაგან უძვირფა-
სესს — სახელს — რომ მოიპოვებს, ის ადამიანია, ვინც
არასოდეს ნებდება და არასოდეს სწყუხს, თუ რა მო-
ჰყვება სიმამაცეს:

ვისაც სახელი სწყურია, არაფერს შეუშინდება.

1535.

და დიდების ეს წყურვილი არც არასოდეს ჰქრება
გმირის გულში:

...ახლა მოვხუცდი,
მაგრამ ბრძოლით ახლაც ვიბრძოლებ, მოხვევით სახელს
ახლაც მოვიხვევქ.

1512—1513.

...მაგრამ მამაცი, მოხუცი შველი
არ შემკრთალა: და უმალვე
უქმეთესი დარტყმა აგემა,
დაარტყა ვულფს უფრო სასტიკად...

2967—2970.

167

აღბათ ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ნიმუში იმ პოზიციისა, საიდანაც ხედავს პოეტი ბრძოლას, არსი იმ ფასეულობათა, რის შექმნასაც ცდილობს, არის კულმინაცია დრაკონთან ბრძოლისა. ბეოვულფი, დასუსტებული ასაკითა და დროყამით, თანდათანობით, მაგრამ ბოლოს მაინც მარცხდება — „აქამდე მეფე, მაგრამ ახლა კი დამარცხებული მეომარი“. სხვა მეგობრებმა მიატოვეს, მაგრამ ვიგლაფი ფხიზლადაა, ყოყმანობს. დაახლოებით ათი სტრიქონი ეძღვნება მის ეჭვებს (და მის ჩამომავლობას), შემდეგ:

...და ვიგლაფმა გადაწყვიტა
გადასაწყვეტი; ასწია თავის ყვითელი ფარი
და უძველესი ხმალი იშისვლა...

2608—2610.

ბეოვულფი აგონიაშია, „მრისხანე ალი ხორცს უწავს“, გადაწყვეტილება მიღებულია, გაჰყვეს მის კვალს; მახვილი გაშიშვლებულია, ფარი აღმართული, და ამას რაღა უნდა მოჰყვეს? თავდასხმა დრაკონზე, თავგანწირული შეტაკების სცენა? სრულებითაც არა. პოეტი ჩერდება (ჩვენი შეხედულებით) შუა ნაკადში, ჯერ თორმეტ სტრიქონში ვიგლაფის ხმალზე მოგვითხრობს, თუ როგორ მოიპოვა მამამისმა ბრძოლაში, შემდეგ ოცდაათ სტრიქონს უძღვნის არამზადებს, ვინც მიატოვეს თავისი მეფე გაჭირვების უამს, და შემდეგ, მხოლოდ შემდეგ, მოკლედ მოგვითხრობს ბრძოლაზე. ამ დროს ვიგლაფი ახერხებს რვასტრიქონიანი საბოლოო სიტყვა წარმოსთქვას გასამხნეებლად, როცა ჩაყვინთვას აპირებს „მომაკვდინებელ ოხშივარში გველეშაპისა“, ბეოვულფის მისახმარებლად. საბრძოლო სცენა, ახლა უკვე

მესამე, ღირს ლოდინად; საქმე ისაა, რომ პოეტი ბრძოლას არ წარმოიდგენს, როგორც ერთის მიერ მეორის აკუწვას (ან ურჩხულის აკუწვას). ბრძოლა ცხოვრების წესია, აუცილებელი ფუნქცია საზოგადოების უღირსეულეს წევრთათვის. საზოგადოდ, მეფეები და მეომრები (სამურაები) თავისი დროის იღბლიანი ხალხია, პრეზიდენტები, დიდ სივრცეთა მკვლევარები და კინო-ვარსკვლავები ეს არის ღირსახსოვარი ხალხი, ვისაც უნდა მიეზიდავოდ, მაგრამ არა ბრმად, არა მხოლოდ იმიტომ, რომ წარმატებულნი არიან (სიკვდილი მათი მოღვაწეობის უმაღლესი შედეგია): ისინი სწორ, ჭეშმარიტ ბილიკს მიჰყვებიან; მათ სიტყვებში, მათ ფერებში, მათ ღვაწლში განხორციელებულია ანგლო-საქსური ცხოვრების წესი.

მათი ზნეობა, წარმოშობილი იმ დროსა და იმ გარემოში, ისევე, როგორც ჩვენი რწმენა არჩევნებისა და სახელმწიფოთა უამრავი (და საწინააღმდეგო) იდეოლოგია, წარმოშობილი ჩვენს დროსა და ჩვენს გარშემო, მხოლოდ ქრისტიანულად არ წარმოგვიდგება. და მაინც, პოემა აღვსილია ქრისტიანული გრძობებით, რაც შერწყმულია მასში შემავალ, ცოტა თუ ბევრად, წარმართულ კანონებთან, ბრძოლისა, გამირობისა და მეფობისა (რაც საერთო იყო დანიელთათვის, შვედთათვის და ევროპის ყველა ხალხისათვის). „ბეოვულფის“ ადრეულ შემსწავლელებს ხანდახან ეჭვი შეჰქონდათ, რომ ეს პოემა ერთ ხელს შეეძლო დაეწერა, ისევე როგორც ჰომეროსის ადრეულ შემსწავლელებს ეეჭვებოდათ, რომ ერთი ოდესმე თუ არსებობდა, როგორც ცალკე ადამიანური გონი, ჩასახლებული ერთ ადამიანურ სხეულში. რაც არ უნდა ითქვას, მშვენივრად ჩანს და მე ეჭვი

არ მეპარება — რომ „ბეოვულფი“ ერთი კაცის შექმნილია და რომ მისი ავტორი ქრისტიანი იყო.

და მგონის წმინდა სიმღერა
უგალობებდა დასაბამს ჩვენსას,
მოიხსენებდნენ არსთგამრიგეს, რომელმან შექმნა ხმელეთი და

მშვენიერ ველებს ოკეანენი გარსშემოავლო,
მერე ამაყად დაასვენა მზე და მთოვარე,
მთელ ხმელეთს რომ ასხიგოსნებდნენ.
ამოზარდა ირგვლივ ხეები, გაფოთლა და ააყვავილა,
შექმნა ერები, თავთავისი სახე უბოძა.

90—97.

ეს ეგრეთწოდებული, „სამყაროს შექმნის სიმღერა“, ასეთი შემძკრელი და სიტყვაკაზმული, პოემაში როგორღაც ამოვარდნილად მოჩანს, მას იქვე მოსდევს გრენდელის აღწერილობა, ვინც „ქვესკნელში... ბნელში... ბინადრობს“ და უკმაყოფილოა, რომ დანიელები გულით ილხენენ ჰეროთში, ახალ საბრძოლო დარბაზში. ვინც ეს დაწერა, ნამდვილი ქრისტიანი იყო, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს წინაშეა, მხოლოდ და მხოლოდ, ბერული ხელით შესწორებული პოემა, რათა გაეწონასწორებინა ეს, არსებითად, წარმართული ეპოსი. მაგრამ ქრისტიანული ნაწილების უმრავლესობა „ბეოვულფში“ ასე იოლად არ არის მისაჩნევი ინტერპოლაციად. „ღმერთს მადლი ვუძღვნათ!“ შესძახებს. ვთქვათ, პროთგარი, როცა დანიელები შეიკრიბებიან ბეოვულფის გრენდელზე გამარჯვების საზეიმოდ. ესაა მისი პირველი სიტყვები; იგი იქვე აგრძელებს, რათა თავისი განცდა გამოხატოს:

170

როცა უფალი მოიწადინებს, სასწაულებს სჩადის უფალი,
საოცრებებს, საკვირველებებს, ეს ქვეყანა ხელში უპყრია.

930—931.

როგორც უკვე აღვნიშნე, ღმერთი უძღვის წინ ბეოვულფს გრენდელის ბოროტ დედაზე გამარჯვების მოსაპოვებლად, მაგრამ ბეოვულფი რამდენჯერმე აცხადებს, რომ სურს თვით იყოს თავისი თავის შემწე. მაგალითები შეიძლება მრავლად დავიმოწმოთ: ქრისტიანობის არსი აქ, შესაძლოა, ისეთი არ არის, როგორც მეოცე საუკუნის ლონდონში ან კალიფორნიაში, მაგრამ მაინც ქრისტიანობაა პოეტის ფიქრისა და მსოფლმხედველობის მთავარი ნაწილი.

„სამყაროს შექმნის სიმღერა“ გვიჩვენებს პოეტის მრავალრიცხოვან ნიჭთაგან კიდევ ერთს: მის გენიალურ აღწერილობით უნარს. არც ერთი ნაწყვეტი მისი აღწერილობიდან არაა უმიზნო: მათ ყველას თავისი დანიშნულება აქვს, ან გვიხსნის რამეს, ან სცენას ხატავს, ანდა გადასვლას აწესრიგებს.

როს ბილიკი მოსწორდებოდა,
ცხენებს ლაღად მოაქენებდნენ,
მათი ზურგები, წითელ-ყვითლად, ყავისფერად ნაფერადები,
მთელს გზაზე ჩანდა.

864—866.

ვფიქრობ, განზრახული იყო, რომ ეს სურათი უფრო „მართალი“ ყოფილიყო, ვიდრე მშვენიერი. ცხენების შეჯიბრი მიღებული და დიდად დაფასებული სპორტი გახლდათ; ცხენები სასურველი იყო სწორედ ზემოთაღნიშნული ფერებისა ყოფილიყო; და ვიღაც იქვე რომ

171

მდგარიყო და თვალყური ედევნებინა, ადვილად დარწმუნდებოდა, თუ როგორი ზუსტია ეს აღწერილობა. პოეტის მსმენელებს — სხვა ძველი ინგლისური ლექსებივით, „ბეოვულფი“ უფრო მოსასმენად იქმნებოდა ვიდრე წასაკითხად — უმჭველია თვითონ ენახათ ამგვარი შეჭიბრებანი, თანაც მრავალჯერ და დასტურის ნიშნად თავს დაიქნევდნენ, ვიცანითო. ეს ალბათ მართლაც ასე იყო — ან ასე უნდა ყოფილიყო. მაგრამ ჩვენ, ვისთვისაც მეფეები არაფერს წარმოადგენდნენ და ურჩხულები არ არსებობენ, ვისთვისაც ცხენები სანაძლეოს საშუალებაა და გვაქვს გზები, ათასცხენისძალიანი მანქანები რომ დადიან, ყველაზე უფრო ძლიერ, უბრალოდ მკაფიო და მძაფრ მშვენიერებას განვიცდით ამ სცენისას.

წარმოსახვითი მოვლენების აღწერილობაც ასევე მკაფიოა:

ხედავდნენ, ტბა გველებს გავესოთ,
ჯადოსნური მცურავები სხმარტალებდნენ მდულარე ტბაში,
კლდეებზე კი ზღვის ცხოველები გაწოლილიყვნენ.
იმათი ჯიშის, ოკეანეში რომ ჩნდებიან გამთენიისას,
და ხშირად ხომალდები მათ ყბებში რომ ამთავრებენ
მოგზაურობას.

1425—1429.

პოეტს არასოდეს უხილავს ამ ურჩხულთა ტბის მსგავსი რამ; არც მის მსმენელებს უნახავთ. მაგრამ მაინც ნათელი იქნებოდა მათთვის, დარწმუნებული ვარ, და არა როგორც წარმოსახვითი ვარჯიში, არამედ როგორც მაგიური გამოწვევა იმისა, რასაც უნდა ეარსება, სადღაც, როგორღაც.

ახლა კი

ხომალდი იდგა სანაპიროზე ქიმმოტვიფრული და მას ელოდა.

აქეთ მოჰქონდათ ძვირფასი ტვირთი,
მოასვენებდნენ მოწყალე ბატონს,
და რომ ანძასთან დასვენეს მეფის ცხედარი
დაახგავეს აუწონელი განძეულობა, მოოჭვილი მუზარადები,
დასალიერით მოზიდული აურაცხელი ჯავშანი, ხმალი,
ჯაჭვის პერანგი...

32—38.

სატონ ჰუს გათხრებმა, ცერემონიული და ალბათ სამეფო ხომალდის აღმოჩენამ, რაც დაახლოებით მეშვიდე საუკუნეს ეკუთვნის ქრისტეს აქეთ, გვიჩვენებს, თუ რა მცირე როლს თამაშობდა ფანტაზია ამგვარ აღწერილობებში (სატონ ჰუს სიმდიდრისა და საოცრებების კატალოგი აქ საჭირო არ არის). ყველა პოეტის მსგავსად, ბეოვულფის ავტორიც აზვიადებს, აჭიანურებს ადგილებს, რათა ამბის მდინარეა უფრო გააიოლოს — მაგრამ ამას არ სჩადის მართლაც მნიშვნელოვან ადგილებში და მეფის დამარხვის ცერემონია მისთვის უპირველესი მნიშვნელობისაა. იმ ძვირფას განძზე საუბარიც კი, დედამიწის „დასალიერით“ რომ იყო „მოზიდული“, დამტკიცდა რომ გადაჭარბებული სულაც არ ყოფილა: სატონ ჰუს დამარხულ განძეულში შედის დიდი ვერცხლის ჭურჭელი, რომელსაც ადევს ნიშანი ბიზანტიის იმპერატორ ანასტასიუსისა, ვინც ჩვენი წელთაღრიცხვით 518 წელს გარდაიცვალა.

„ბეოვულფის“ მრავალმხრივ ღირსებათაგან ჩვენთვის ყველაზე მიმზიდველია ის, რომ პოეტს კარგად ესმის ხალხისა. იგი ჰქმნის, გარკვეული აზრით, თავის დამო-

კიდებულებას ანგლო-საქსური ზნეობისადმი თავისი აღწერილობითი და მთხრობელური ნიჭით, თავისი შეხედულებას პროთგარისა და ვიგლაფის მსგავს ხალხზე, მისი პორტრეტების ზომიერება და დახვეწილობა ღრმა კმაყოფილებას გვანიჭებს. უმრავლესობა არაპირდაპირაა გადმოცემული და შესრულებულია (ისევე როგორც საუკეთესო თანამედროვე პროზაში წარმოჩენილი დახასიათებანი) ხალხის სიტყვებითა და მოქმედებით. ვთქვათ, ვულფგარის მოუთმენელი აღფრთოვანება, ვინც იჩქარის ბეოვულფის მოსვლა ამცნოს მეფე პროთგარს, მშვენიერადაა ამოზიდული ხუთსტრიქონიან მიმართვაში:

ვამცნობ ჩვენს მეფეს
მწყალობელ მეფეს,
გამოვეჩქარო მერე თქვენსკენ დანახარებით,
და მოვახსენოთ, რასაც მომიგებს
პასუხად თქვენი სიტყვებისა.

351—355.

ვულფგარის ენთუზიაზმი მით უფრო შესანიშნავია, როცა ვიგებთ, რომ უცხოელი მეფის კარზე ყოველთვის მიდიოდნენ მათხოვრები, განდევნილები, ის ადამიანები, ვისი ფეოდალიც გარდაიცვალა, ამბოხებულები ან ამის მსგავსნი. ამგვარი კაცის მიღება საშიშიცაა. ეს ნაჩვენებია ჰერდერდის მაგალითით: იხ. 2380—2390 სტრიქონები.

ჩემს „ძველ ინგლისურ ლექსებში“ მივუთითე იმ თავაზიანობასა და მზრუნველობაზე, ვიგლაფი რომ იჩენს. ყველაზე შესამჩნევი დახასიათება პოემაში, მჯერა, რომ პროთგარის დახასიათებაა. ვინც ვაცოცხლებუ-

ლია სრულყოფილად და შესანიშნავად, რასაც ღირსეულად ვერ წარმოგვიდგენს, რამდენიც ვნებავთ ციტატამაგრამ ნაკლებმნიშვნელოვანი პერსონაჟებიც ისეთივე ნიჭითაა გადმოცემული. დედოფალი ველთოუ ოსტატურადაა დახატული: მის ვედრებაში, პატარა ვაჟების ინტერესებისათვის, გამყვანებული ირონია ყველა მსმენელისათვის ნათელი იქნებოდა. თავის ქმარსა და მის ძმისწულს, პროთულფს, რომ მიმართავს, იგი ამბობს:

...შვილების ბედი ნუ შეგამფოთებს.
პროთულფის კალთას იქნებიან შეფარებულნი,
თუ ბედისწერამ წაგიყვანა, ცოცხალია ვიდრე პროთულფი,
ხომ ვიცი შენი ნათესავის გულკეთილობა,
და სიკეთითვე გადაიხდის იმ კეთილ ამაგს, რაც შენ
მისთვის გაგიწევია...

1180—1184.

მისი შეხედულება ვნებებით სავსე დანიელთა სამეფო კარზე, სადაც ბედს გადაეწყვიტა გამცემლობა და მკვლელობა პროთგარის სიკვდილის შემდეგ, შეიცავს მცდარ (ან თავგანწირულ) გამოხატულებას კეთილი რწმენისა:

აქ ყველა მოყმემ როგორ თბილად ილაპარაკა,
იფარავენ თავიანთ ბატონს, ენდობიან თავის მეზობელს,
მორჩილი ყმები არიან და ისეთ ხალხით იბრძოლებენ
როგორცა სვამენ...

(1228—1231).

მისი უიმედობა პათეტიკურად ნათელია.

რამდენადმე შემთხვევითი გმირების გარეგნობაც ნათლად და მზრუნველობითაა გადმოცემული: მონაცკი, ღრაკონს რომ გადააწყდებდა და მოგვიანებით აიძუ-

ლებენ მიიყვანოს ბეოვულფი და მისი თანმხლებნი ურჩხულთან, „და ორივესი ეშინოდა, მხეცისაც და მოყმეებისაც“. უსახელო ვითები, ბეოვულფის მეგობრები დანიაში მისი მოგზაურობისას, სიბნელეში რომ წვანან პეროთში და გრენდელს ელიან,

ასე სჯეროდათ

რომ დაჰკარგეს თვისი ქვეყანა, ქალაქები მაღალკედლება, ველარც მეგობრებს იხილავენ, აღარც ამის იმედი

ჰქონდათ,

დანიელებზე ფიქრობდა ყველა,

გრენდელისაგან ამოყუთულ დანიელებზე, იმ დარბაზში

ამოყუთულ დანიელებზე,

სადაც ვითებს ეძინათ ახლა.

691—696.

რამდენიმე ცოტად თუ ბევრად დამოუკიდებელი ეპიზოდი, ცნობილი ფინის ნაწილის (1068—1159) მსგავსი, განვითარებულია დაწურული, ზუსტი სტილით, რაც გვიჩვენებს, რომ პოეტს მცირე ფორმაც ეადვილება და დიდიც (ფინის ნაწილის და სხვებისაც, შესამჩნევი ბუნდოვანება, უფრო ჩვენი ბრალია, ვიდრე ავტორისა: ძალზე ბევრი საუკუნეები გვყოფს ერთმანეთისაგან და უამრავი ყოვლისმომცველი ილუზიები ცარიელ სივრცეებად იქცნენ, რის ამოვსებასაც მეცნიერება ცდილობს). რომელიღაც უსახელო ერის უკანასკნელი კეთილშობილი წარმომადგენლისადმი მიძღვნილი ელეგია (2247—2266) თამამად უდგება გვერდში ისეთ ცნობილ ძველინგლისურ ლექსებს, როგორცაა „ნანგრევი“ და „დიოური“ (იხ. კვლავ „ძველი ინგლისური ლექსები“). ჭეშმარიტად, არ ვიცი, როგორ, მაგრამ პოეტის ძალა და ვირტუოზულობა ისეთია, რომ არა მჯერა, თი-

თქოს „ბეოვულფი“ იყოს საწყისიც და დაბოლოებაც მისი პოეტური შემოქმედებისა. მისი სხვა ნაწარმოები, აღრეულიც და გვიანდელიც, შესაძლოა დაიღუპა ყოველივე იმასთან ერთად, რაც გვაკლია ძველ ინგლისურ ლიტერატურაში. მაგრამ შესაძლოა არც დაღუპულა; რომელიღაც ახალი ვერსელის წიგნი, რომელშიც ძვირფასი და უნიკალური პოეზიაა, შესაძლოა ერთ დღეს გამოიჩხრიკოს რომელიმე იტალიურ მონასტერში ან სადმე სხვაგან.

ჩემი პიროვნული მრწამსი, რაც თარგმანს შეეხება, არ შეცვლილა „ძველი ინგლისური ლექსების“ გამოსვლის შემდგომ: მისი ფურცლებიდან (XXVI—XXIX) ამოღებული კომენტარი ამ წიგნსაც შეიძლება მივუსადაგოთ.

„მთარგმნელის ერთადერთი იმედია, თავისი მოუქნელი ენამკვევრობით ააღორძინოს ახალ ენაზე, რაც თავისთავად კარგი პოეზიაა და რაც, ამავე დროს, შეიცავს მნიშვნელოვან ძალას და სურნელს ორიგინალისა. ამ აზრით, თავიდან შექმნას შეიძლება მხოლოდ შექმნა ვუწოდოთ... შედარებით მცირე რაოდენობის სტრიქონები შეიძლება ეხმიანებოდეს შუა საუკუნეების მგონის შესაფერის სტანდარტებს. არსებითად, მე გამოვიყენე თავისუფალი ოთხტაქტიანი სტრიქონი, ისე რომ, ინგლისური ლექსის ტრადიციული ზომებისათვის არ მიმიმართავს. ამიტომ თარგმნილი ლექსი არ წარმოადგენს იამბურ ტეტრამეტრსა და ტროქეის ჩვეული გაგებით“.

მრავალგვარ ხერხებს ვიყენებდი და ძირითადად კი ალიტერაციას ვეყრდნობოდი. პოემა „ბეოვულფში“ 3182 სტრიქონია. პატარა ნაწარმოებში გამოყენებული 12. ბეოვულფი

ტექნიკა აქ დიდ დახმარებას ვერ გამიწევდა. მე საფუძვლიანად ვცანი, აუცილებლადაც კი, რომ ალიტერაცია გამომეყენებინა უფრო თავისუფლად, ვიდრე ეს ძველ ინგლისურ ლექსშია, რადგან ძველ ინგლისურში ალიტერაცია ხშირად უჩვეულოდაა გამოყენებული. ამ შემთხვევებში ალიტერაცია, რაც პირველ და მეოთხე მახვილებს მოიცავს, რამდენიმე სტრიქონზე გრძელდება. გამოვიყენე ნაწილობრივი ალიტერაციაც; ზოგან დაწყვილებული ალიტერაციაც — ორი სიტყვა ერთ სტრიქონში ალიტერაციას ახდენენ ერთი ბგერით, და მეორე ორი კი სრულიად განსხვავებული ბგერით; მართალია იშვიათად და, ვიმედოვნებ, ფრთხილად, მაგრამ შინაგანი რითმებიც გამოვიყენე. ისიც უნდა დავამატო, რომ ვცდილობდი აზრი და მოძრაობა თითოეული სტრიქონისა დამემთავრებინა იქ, სადაც მახვილი (სტრიქონში ოთხი) ეცემოდა. ამიტომ ერთი და იგივე სიტყვა შეიძლება არ იყოს გამოყენებული ალიტერაციისათვის (ესე იგი მახვილიანი სიტყვა), როცა კი შეგვხვდება.

ბოლოს, მინდა მადლობა გადავუხადო პროფესორ ენჯელ ფლორს, ვინც თარგმნა დამავალა და ამით შემაძლებინა საქმის დაწყება, რისი სიდიდეც მუდამ მაშინებდა; პროფესორ რობერტ პ. კრიდს, ვინც არა მართო ყოველმხრივ მამხნევებდა, არამედ ხალისით და გულდასმით კითხულობდა მთელს მანუსკრიპტს და en route* მრავალ სასარგებლო რჩევას მაძლევდა; პროფესორ ჯ. ბ. ბესინგერს, თუმცა თითქმის შეუძლებელია რომ მთარგმნელს ორი ასეთი თავდადებული მკითხველი ჰყავდეს — იგივე უნდა ითქვას; და ჩემს ორ უფ-

* გზადგზა (ფრ.).

როს ვაჟიშვილს, ბრიანს და ბლეიკს, ვინც ანგარიშს უწევდნენ ჩემს საქმიანობას, ვინც გაბრწყინებული თვალებით და ინტერესით მისჩერებოდნენ, როცა მათ ბეოვულფის ამბავს ვუყვებოდი ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ვინც (ერთი ცხრა წლის, მეორე — რვისა) შემპირდნენ, რომ ჩემთან ერთად წაიკითხავდნენ კორექტურას — და (ერთმა ათისამ და მეორემ — ცხრისამ) სიტყვა შეასრულეს.

ბარტონ რაფელი

გოლოსიტყვაობა

როცა შევიტყვე, ბარტონ რაფელი დაარწმუნეს, ანთოლოგიისათვის, „ბეოვულფის“ ერთი ნაწყვეტი ეთარგმნაო, მაშინვე გავიფიქრე, შესანიშნავია მეტი და საუკეთესო შედეგის მოლოდინით განვეწყვე. ვიცოდი, რომ იგი ვერ შეჩერდებოდა ვიდრე 3182 სტრიქონს არ თარგმნიდა და ყველაზე უკეთეს გზას არ გამოსძებნიდა ძველი დიადი ეპოსის ახალ დიად პოემად გარდაქმნისათვის.

სწორედ ასეც მოხდა. დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც ჰომეროსს ბედმა გაუმართლა და „ილიადას“ მთარგმნელად გამოუჩნდა რიჩმონდ ლეტიმორი და „ოდისეას“ — რობერტ ფიცჯერალდი; ძველმა ინგლისელმა პოეტმა კი რაფელი გამოსძებნა თავისი „ბეოვულფისათვის“. თუ ძველ პოეტებს აქვთ მიზეზი სიხარულისა ელიზიუმში, რაოდენ მეტი სიხარულის მიზეზი გვაქვს ჩვენ, დედამიწაზე მცხოვრებთ.

აუცილებელი ხდებოდა დაჟინებით გვემტკიცებინა კოლეჯის სტუდენტებისათვის, რომ ჰომეროსი დიდი პოეტი იყო და არა ფსევდოარქაული პროზის მწერალი. აქამდე იმის მტკიცებაც საჭირო იყო, ბეოვულფი დიდი პოემაა — და არა უხეირო პროზა. არც თოკზე მოხტუნავე ბავშვების კუპლეტები. რაფელის თარგმანის მერე

ისლა გვეჩივრება, რომ ნებისმიერ ადგილზე გადავშალოთ „ბეოვულფი“ და ხმამაღლა კითხვა დავიწყოთ.

და მაინც, უპირველეს ყოვლისა, დახვეწილი და მძლავრი ყდერადობა როდი ჰგერის მკითხველს სიამოვნებას. რადგან დღევანდელი მკითხველისთვის თვალი უმთავრესი ორგანოა და იგი პირველ რიგში დაეძებს ამბავს, რისი პოვნაც აქ იოლია: ამბავი აქ ისე ნათლადაა გადმოცემული, რომ მსგავსს ვერსად შეხვდებით. აქ ვერ ნახავთ ეგრეთწოდებული პოეტური ეფექტების ძიების მცდელობას, სისწორისა და სიცხადის ხარჯზე.

არ შეიძლება იმის თქმა, რომ რაფელის „ბეოვულფი“ ერთფეროვანია და მხატვრულობა აკლია. მკაფიობას მან სწორედ ჩინებული ხელოვნების წყალობით მიაღწია. დაფარული ხელოვნების წყალობით. რა უნდა იყოს, მაგალითად, ამაზე უფრო დაფარული ხელოვნება, გამგზავრებულ ხომალდს რომ აგვიწერს?

მიცურავდნენ მერე ისინი,

ნავი ტალღებს გადაატარეს, მიაყენეს კლდეების ძირში,

210—211.

ერთი შეხედვით მხოლოდ სტრიქონების სიგრძე და, ალბათ, უბრალო (S-ით) ალიტერაცია მიიქცევს ყურადღებას და პოეტურად წარმოგვიჩენს ამ სტრიქონებს. მაგრამ მკითხველი, ვინც თავის ენასა და ყურსაც ისევე იყენებს როგორც თვალს, აქ უფრო მეტს იპოვნის.

პირველ სტრიქონში შემოტანილი ალიტერაცია (S-ის) მეორე სტრიქონში მთლიანად არ იკარგება და კვლავ გაიხშიანებს.

მკითხველი განცვიფრებული დარჩება, როცა სხვა რამესაც გაიგებს. ძველი ინგლისელი პოეტები მიმარ-

თავდნენ ხმოვნების ალიტერაციასაც, ერთმანეთს უხამებდნენ ბგერებს *o-sa* და *u-s*, *u-sa* და *a-s* და ასე შემდეგ. ეს ხერხი ძალზე მოსახერხებელი იყო, რადგან მათი პროსოდია მოითხოვდა, რომ ოთხმხავილიანი სტრიქონის ორივე ნახევარი ერთმანეთთან ალიტერაციით ყოფილიყო დაკავშირებული. რაფელის თავისუფალ ლექსში ეს ხერხი მხოლოდ ზოგჯერ გვხვდება, ვირტუოზულად შესრულებულ ადგილებში. ეს ძველი ფორმის ექო, ალბათ ძველი ინგლისური პოეზიის მცოდნეთა სიამოვნებისთვისაა გამიზნული. ორი განსხვავებული ხმოვნის ალიტერაციაა 211 სტრიქონში, თანაც მტკიცედ განსაზღვრული პირველი მახვილით სიტყვებზე „*Out*“ და „*under*“.

თუ სწავლებით მკითხველი არ გადავალე, ვთხოვდი ხმამალა წაეკითხა რაფელის სამნახევარი სტრიქონი და ყური დაეგდო, თუ როგორ გამოთქვამდა ბგერა *L*-ებს, როცა სტრიქონი იწყება სიტყვა „*sadly*“-ით და მთავრდება „*last*“-ით. ყური მიუგდოს, როგორ გამოითქმება აგრეთვე პირველ სტრიქონში და აგრეთვე, მშრალ ჩურჩულს, როცა კითხულობს „*less, ...last, death*“, მესამე სტრიქონში. შემდეგ კი ყური დაუგდოს თუ რა ეფექტი აღიძვრის მკვეთრი ერთმარცვლიანი სიტყვის რიტმით. შემდეგ გამჭვირვალე ბგერის *L*-ის ხმარება წყდება და ჩურჩულიც თავდება. რაფელმა აქ დიდ საიდუმლოს მიაგნო, საიდუმლოს იმის შეტყობისა, თუ როდისაა ეფექტი სრულყოფილი.

ეს იმიტომ, რომ რაფელი პოეტია. მისი „ბეოვულფის“ ყოველი გვერდი ამ სიმართლის დასტურია. და სწორედ ეს მაფიქრებინებს და არა რომელიმე მოულოდნელი აზრი, რომ იგი ერთგულია იმ ადრეული პო-

ემისა, ახლახან რომ ვახსენე. რადგან რაფელი პოეტია, მას არ აბნევს საკუთარი სიტყვიანე და არ გაიძახის, შემხედვით, რა ბიჭი ვარო. სიტყვებს მეცნიერი მთარგმნელისა, რომელმაც ესეაა დაასრულა რომელიღაც ჯოჯოხეთურად ჭკვიანური მონაკვეთის გადმოტანა „ორიგინალის“ მიბაძვით და მკითხველს გადაულოცა მრავალი განმარტებით აღჭურვილი.

არაფერი მგვრის უფრო მეტ სიამოვნებას, ვიდრე წინ გაძლოა რაფელის შესანიშნავი პოემის მოხილვისას. მაგრამ პოემა ბოლოს და ბოლოს მკითხველისათვის იქმნება. მალე იგი თვითვე იპოვნის საყვარელ ადგილებს — წაუკითხავს მეუღლეს ან მეგობრებს და ას სტრიქონს გადააცილებს იმ ადგილს, სადაც გაჩერებას აპირებდა.

მაგრამ ვიდრე ჩემს საქმეს მივუბრუნდებოდე — რაც ის გახლავთ, რომ დაინტერესებულ მკითხველს რა-მე მოვუთხრო ძველი ინგლისური პოემის ჩასახვასა და იმ ხალხზე, ვინც ის შეჰქმნა და ისმენდა — არ შემოძლია კიდევ ერთი ბრწყინვალე ადგილი არ მოვიტანო რაფელის ახალი პოემიდან. მითუმეტეს, რომ ეს პოლიფონიური ადგილი კიდევ ამტკიცებს, რასაც ვამბობდი და კიდევ მეხმარება, ჩემს სასიამოვნო საქმეში.

რადგან დარბაზში დროსტარება არა ცხრებოდა,
ქნარს აუღერებდნენ გატაცებით,
და მგოსანის წმინდა სიმღერა
უგალობებდა დასაბამს ჩვენსას.
მოიხსენებდნენ არსთაგამრიგეს, რომელმან შექმნა

ხმელეთი და

მშვენიერ ველებს ოკეანენი გარსშემოავლო,
მერე ამაყად დაასვენა მზე და მთოვარე,
მთელ ხმელეთს რომ ასხივოსნებენ.

ამოზარდა ირგვლივ ხეები, გაფოთლა და ააყვავილა,
შეჰქმნა ვრები, თავთავისი სახე უბოძა
და მას შემდგომად მეომარნი
მუდამ ხარობენ და ილაღებენ.

88—99.

ფურცელზე ჩუმად წაკითხული პოეზია და ალბათ ჩუ-
მად დაწერილი პოეზიაც, როგორც ეს სტრიქონები
ხდის ნათელს, უცხო იყო ამ ხალხისათვის, გარდა მცი-
რეოდენი, განსწავლული ბერებისა. პოეზია იყო ჩინე-
ბული შემწე ნადირობისას და დღესასწაულებზე. ის
არა მარტო იმღერებოდა, არამედ იქმნებოდა კიდევ
იმავე დარბაზში.

შესაძლოა „ბეოვულფის“ პირველი სიმღერაც ამგვა-
რად შეიქმნა.

I. დასაწყისი

...მოხუცი და ამაყი მოყმე,
გარდასულ გმირთა სიმღერები ვისაც სმენოდა
და თვითონაც ხშირად მღეროდა,
ქსოვდა სიტყვათა ნატიფ ბადეს ბეოვულფის ამ გმირობაზე,
ლექსთა შეკვრას ისე ცდილობდა,
სწრაფად და მკვიდრად, პოეტური ხელოვნებით ცდილობდა
შეკვრას,
შექმნისთანავე იმღეროდა ახალ სიმღერას,
ძველ სიმღერებსაც მოიგონებდა —

867—874.

ამგვარად — და ამ დროს — ჩაისახა „ბეოვულფის“
სიმღერა. ანდა პოეტი ცდილობს, რომ ასე დაგვარწმუ-
ნოს. დილით, მას მერე, რაც გმირმა თავისი პირველი
დიდი სიქველე და ვაჟკაცობა გამოიჩინა, მოზეიმეთა

შორის იყო მომღერალიც, ვინც „ქსოვდა სიტყვათა ნა-
ტიფ ბადეს ბეოვულფის ამ გმირობაზე“, სიმღერას ის-
მენდნენ აღტაცებული დანიელები და ძლევამოსილი გი-
თები, და ზოგიერთი ყურადღებითაც უსმენდა. შემდეგ
სიტყვების ეს ქსოვილი, წარმოთქმული მოხუცი მეომრის
მიერ, გონებაში ჩაებეჭდა ახალგაზრდა მეომარს; ვინც
თვითონაც უმღერებდა, როცა მოხუცდებოდა, სხვა ჭა-
ბუკ მოყმეს... ვიდრე ეს ქსოვილი არ მისწვდა ყურს იმ
კაცისა, ვინც სიმღერა იცოდა.

პოემის უნიკალური, ათასწლოვანი ხელნაწერი,
ჭუჭყსა და ხანძარს გადაარჩენილი, ახლა ამაყად გამოჭი-
მულა ბრიტანეთის მუზეუმში, თუმცა ბეოვულფის ამბის
პირველი გადმომცემელი კი არ არის, არამედ უკანასკ-
ნელი.

ბოლოს და ბოლოს ესაა სურათი, მოხაზული უკა-
ნასკნელი მომღერლის, ჩვენი ანგლო-საქსი პოეტის მი-
ერ. მოხუცი მეომარი, შესაძლოა, უბრალოდ შეთხზუ-
ლია, ისევე, როგორც თვით ბეოვულფია გამოგონილი
გმირი, მაგრამ როგორც ყველა დიადი გამოგონება,
ესეც სიმართლეს შეიცავს.

რადგან ესაა ჭეშმარიტი სურათი სიმღერის ხელოვ-
ნებისა, ასე მღეროდნენ ანგლო-საქსი პოეტები. ეს იყო
ხელოვნება, რომელიც შეიძლებოდა შესრულებულიყო
ცხენზე ჯდომისასაც კი, როგორც აქაა გამოხატული,
რადგან არც ქაღალდი იყო საჭირო და არც წიგნები.
კაცი იდგა — ან იჯდა — და „შექმნისთანავე იმღერო-
და ახალ სიმღერას“...

ამბის სიმღერით გადმოცემის ეს ხელოვნება გავრ-
ცელებული იყო პომეროსისდროინდელ საბერძნეთში.
შუასაუკუნეებსა და თანამედროვე რუსეთშიც, და ჯერ

ვიდევ მისდევენ, თუმც უკვე იკარგება, იუგოსლავიაში. გავრცელებული იყო ისეთ შორეულ კუთხეებშიც, როგორცაა ფინეთი და აზიის უდაბნოები. თვითეული ეს ხალხი, ვინც ამ ხელობას იყო გაცნობილი — ჰომეროსის სისდროინდელი ბერძნები, რუსები, იუგოსლავები, ყარა-ყირგიზები, ანგლო-საქსები და ასე შემდეგ — ამ ხელოვნებას მისდევდნენ თავიანთ ენებზე, ავითარებდნენ თავის ამბებს, ხვეწდნენ მას და ცოტა რამ თუ იცოდნენ, ან სრულიად არაფერი, სხვა ხალხების ტრადიციულ ხელოვნებაზე.

რადგან თვითეული ტრადიციული პოემა, რაც შემორჩა შუა საუკუნეების ინგლისიდან, ძველი საბერძნეთიდან, თანამედროვე იუგოსლავიიდან ან საიდანაც არ უნდა იყოს, პოემის საწყისების შეუმცდარ ნიშანს ატარებს. იმიტომ რომ ყოველი პოეტი ამ ძირფესვიანად განსხვავებული ტრადიციებისა ჰქმნის თავის პოემას ფორმულებსა და თემებს.

ძალზე იოლია ფორმულის შემჩნევა ჰომეროსის რომელიმე უძველეს თარგმანში. იმ თარგმანებში — რადგანაც ბერძნულიდანაა თარგმნილი — ზღვა ყოველთვის „ღვინისფერია“, აპოლონი „შორსმხედველი“ და ოდისეისი „მარად შეუმცდარი“. მალე ვიგებთ, რომ სხვა შემთხვევაშიც, დასახელებისას, ზღვა, ღმერთი ან გმირი ცერემონიულად ამ განსაზღვრულ სამოსშია მოქცეული.

ცერემონიულობა შვილია აუცილებლობისაც და ხელოვნებისაც. რადგან ჰომეროსი ვერ შექმნიდა ზუსტად განსაზღვრულ ლექსებს, თუკი ხელთ არ ექნებოდა ძირითადი, არსებითი სახელისათვის საჭირო ეპითეტი. და სიმღერისას — იმ მოხუცი მეომარივით — ვინც

„შექმნისთანავე იმღეროდა ახალ სიმღერას“... ლექსების შექმნას გაუადვილებდა.

ბეოვულფშიც არის ფორმულები — პირდაპირ ათასობითაა — მაგრამ უმრავლესობა, ჰომეროსის მსგავსად, ისეთი უბრალოა და ორდინალური, რომ შეიძლება მრავალჯერ მოისმინო ეს ძველი ინგლისური პოემა და ვერც კი შეამჩნიო ისინი. რადგან ეს ეპითეტები დიდი ხელოვნებით არის ჩაქსოვილი პოემის ქსოვილში, მის ქვედაპირსაც გვიჩვენებს და ხანდახან ბრწყინვალე და ცერემონიულ ზედა პირსაც.

მაგრამ ტრადიციული პოემის არც ერთ მთარგმნელს არ ევალება თარგმნოს თვითეული ფორმულა ზუსტად ისე, როგორც ტექსტშია. „ბეოვულფში“ სამი ათასი და უფრო მეტჯერ გამეორებული ფორმულის თარგმნისას მთარგმნელს ან შესანიშნავი მანსოვრობა უნდა ჰქონდეს, ან რეგისტრაციის სისტემა, ან მართლაც განსხვავებული პოეტი უნდა იყოს. მისი საქმე მართლაც ძალზე განსხვავებულია იმ ახალგაზრდა მომღერლის საქმიანსაგან, ვინც ცხენზე ამხედრებულ მოხუც მეომარს უსმენდა. რადგან შესაძლოა ახალგაზრდა მომღერლის მიერ შემდგომ ნამღერ სიმღერაში ყოფილიყო თითქმის ყველა ფორმულა პოემისა, რაც მოისმინა, მაგრამ ჰკლებოდა მოქმედების ნახევარი და ექვსიოდე სცენა მაინც. მეორე მხრივ მისი ნამღერი შეიძლება ყოფილიყო ორ-სამჯერ უფრო გრძელი, ვიდრე მოხუცი მეომარის სიმღერა. მომღერალის უნარი, ისევე როგორც მდგომარეობა, სიმღერისას განაპირობებდა პოემის სიგრძეს გარკვეულ შემთხვევაში. მომღერალს, თუმცა მას დადგენილი და საბოლოო ტექსტი არ ჰქონია, რომ მისი ერთგულეობა გამოეჩინა, უნდა ემუშავა ზუსტად განსა-

ზღვრული ფრაზებით, რათა შეექმნა პოემა. თანამედროვე პოეტს აქვს ზუსტად განსაზღვრული ტექსტი. მანუსკრიპტიდან გულდასმით გადაწერილი, წინ უდევს და ისე მუშაობს. და მან ერთგულეა უნდა გამოიჩინოს მისდამიც და იმ პოეზიისადმიც. ახალ ენაზე რომ ჰქმნის. მას რომ მოსთხოვო მაგალითად, იმდენჯერ გაიმეოროს „თქვა ბეოვულფმა, ედგეთოს ვაჟმა“ და იმდენაირად, რამდენჯერაც ტექსტშია, იმის საშიშროება აღიძვრება, რომ ეს იქნება ფსევდო-ხელოვნება და არა ხელახლა შექმნა პოეზიისა ახალ ენაზე.

და მაინც, საოცარია, რომ რაფელის თანამედროვე და უეჭველად, არაფორმულარულ პოემაში ისმის ექო ძველი მომღერლის ფორმულარული ტექნიკისა. რაფელთან ცხრაჯერ არ არის განმეორებული სხვადასხვანაირად ფრაზა „თქვა ბეოვულფმა ედგეთოს ვაჟმა“ მაგრამ მრავალ სტრიქონში იგრძნობა ფორმულირებული განმეორების სურნელი:

თქვა ბეოვულფმა, ედგეთოს დიდმა ვაჟმა: 529

...ედგეთოს მამაცმა ძემ... 629

თქვა ედგეთოს მამაცმა ვაჟმა 1474

თქვა ედგეთოს მამაცმა ვაჟმა: 1999

ამგვარი ექო — განმეორებული ასეთი სტრიქონის შემდეგ — ჰქმნის საკმარის ტონს ახალი პოემისათვის და ალბათ ძველსაც გვახსენებს.

ვერც ძველი მეომარი და, მეორეს მხრივ, ვერც ანგლო-საქსი მომღერალი ვერ შესძლებდნენ „ლექსთა შეკვრას... სწრაფად და მკვიდრად. პოეტური ხელოვნებით“... თუ ხელთ არ ექნებოდათ ისეთი ზუსტი ნაწილები თავისი პოეზიისა, როგორცაა „თქვა ბეოვულფ-

მა“ და თანაც ასეთ წყვილად შეკრული „თქვა ბეოვულფმა ედგეთოს ვაჟმა“.

მაგრამ მოხუც მეომარს უფრო მეტი სჭირდებოდა, ვიდრე ფორმულათა ამგვარი განმეორებაა. იმისათვის, რათა „შექმნისთანავე ემღერა ახალი სიმღერა“ მას ჯერ უნდა მოესმინა „გარდასულ გმირთა სიმღერები“ და ემღერა დალაგებულად... ეს იქნებოდა მისი ვარჯიში ტრადიციული მომღერლის პროფესიის დაუფლებაში: პირველად იგი ყურს დაუგდებდა ძველ სიმღერებს, შემდეგ იმღერებდა — ალბათ ჯერ თავისთვის და შემდეგ მსმენელთათვის — და ამის მერე შეეძლო დაეწყო ახალი სიმღერების ქსოვა.

იგი, რა თქმა უნდა, ახალ სიმღერებს ძველის თარგზე გამოჭრიდა. ისესხებდა ძველ ფორმულებს: თუკი გაიგონებდა „ზიგმუნდმა თქვა“, შემდეგ სწრაფად და იოლად შეცვლიდა „ზიგმუნდს“ „ბეოვულფით“, უფრო გრძელ ნაწყვეტსაც ისესხებდა ძველი სიმღერიდან. თუკი ზიგმუნდი აღჭურვადა ხომალდს „ძვირფასი ტვირთით, რომ დატვირთა, შეაცურებდა ზღვაში ხომალდს“, ასევე შეეძლო ბეოვულფს ეცურა ზღვის გავლით დანიისაკენ. ჩვენი, ანგლო-საქსი პოეტი უთუოდ გაცნობილი იყო ამგვარ მოტივს, რადგან მან ხელახლა შექმნა გარკვეული ზომის ორი ბრწყინვალე ნაწყვეტი თავის პოემაში:

ქარი სწრაფად მიაქანებდათ,

აქაფებულ ზღვას მიარღვევდნენ და ჩიტივით მისრიალებდნენ,

და დროც მოვიდა —

ქიჩოზე იღვნენ, მრგვალ ქიჩოზე, და შესცქეროდნენ

მთებს — მაღალთა და ამწვანებულთ,

ზღვის ნაპირას რომ აფმართულიყვნენ ბრწყინვალე და

მოზემენი,

ფრიალო კლდესთან მშვიდობიანად დაასრულეს
მოგზაურობა,
თვითონ მიწაზე გადმოვიდნენ,
ნავი ქვიშაზე გამოათრიეს,
იქვე მიაბეს, აბჯარმა და ჯაჭვის პერანგმა სულ რაჩხა-რუჩხი
აუყენეს
როდესაც მკვირცხლად მიაყენეს ნაპირზე ნავი.

217—227.

მიატოვა ხომალდმა ნაპირი, დანია დატოვა,
ღრმა წყალში შეცურა. მასზე კოჭები აჭრიალდა,
ქარმა, რომელიც არ შეწყვეტილა,
კარგად დაბმული აფრა დაჭიმა, მოგზაურები არ დააყოვნა,
ხომალდი არ შეაყოვნა, ქიმმოტვიფრული,
ტალღებს სწრაფად რომ მიაპობდა, მიაპობდა ზღვის

ღინებას,
ვრცელ ოკეანეს ჰკვეთდა ხომალდი,
ვიდრე გითები დაინახავდნენ მშობლიური მთების
მწვერვალებს,
კლდეებს ვითური მიწიდან რომ ატყორცნილიყვნენ.
ქარმა მიმართა ხომალდი ნაპირზე.

1904—1913.

ამ ორ ნაწყვეტში მცირეოდენი იდენტური ფრაზე-
ზია, მაგრამ სახეები და მათი თანამიმდევრობა ერთი და
იგივეა: ქარი, ტალღები, ხომალდის ცხვირს რომ ეხლე-
ბა, მიწის დანახვისას აღძრული მხიარულება, და ბო-
ლოს ხომალდის მიდგომა ნაპირთან. ყოველივე ეს აქ
გამოყენებულია ნაწილობრივ იმიტომ, რომ პოეტიც
ისევე ხარობდა მათით, როგორც ჩვენ; და ნაწილობრივ
იმიტომ, რომ ისინი ზუსტი შესატყვისებია ტრადიციუ-
ლი თემისა და ხომალდით მოგზაურობისა.

ეს გრძელი მოტივებიც — მოგზაურობები, ნადიმე-

ბი დარბაზში, თავაზიანობის გაცვლა-გამოცვლა, მხო-
ლოდ ორიოდ მათგანი რომ დავასახელოთ „ბეოვულ-
ფში“ — ისევე წარმოადგენს მომღერლის ხელოვნების
მარაგს, როგორც ფორმულები. მართლაც, მომღერალმა
აღბათ ჯერ ისწავლა, რომ ამბავი შესდგებოდა ასეთი
მოზრდილი ელემენტებისაგან და მერე ისწავლა თუ
როგორ ჩაერთო ამ ელემენტებში ფორმულები.

მომღერალის ხელოვნება, როგორც ზემოთ აღვნიშ-
ნე, ის კი არ იყო, რომ დაემახსოვრებინა მთელი პოე-
მები და შემდეგ გაემეორებინა. თავიდან, დამწყები
მომღერალი აღბათ შეეცადა ასე მოქცეულიყო და, ბო-
ლოს, აღბათ არალიტერატურული სტრიქონი გამოუვი-
და ან ალიტერაცია სწორად იხმარა, მაგრამ არასწორი
იღეა ან ყალბი პერსონაჟი შემოიტანა თავის სიმღერა-
ში. გარკვეული პრაქტიკისა და ფრთხილი მოსმენის შემ-
დეგ მან ისწავლა თუ როგორ წარემართა — ოსტატუ-
რად — თხრობა, რაც შესაძლებელს გახდიდა „შექმნის-
თანავე ემღერა თავისი ახალი სიმღერა“ — ან თავისი
ძველი სიმღერა მოეგონებინა.

ამგვარად, თუკი ბეოვულფის სიმღერა ცხენზე ამ-
ხედრებული მოხუცი მეომრის სიმღერის მიხედვით არ
შექმნილა, ის უშუალოდ ტრადიციული ამბის სახით შე-
იქმნა. ძველი ინგლისური პოემის კონსტრუქცია გვარ-
წმუნებს, რომ ეს ასეა. მნიშვნელობა არა აქვს ანგლო-
საქსმა პოეტმა ჯერ წერა ისწავლა თუ ჯერ ზეპირი ხე-
ლოვნება, ან, მეორე მხრივ, თავისი პოემა ჩასაწერად
უკარნახა სიძველეთამოყვარულ ბერსა თუ კეთილშო-
ბილს; იგი ჯერ ტრადიციული მომღერლის ხელობას
დაეუფლა. იგი ამ ტრადიციულ ხელოვნებაზე გვიამბობს.

როცა ცხენზე ამხედრებული მოხუცი მეომრის სახეს გვიხატავს.

II. „...ქნარს აუღერებდნენ გატაცებით“...

ბეოგულფის პირველი სიმღერა ალბათ მეფეთა და კეთილშობილთა დარბაზებში იმღერებოდა დიდ ნადიმებზე. ჩვენს პოემაში თვით ბეოგულფი უამბობს გითთა მეფეს ჰივლაქს ამგვარი ნადიმების შესახებ, მეფე ჰროთგარის დარბაზში რომ იმართებოდა.

...ნადიმი ბრძანა:

იმღერდნენ და ჰყვებოდნენ ამბებს. ერთი მოხუცი დანიელი გარდასულ დროს იხსენებდა, ხან თვით ჰროთგარი, კალთაში რომ ჩანგს ჩაიდებდა, ააუღერებდა მის ვერცხლის სიმებს და ჰყვებოდა საოცარ ამბებს, მამაცი მეფე დალაგებულად გადმოგვეცემა ჰემმარიტებას სიკეთესა და ბოროტებაზე — მონათხრობში ჩააქსოვდა მწუხარებას სიბერის გამო, იხსენებდა დაკარგულ ძალას, მოგებულ ბრძოლებს გაიხსენებდა. კვენსოდა მეფე, მრავალ ზამთრით დამძიმებული, იხსენებდა, რაც ჩაედინა, რაც ეხილა, რაც მოესმინა. ასე ვისხედით მთელ დღეს ნადიმად. ჩამობნელდა.

2104—2117.

ჰროთგარი აქ დახატულია ჩანგიან მომღერლად, ეს დეტალი უეჭველად გამოტოვებულია ცხენზე ამხედრებული მოხუცი მეომრის სურათში. მაგრამ ჩანგი — ამაზე მიაწინებებს არქეოლოგიური და მეცნიერული გამოკვლევები — ყოველთვის არ ყოფილა გამოტოვებული ნამდვილ ანგლო-საქსურ სიმღერაში.

ჩანგის ფუნქცია, ჰროთგარს რომ უჭირავს ხელში, არ უნდა იყოს პოეტური ტექსტის თანხლება მელოდიით ან ერთი გაჭიანურებული ბგერით. უფრო საფიქრებელია რომ ჩანგი უღერდა, როცა მომღერალი გაჩუმებული იყო, ალბათ შესვენებისას და ამოსუნთქვის ჟამს. ამ შემთხვევაში ჩანგი ემსახურებოდა მნიშვნელოვან მიზანს სიმღერის მკაცრი რიტმის შენარჩუნებას, ხოლო ეს ამოსუნთქვები კი ფაქიზად იყო გააზრებული მომღერლის მიერ შერჩეული საზომის მიხედვით.

ანგლო-საქსი მომღერალი, თავისი სკანდინავიელი და კონტინენტელი მოძმეებით, მარცვლებს არ ითვლიდა. იგი ყოველთვის ცდილობდა ნახევარ სტრიქონში მინიმუმ ოთხი მარცვალი მოექცია, მაგრამ მას შეეძლო რვა ან ცხრა მარცვლიანი სტრიქონები შეეთხზა. რადგან მისი რიტმი მუსიკალურ რიტმს უფრო ჰგავდა, ვიდრე აქცენტური საზომისას, რაც ინგლისურ პოეზიაში იყო გავრცელებული, ჩოსერის დროიდან დღემდე. ჩოსერის რიტმი მოძრაობდა, ისევე როგორც რაფელისა, პირველადი მახვილიდან პირველ მახვილამდე, ერთი და იგივე სიჩქარით, მნიშვნელობა არ ჰქონდა ბევრი მარცვალი იყო თუ ცოტა უფაში მოქცეული.

ჩოსერის მრავალ ლექსში პირველადი მახვილი ახლა თითქოს აღარაა; ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ მოიძებნება იმდენად მნიშვნელოვანი სიტყვა, რომ ეს მახვილი ახლდეს, ვიდრე სტრიქონის რამდენიმე მარცვალს არ გავცდებით. ალბათ ერთ, ორ ან სამ ამგვარ უმნიშვნელო მარცვლამდე ჩამოჰყავდა ხოლმე ჩანგს ჰროთგარი ან გერმანული სამყაროს მოგვიანო ხანის მომღერლები. შეიძლება არსებობდეს სხვა მრავალი

შემთხვევაც, რომლის დროსაც ჩანგი ეხმარებოდა რიტ-მის შენარჩუნებას.

მომღერალი სხვა ხერხებსაც იყენებდა თავის პოეზიაში. რაფელი ცხადად წარმოგვიდგენს ორივეს, მოხუც მეომარსაც და მოხუც მეფესაც, რომლებიც „ქსოვდნენ სიტყვათა ნატიფ ბადეს...“ ეს ჩინებული სახეა, რადგან ალიტერაცია ძველი ინგლისური სტრიქონის ორ ნახევარს რომ აერთებს, ცხადზე ცხადი მაგალითია ბგერის შეჭრისა მტკიცე მოძრაობაში. ალიტერაციით განწყობილი ნიმუშები მრავალფეროვანიც იყო და მკაცრად განსაზღვრულიც.

III. სატონ ჰუ

ეს ჩანგები სინამდვილეში არსებობდა. სწორედ იმ დროისათვის, როცა პროფესორი ჯონ პოპი უჩვენებდა თუ როგორი საჭირო იყო ჩანგი, სხვა თუ არა იმ ცარიელი ადგილებისათვის, სადაც პირველადი მახვილი მოდიოდა, არქეოლოგებმა ანგლო-საქსური ჩანგი მიწიდან ამოთხარეს და ფრთხილად აღადგინეს.

ეს ჩანგი სხვა განძეულთან ერთად იყო დამარხული მეფისა თუ კეთილშობილი მეომრის სამარხ-ხომალდში, სატონ ჰუში (საფოლკი, ინგლისი). ბორცვი, რომელიც ფარავდა ამ ვეება ხომალდსა და მის საკვირველ ტვირთს, გათხარეს 1939 წლის ზაფხულში და ჩანგი და სხვა განძეულობა კი ბრიტანეთის მუზეუმში მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ გამოფინეს.

ეს „უძველესი სიმდიდრე“ „ბნელში რჩებოდა“ დამარხული ათას სამასი წლის მანძილზე. ზუსტად არავინ

იცის თუ ვინ იყო ის მეფე თუ მეომარი, ვის პატივსაცემადაც დაფლეს ეს განძეული. არსად ჩანდა კვალი მისი სხეულისა ან ფერფლისა, მხოლოდ მისი სიმდიდრე აღმოჩნდა. მაგრამ აქ იყო მისი მახვილი, მისი ტახისთავიანი ალამი და ბლაგვი, პრიმიტიულად მოჭედილი საგანი, რაც შესაძლოა მისი სკიპტრა ყოფილიყოს. მისი ქისა მორთული იყო დახვეწილი და მშვენიერი ტიხრული მინანქარით. იქვე იყო ფული და უზარმაზარი ოქროს შესაკრავი, დიდი ხელოვნებით ნაკეთები. აგრეთვე შორიდან მოზიდული ვერცხლის ჭურჭელი — საკმარისი საუნჯე იმისათვის, რომ ურჩხულს შეენახა ან მეფე დაემარხათ:

ახლა კი

ხომალდი იდგა სანაპიროზე, ქიმმოტვიფრული და მას ელოდა,

აქედ მოჰქონდათ საყვარელი, ძვირფასი ტვირთი,
მოსვენებდნენ მოწყალე ბატონს,
და როს ანძასთან დაასვენეს მეფის ცხედარი
დაახვავეს აუწონელი განძეულობა, მოოქვილი მუზარადები,
დასალიერით მოზიდული აურაცხელი ჯავშანი, ხმალი,
ჯაჭვის პერანგი

და არც ერთ ხომალდს არ უცუტრია
ოდესმე მორთულს ასე ბრწყინვალედ,
და არც მეფე გასდგომია გზას ღმერთისაკენ
ასე მხურვალედ დატირებული.

32—42.

სატონ ჰუში ნაპოვნი ჩანგის ხის მასალა, ისევე, როგორც ხომალდისა, თითქმის მთლიანად დამპალიყო, მაგრამ საკმარისად შერჩენოდა ფორმა, რომ მისი ნიმუშის მიხედვით ახალი ჩანგი დაემზადებინათ.

IV. გითები და შვედები

მუხარადი და ფარი, სატონ ჰუს სამარხში რომ აღ-
მოჩნდა, ძალიან ჰგავს იმ მუხარადებსა და ფარებს,
შვეციაში რომ ამოუთხრიათ და, ალბათ, დაუმარხავეთ
კიდევ — ათასობით მიღზე ჩრდილოეთის ზღვიდან და
სკანდინავიის ნახევარკუნძულის გასწვრივ — ზუსტად
იმავე დროს, რა დროსაც სატონ ჰუს განძეული დაფ-
ლეს. ეს მსგავსება უფრო მეტ კავშირზე მიუთითებს
ვიდრე აქამდე ვეჭვობდით, ამ ორ ქვეყანას შორის მე-
შვიდე საუკუნეში.

ახლა ისიც გაგახსენდებოდათ, რომ „ბეოვულფი“,
ძველი ინგლისური სიმღერა შვეციაში მცხოვრებ გმირ-
ზე, თავისი არსებობითაც მიუთითებს ამგვარ კავშირზე.
პოემის ბოლო მესამედი, არამარტო გლოვია გმირის
გარდაცვალების გამო, არამედ წინასწარმეტყველური
ფლეგიაცაა, გმირი ხალხის, როგორც ცალკე ერის, არ-
სებობის შეწყვეტის შესახებ. ინგლისელმა მომღერალ-
მა, როგორც ჩანს იცოდა, რომ გითები, ვისი სახელიც
შემორჩა სამხრეთ შვეციის ორ დიდ პროვინციას „უეს-
ტერგიტლანდს“ და „ოსტერგიტლანდს“, დაამარცხეს
და ამოწყვიტეს მეშვიდე საუკუნის ბოლოს, ტრადიცი-
ულმა მტრებმა, მეღერის ტბის ნაპირზე მცხოვრებმა
შვედებმა.

ამ მარცხის საწყისებს ვხვდებით შემდეგ სტრიქო-
ნებში:

და მშვიდობას არც შვედებისგან უნდა ველოდეთ.
ყველამ იცის, თუ როგორ მოჰკლა
ჰათსინი მათმა მეფე ონგენთომ,
ტყის მახლობლად გამოიჭრა, როცა ჩვენი ჰაბუკი მეფე

საბრძოლველად ნადრევად ეშურებოდა; ბევრსა ბედავდა,
მოხუცმა და ბრძენმა შვედმა, ბრძოლებისას
მულამ საშიშმა, ნება მისცა გით მოყმეებს, მიწაზე რომ
გადმოსულიყვნენ,
ძარცვა დაეწყათ, და უეცრად დაესხა თავზე,
მიფანტ-მოფანტა,
დაიბრუნა განძეულიც და დედოფალიც მოტაცებული,
და ჩვენი მეფე კი სიცოცხლეს გამოასალმა.

2922—2931.

...მაგრამ როგორც კი მზე ამოვიდა,
გაისმა ჰიგლაქის საყვირთა ხმებიც,
საბრძოლო ხმა და სინათლე ერთად მოვიდა,
და გითები, იმედი რომ გადაწყვეტოდათ, კვლავ შემორებად
გადააქცია.
ჰიგლაქი გითებს გამოჰყოლოდა, ბოლოსდაბოლოს კიდევც
ეპონა.

და მერე კი ყველაფერი სისხლით აივსო,
ორი რაზმი გითებისა დაეცა შვედებს, ყველგან იბრძოდნენ,
ჩეხდნენ ერთმანეთს.

2941—2948.

და ეს დავაა, მტრობა და შუღლი,
რაც შვედებთან ბრძოლას მოგვიტანს,
და როგორც კი გაიგებენ, რომ ჩვენი მეფე
გარდაიცვალა, უწინამძღოლოდ დარჩნენ გითები,
საუკეთესო მეფე დაჰკარგეს —
ვინც მტრებს დევნიდა,
ვინც იცავდა განძსა და მიწას და ვინც იხსნა
პროთგარი და დანიელები —
მთელი ცხოვრება მამაცურად ვინც გაატარა...

2999—3007.

შესაძლოა ბეოვულფი არ არსებობდა, მაგრამ მისი
ხალხი კი ნამდვილად იყო, მძლავრი და დამოუკიდებ-

ლი ტომი — სხვა თუ არაფერი, ჰიგლაქის მეფობის
ჟამს და მასზე ადრეც — სამხრეთ შვეციაში. შვეციის
მეფის, ონგენტოს, ნეშტი კი ვინც თავისი ხალხითურთ,
პოემაში მებრძოლადაა დახატული, ალბათ დაობლე-
ბულმა შვედებმა დაკრძალეს აღმოსავლეთის ბორცვში,
იმ სამი სამეფო საფლავის ბორცვიდან, რომელიც მდე-
ბარეობს ძველ აპენდში შვეციის უძველესი სამეფოს
გულში. ეს ბორცვები კვლავ დგანან უპსალას ველზე
აღმოსავლეთ შვეციაში და წარსულ საგმირო ამბებზე
მოგვითხრობენ. უფრო მოშორებით, ჩრდილოეთითა და
დასავლეთით, უძველესი ქალაქის, ვენდელის, ახლოს,
მეორე სამეფო სამარხი და მეორე დიდი ბორცვია, რაც
გადმოცემის მიხედვით არის ონგენტოს ვაჟის ოტარის
საფლავის ბორცვი, 2380 სტრიქონში ნახსენები შვეცი-
იდან გადასახლების მამამთავრისა.

ამ ბორცვებს ტრადიციაზე უფრო მეტი რამ აკავში-
რებს იმ წლებთან „ბეოვულფი“ რომ მოიცავს. რადგან,
ბოლოს და ბოლოს პოემაში მოთხრობილი ამბებიდან
ერთი მაინც მოხდა მეშვიდე საუკუნეში. არქეოლოგები
კი უპსალასა და ვენდელის ბორცვებს ამ პერიოდით
ათარილებენ.

პოემაში შეტანილი მეექვსე საუკუნის ისტორია ეხე-
ბა ჰიგლაქის საბედისწერო შეჭრას ფრანკების ტერიტო-
რიაზე და მის სიკვდილს რაინის შესართავთან. პოემაში
ეს საბედისწერო თავგადასავალი წარმოდგენილია, ჰრო-
თვარის მიერ ბეოვულფის ოქროს ყელსაბამით დაჯილ-
დობასთან დაკავშირებით, გრენდელის დამარცხების
შემდეგ:

...ჰიგლაქი ფლობდა ამ ყელსაბამს,
სვერთინგის შვილიშვილი, დაიცვა ოქროს განძეული,

მძლავრმა ხელებმა მოუპოვა ყელსაბამი ჰიგლაქს ბრძოლაში,
მაგრამ გითთა ამაყმა მეფემ, ბოლოს დაჰკარგა, რაც
მოიპოვა,

რომ მეტისმეტმა სიამაყემ ფრიზელებს გადაამტერა.

1202—1206.

ჰიგლაქის ბრძოლა ფრიზელებთან კვლავ იხსენიება
2354 სტრიქონში, შემდეგ 2501 სტრიქონში და ბოლოს
ბეოვულფის სიკვდილის გამო თქმული გლოვის სიტყ-
ვებში.

და ახლა ბრძოლას უნდა ველოდეთ,
შეიტყობენ ფრანკები და ფრიზელები ჩვენი მეფის
სიკვდილის ამბავს

ამბები ხომ სწრაფად ვრცელდება.

ჰიგლაქს ჰქონდა ფრანკებთან

ბრძოლა, მოითარეშა მათი მდინარე,

მათი რაინი მოითარეშა ხომალდებით და მეომრებით,

ვიდრე ფრანკები თავს არ დაესხნენ დიდი ლაშქრით და

ჰიგლაქი მოკლეს,

ბევრი დაეცა კიდევ ჩვენგანი.

შეაბჯრული მოყმეები დაგვიმარცხეს

რიცხვის სიჭარბით. ვერ მოიტანა განძეული,

ვერ დაზინა თაფლუჭის დარბაზს. და იმის მერე

ალარ გვქონია მოსვენება ფრანკებისაგან.

2910—2921.

ჰიგლაქის ბრძოლა ფრანკებთან და ფრიზელებთან
მოხსენიებული აქვს ფრანკ მემატიანეს, გრეგორი ტუ-
რელს, ვინც ამ შემთხვევიდან ერთი თაობის (ან უფრო
ადრე) შემდეგ დაიბადა. გრეგორის გადმოცემა განმტკი-
ცებულია და ოდნავ გაზრდილი ორი უფრო გვიანდელი
ფრანკული ტექსტით. ბრძოლა როგორც ჩანს, მოხდა მე-
ექვსე საუკუნის მესამე დეკადაში. რაც არ უნდა იყოს,

მეფე ჰიგლაქის დამარცხება და სიკვდილი ისტორიული ფაქტია — თანაც წლებიც ზუსტადაა განსაზღვრული.

ამ მიზეზთა გამო ზოგიერთ მეცნიერს სურვილი აღძვრის ზოგიერთი ნაწილი ამ შიგადაშიგ გამოგონილი პოემისა განიხილოს როგორც გადმოცემა იმის შესახებ თუ როგორ შეიქმნა შვედი ერი, როცა ბეოვულფი და მისი ხალხი დამარცხდნენ ჩრდილოეთი შვედების ტომებთან ბრძოლაში და ბეოვულფი დაიღუპა, გადარჩენილმა ხალხმა და დამპყრობლებმა, ძლევამოსილი ტომის ტერიტორიაზე შეჰქმნეს მძლავრი სამეფო.

თუ ამ მეცნიერთა თეორიები ჭეშმარიტია, მაშინ ეს ლაღადებს გერმანელი მომღერლის ნიჭზე, რომელსაც შეეძლო თავისი მართალი სიმღერა ტომობრივ საზღვრებს, ზღვებსა და, შესაძლოა, საუკუნეებს იქითაც გაეტანა. რადგან უძველესი სიმღერა ბეოვულფზე ძველი ინგლისური სიმღერაა და არა შვედური, და ინგლისმა შემოინახა. და თუმცა ვერასოდეს შევითვით თუ როდის შეიქმნა მანუსკრიპტით შემონახული პოემა, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს მოხდა ანგლო-საქსთა მიერ ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ინგლისში, მეშვიდე საუკუნის შუა ხანებში.

V. ქრისტიანი მომღერალი

„ბეოვულფი“ ქრისტიანი პოეტის ნაწარმოებია. მეცხრამეტე საუკუნეში, როცა ევროპის ყველა ქვეყანა, ეძებდა ან ჰქმნიდა თავის სახელოვან, წარმართულ წარსულს, მოდაში იყო იმის მტკიცება, რომ ქრისტიანული ელემენტები პოემაში „ბერი ინტერპრეტორის“ მიერ იყო შეტანილი. უნდოდან ეპოვათ კეთილშობილი, პირ-

ველყოფილი წარმართობა, შესუსტებული ქრისტიანული „სენტიმენტი“, ძველ დოკუმენტებში, თუნდაც პოეზიაში გამოვლენილი სიშმაგის წყალობით.

პოემის ამ აღრეულ შემსწავლელთა ძალზე ცოტა საბუთი ჰქონდათ თავისი ახირებული მოსაზრების გასამაგრებლად. მათ იცოდნენ, რომ არც მეექვსე საუკუნის გითები, მათი მეფე ჰიგლაქი და არც, შესაძლოა, გამოგონილი გმირი, იქნებოდა ქრისტიანი. ქრისტიანობა შვეციაში შევიდა ოთხი საუკუნის შემდეგ. მაშინ თუკი პოემამ შემოგვინახა — და ალბათ ასეა — გარკვეული სიმართლე გითების განადგურების შესახებ შვედების მიერ, მაშინ „ქრისტიანული შეფერილობა“, როგორც მას ეძახიან, დამატებული უნდა იყოს მოგვიანებით, ბეოვულფის ამბების ყველაზე აღრეულ ვარიანტთან შედარებით.

რა თქმა უნდა ასეცაა, მაგრამ ეს ჩაიდინა არა ვინმე შიშობარა ბერმა, რომელმაც შერყვნა ჭეშმარიტი ამბავი, თქმული ან დაწერილი ძველი შესანიშნავი მეშვიდე-მერვე საუკუნის ანგლო-საქსი წარმართის მიერ.

იქნებ ასეც მოხდა: ბეოვულფის ამბავი ზეპირად იცოდა ვინმე მომღერალმა და ზღვით შეიტანა ანგლო-საქსურ ინგლისში მომღერალი შეიძლება ყოფილიყო ანგლო-საქსი მეზღვაური ან დანიელი, ან გითი. პროფესორი სიუნლინდკვისტი აცხადებს, კაცი, ვისაც სატონ ჰუს განძეული ჩააყოფეს თან, შვეციის უბსალას სამეფო სახლის შთამომავალი იყო. ეს კი იმაზე მიუთითებს რომ მომღერალს რაიმე კავშირი უნდა ჰქონოდა ამ დიდ ადამიანთან, რომლის უკვდავსაყოფად შეიქმნა ეს ხომალდ-სამარხი. ენა ნაკლები ბარიერი იქნებოდა ამ ორი სხვადასხვა გერმანელი ხალხისათვის, ვიდრე ისტო-

რიული პერიოდები და ყველა ამ ხალხს ერთნაირი ტრადიციული პოეზია ჰქონდათ, ისევე როგორც რუნული ტვიფრი — განსაკუთრებით დიდ რიკის ქვაზე ოსტერგიტლენდში, შვეციაში — და უფრო გვიან შესული ედები, ნორვეგიიდან. ამბავი კეთილშობილ და გასაოცარ გით გმირზე და მის ხალხზე მოეწონა ვინმე ძველი ინგლისურად მოლაპარაკე მომღერალს, ვინც ხელახლა შეჰქმნა ეს პოემა, ალბათ გარკვეული დროის შემდეგ, თავის ენაზე.

ინგლისში წმ. ავგუსტინეს სახელობის ქრისტიანულ მისიაში 597 წელს დაბრუნებული ტრადიციული მომღერალი, ვინც თვითონაც ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, მოჰყვებოდა იმ კეთილშობილი გმირის ამბავს. იმ ქრისტიანისათვის ის, რომ ეს მძლავრი მეომარი წარმართი იყო, მიუღებელი გახლდათ, ბეოვულფის საქციელიდან ცხადი იყო, რომ იგი ისე იქცეოდა, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის ერთგული მსახური.

ანდა შესაძლოა ასეც მოხდა; ანგლო-საქსმა მომღერალმა მოისმინა დაუმუშავებელი ამბავი ურჩხულთან შეტაკებისა და ტომობრივ ბრძოლებზე და გადაწყვიტა უფრო გაეკეთილშობილებინა გმირის სახე ამ მრისხანე ბრძოლებში. მომღერალმა იცოდა რომ ღმერთი იყო მშობელი ყოველგვარი სიქველისა და ყოველი უკეთილშობილესი თავგადასავალი განმეორება იყო ქრისტესიამგვარად, კეთილშობილი გმირი ქრისტეს იმიტაცია უნდა ყოფილიყო.

ესაა, ბოლოს და ბოლოს, რასაც ბეოვულფი სჩადის პოემაში. გაიგებს, რომ დანიელებს თავზარს სცემს კაენის ეს სატანური ნაშიერი გრენდელი, გაჩენილი იმ თესლისაგან „ღვთის ნებას რომ მუდამ წინ უდგას“,

გმირი ტოვებს სამშობლოს, სამხრეთ შვეციას და მიცურავს ხიფათისაკენ. იგი ებრძვის და ამარცხებს გრენდელს დარბაზში, რაც იმ წამისთვის მთელის სამყაროს სიმბოლოდ იქცევა.

ბეოვულფი, ზღვის გაღმიდან მოვიდა მათთან,
ბეოვულფი მამაცი და გამჭრიახი,
მოსპო გაჭირვება, გაწმინდა ჰეროთი...

824—826.

შაგრამ ურჩხული ჯერ კიდევ მძლავრობს და ბეოვულფი უნდა ჩავიდეს საშინელ ტბაში, რომელიც ასე ნათლად დახატა პროთგარმა. იგი ამბობს რომ ურჩხულებს:

იღუმალი ცხოვრება უჯობთ,

ქარიან კლდეში, მგლის ბუნაგებთან, სადაც წყალი აწყდება კლდეებს,

და მიწის ქვეშ ჩაედინება, ჩაედინება, ნისლი სადაც შავ ღრუბელსა ჰვავს, ტბის ნაპირს კი ირგვლივ ხეები შემორტყმია, წყლის ზედაპირი შეყინულია, ქარი სისინებს, მთელს მიდამოს ზანზარი გააქვს, ბნელს მოუცავს იჭაურობა.

ჩირადდანივით იწვის ტბა ღამით.

მისი სიღრმე არავინ უწყის, ვერვის გონება ასეთ სიღრმეს ვერ ჩასწვდომია. ძალღებისაგან დევნილ ირემს,

ზარირემს, დიდრონ რქებით შემკობილს

დაქანცულ ირემს ურჩევნია ნაპირას მოკვდეს,

ვიდრე სიცოცხლის გადარჩენა

წყალში ეძიოს. შორს კი არ არის,

სანახავად უამურია. ქარი ღმუის და

ქარიშხალი ისე მძვინვარებს, რომ ტალღები ცასა

სწვდებიან,

წყვიდადშია სუყველაფერი, ჰაერიც, წვიმაც.
ზეცა ტირის...

1358—1376.

„ჩვენი იმედი მხოლოდ შენლა ხარ“, დაასკვნის ჰროთ-
გარი.

ანგლო-საქსი მსმენელი ამ ცოდვილ ტბას ჯოჯოხე-
თად წარმოიდგენდა. ქადაგებებსა და ლოცვებში მათ
ესმოდათ ასეთ დაბურულ ხეებზე, მზეს რომ ფარავდნენ
და აჩენდნენ ყინულს და ურჩხულებს. როცა ბეოვულ-
ფი ჩადის ჯოჯოხეთში და ამარცხებს ურჩხულს.

კაშკაშა შუქი გადმოედგარა ირგვლივ ყველაფერს,
თითქოს რაღაცა ენთო, იწვოდა,
ისე ელვარე როგორც სანთელი, დანთებული მალა ზეცაში,

1571—1573.

გმირი რომელმაც ბედნიერი დილა მოუტანა ჰროთ-
გარის დარბაზს (837) თვითონ უეცრად და უცნაურად
აღმოჩნდება მზესავით ნათლით გარშემორტყმული.
უზარმაზარი მახვილი, რითაც ურჩხულს ჰკლავს, თვი-
თონ ურჩხულების დამზადებულია,

მახვილი გადნა და წყალივით ძირს დაეწვეთა,
გაჰქრა ისე, როგორც ყინული,
როგორც მსოფლიოს მბრძანებელი უხილავ კრავს
თვალხილულსა ხდის

და ლოლუებს ყინულისგან ათავისუფლებს,
და რაც მხოლოდ მას შეუძლია,
ვინც ჟამსა და წელიწადის დროებსა მართავს და ვინც
ღმერთთა ქვეშეაჩივნი.

1606—1611.

როცა მეფე ჰროთგარი ბეოვულფისგან მიიღებს ამ მახ-
ვილის ტარს, მასზე წაიკითხავს ბეოვულფის თავგადასა-
ვალის ერთგვარ კომენტარს:

...მოხუცი მეფე
დაკვირვებით დასცქეროდა ტარს უძველესი ხმლის ნაშთისა,
და შენიშნა ზედწარწერილი ამბავი ძველთა ბრძოლებისა,
კეთილსა და ბოროტს შორის, ამბავი წყლის მოძალდებისა,
წარღვნის ამბავი, რომ განდევნა გოლიათები, როგორ იტანჯა
და ვითარ მოისრა მოდგმა, ღმერთი რომ სძულდა
და სასჯელი მისგან ეწვია,
მძლავრ ტალღებად დაეწია, ყველგან მისწვდა,
სადაც გაიქცნენ.

1686—1694.

პოემის დასაწყისში მეფე სკილდს ასაფლავებენ წარ-
მართული წესით. მგლოვიარენი უყურებენ ხომალდს.

ნანავით წასულს იქით, საიდან არც მეფეებს, არც გმირებსა
და არც არავის

არ შეუძლია იმისი თქმა,
ვინ გამოიწვდის მკლავებს ხომალდის ჩასახუტებლად.

50—52.

პოემის დასასრულს ბეოვულფს კვლავ წარმართული
წესით წვავენ, თუმცა კრემაცია გვარწმუნებს, რომ,
ვანსხვაგვებით სკილდის უგზო-უკვლო მგზავრობისაგან,

...კვამლი ...ზეცამ ჩაყლაპა.

3155.

იმ ადამიანის კოცონიდან ვინც თავი დასდო თავისი
ხალხის გადასარჩენად.

VI. ხელოვანი

ეს მართლაც ღრმად დამუშავებული პოემაა. ადამიანი, ვინც ის შექმნა, თუნდაც ტრადიციული მომღერალი ყოფილიყო, უბრალო სახალხო მომღერალი არ იქნებოდა, არ იქნებოდა გაუნათლებელი გლეხი. შეიძლება კითხვა არ იცოდა, მაგრამ ის იცოდა, რომ დაემახსოვრებინა, რასაც მოისმენდა. მას ისე უნდა გაეწვრთნა გონება, რომ შეენახა, რაც უმთავრესი იყო ამბავში და გადმოეცა ეს უმთავრესი, სადა, მაგრამ დახვეწილი ხერხებით — განმეორებითა და კონტრასტით.

მას უნდა ესწავლა ხასიათის შექმნაც მოქმედებითა და დიალოგით. მისი უდიდესი მიღწევაა თვით გმირი, ბეოვულფი. ბეოვულფი უეცრად შემოდის 194 სტრიქონში. იგი უეჭველად, თავგადასავლის მაძიებელი ჰაბუკია. 247 სტრიქონში ჩვენ მას პირველად დავინახავთ, დანიელი სანაპიროს გუშავის თვალთ, ვინც განცვიფრებულია ბეოვულფის თავხედური შემოჭრით და მიანც აღფრთოვანებულია გმირის გამორჩეული გარეგნობით.

არსად მინახავს კაცთა შორის დედამიწაზე

ასეთი მძლავრი და ახოვანი,

როგორც თქვენთან ერთად მოსული;

არავინ ფლობს ასეთ იარაღს,

თუ გარეგნობა ამ კაცისა და სილამაზე არა სტყუიან...

247—251.

ბეოვულფის ასეთივე პირდაპირი პასუხი გვიჩვენებს, რომ მასაც უყვარს პირდაპირობა და მოსწონს გაბედულება ამ დანიელისა, ვინც შუბს აღმართავს იმ კაცის წინ, ვინც, მისივე აღიარებით, უდიდესია მათ შორის, ვინც უხილავს.

პროთგართან ვრცელი საუბრისას, ბეოვულფი წარუდგენს თავს და იმასაც ამბობს, რისთვის მოსულა; აქ ბეოვულფი კვლავ შმაგი ჰაბუკია. მხოლოდ პროთგარისაგან ვიგებთ ბეოვულფის დანიაში მოსვლის უფრო ღრმა მიზნებს:

ჩვენთან მოყვრად მიტომ მოსულხარ,
მამაშენი რომ მოყვრებად გვოვლიდა.
მწვავე მტრობაში გაეხვია ედგეთო მაშინ,
ვულფინგს მოუკლა მეომარი, ჰათლავი მოჰკლა,
გითნი შეშფოთდნენ, მოეჩვენათ, ომი ატყდებოდა, ედგეთო თუ
შინ დაბრუნდაო,

ამიტომაც გამოაძევეს.

მღელვარე ტალღებს გამოუყვა დანიისაკენ.

ახლად ასული ვიყავი ტახტზე,

მას შემდეგ, რაც ჰაბუკი მეფე,

ამ სახელმწიფოს და ქალაქისა — ოქროს ქალაქის —

ჩემი უფროსი ძმა, ჰერგარი,

ჩემისთანებზე ბევრად მჯობი, გარდაიცვალა,

და სიკვდილის წინ მე, პილფდანის მეორე ვაჟი

მთელს დანიაში პირველ კაცად გამოამაცხადა.

ედგეთოს შუღლს ბოლო მოვუღე,

საგანძური ვაახლე ვულფინგს, და მამაშენმაც დაიფიცა,

რომ მშვიდობას არ დაარღვევდა.

გმირის პირველი, დრამატული, წარმოდგენისა და შემდეგ პროთგარის რემინისცენციის — ერთგვარი უკან დახვევის — მერე ჩვენს წინაშეა ორივე, ლეგენდარული თამამი გმირი და უფრო მოტივირებულად დახატული ადამიანი. (464—470 სტრიქონებში პროთგარის სიტყვებში არის მშვენიერი დრამატული სახე, როცა მოხუცი კაცი ოხვრით იგონებს დიდებულ წარსულს).

ამის შემდეგ დიდი დრო არ გადის, რომ გრენდელთან ბრძოლის — რაც ამაღლებულია და სწორედ ამით

გვალეულებს — და მილოცვების შემდეგ ბეოვულფი უეცრად წარმოგვიდგება, როგორც გმირი და კაცი. ურჩხულის მეორე გამოჩენა სრულყოფილი ადგილია; ეს რომ ცოტა ადრე მომხდარიყო, დაძაბულობა შენელებოდა. პროთგარმა ეს-ეს არის უთხრა ბეოვულფს, ჰეროტს მწუხარება დაუბრუნდაო, მოუთხრო ურჩხულის საშინელი დანაშაული. ბეოვულფის სიტყვა ცამეტ სტრიქონს შეიცავს:

ნულა ვალალებო! უმჯობესია დაღუპულთათვის შური
ვიძიოთ,
ვიდრე ვიგლოვდეთ გაუთავებლად
ქვეყნად არცერთი კაცთაგანი სიკვდილს ჯერ არ გადარჩენია,
ვინც სახელს ეძებს, ჰპოვებს კიდევ,
სხვა რა დაგვრჩება სიკვდილის შემდგომ, სახელი მხოლოდ,
ნუ ვაყოვნებთ, ქუდზე კაცს უხმეთ,
გავეჩქართ რაც შეგვიძლია,
თვალი შევაგლოთ ერთი გველეშაპს,
გპირდებით, ვერსად დაგვემალება,
ვერც მიწაში ვერსად ჩაძვრება, ვერც ხის წვერზე ვერ
აგვისხლტება,
ვერც ტბის ფსკერზე გაგვეტრუნება, სადაც დღემდე
ცოღვებსა ფარავს
მხოლოდ ერთ დღეს მოგიწევთ დარდი,
არა მგონია, მეტი დამჭირდეს.

1384—1396.

პოემის ბოლო, მესამე ნაწილში ბეოვულფი გამოცვლილია. ამის დასაწახად საჭიროა შევადაროთ ის ადვილი, სადაც ჭაბუკი გმირი გაიგებს პროთგარის გასაჭირს, იმ ადგილს, სადაც ბეოვულფი, უკვე მოხუცი მეფე, გაიგებს თავის გასაჭირს, რათა თვალი გავაყოლოთ გამოვლილ დროსა და მანძილს.

შორს კი ბეოვულფს, ჰიგლაქის მოყმეს
და ვითა შორის უძლიერესს —
ყოველთა მჯობნსა და აღმატებულს ამ ქვეყანაზე —
ესმა თუ არა გველეშაპის ავი საქმენი,
უმალ ნავის გამართვა ბრძანა,
დანიელებთან წასვლა ისურვა
გადასერავდა ზღვას პროთგარისკენ,
გასაჭირი რომ დასდგომოდა.

194—201.

აქ ყველაფერი იოლია; პროთგარს დახმარება სჭირდება და ბეოვულფი უყოყმანოდ ბრძანებს აღჭურვონ ხომალდი.

მაგრამ ახლა ეს მოისმინეთ:

მეიხლნენ მეფე ბეოვულფს,
აუწყეს, რომ მისი ტახტი, მისი დარბაზი, უკეთესი შორის,
უკეთესო შორის,
სუნთქვას დაეწვა, გველეშაპის ცეცხლოვან სუნთქვას.
დანიელებიანდა ბეოვულფი, მათმა სიტყვებმა
გული ჩაწყვიტა, თვით დაიბრალო დარღვევანი
უფლის კანონთა, რისხვა უფლისა ჩემს ხალხს
მეფე მოვუვლინეთ.
თავს აყვედრიდა, აბრალებდა, პირქუშსა და
დასევდილ მეფეს ეჩვენებოდა მთელი სამყარო უცხო
ადგილად.

2324—2332.

ბეოვულფი დაბერდა, აღივსო მოვალეობის გრძნობითა და მოგონებებით. ახლა იგი მოხუც პროთგარს ჰკავს, ვის წინაშეც ოდესღაც იდგა ამაყი ჭაბუკი. მაგრამ ცხოვრება დიდხანს არ გაგახარებს, ბოროტების დამარცხება უკვე ძალის უბრალო დაძაბვით აღარ ხდება.

გმირის ასაკის მომატებასთან ერთად, თვით ბოროტებაც შეიცვალა. ცეცხლოვანი ურჩხული ისეთი საზიზღარი არ არის, როგორც გრენდელი, ის მხოლოდ ქურობის გამო განრისხებული არსებაა. ყოველთვის სიმპათიით იხსენიება და ღირსეულადაა შეფასებული გარდაცვლილი გმირის ამ ეპიტაფიაში:

გარდაიცვალა მეფე ჩვენი, გიგების მწყემსი,
ურჩხულმა მოჰკლა ბეოვულფი, მაგრამ თვითონ ურჩხულიც
მოკვდა,

ხანჯლით შუაზე გაბობილი;
თავის სისხლში წვეს გველეშაპი.
მის კანს ვერარა ხმალი ვერ ჰკვეთდა, ვერ ჰჭრიდა
ურჩხულს. იქვე ვიგლაფი ზის მგლოვიარე,
ბეოვულფის ნეშტის ახლოს, ვექსტანის ვაჟი,
დაღალული, სევდიანი, გაყუჩებული,
დარაჯობს მეფეს, სადაც წვანან
ბეოვულფი და მისი მკვლელი.

2900—2909.

ამ დიდი პოემის მთელი მესამე ნაწილი მართლაც რთული და მშვენიერი ელევგიაა, შემდგარი პატარა ელევგებისაგან; ესაა სევდიანი გახსენება წარსულის დიად საქმეთა.

ესაა წუხილი გარდასული გმირული ეპოქის გამო, იმ ჭაბუკური დროისა, ასე სრულყოფილად რომაა გაცოცხლებული პოემის პირველ ნაწილში. და ბოლოს, ბარტონ რაფელის ნათელი სიმღერა ჩვენი დროის შესაფერისად გადმოგვცემს იმ წუხილსაც და იმ სიყმაწვილსაც.

როგორც პ. კრილი.

„ბეოვულფის“ პროზაული გამოცემის წინასიტყვაობა

თითქმის ყველას სმენია „ბეოვულფის“, ერთ-ერთი უძველესი და მართლაც ყველაზე შთამბეჭდავი ანგლო-საქსური თუ ინგლისური პოემის შესახებ, რასაც ჩვენამდე მოუღწევია. ძველი ინგლისური პოეზია ზომით 30 000 სტრიქონამდე აღწევს; და თუმცა ერთიდაიგივე ლექსით, ალიტერაციული ლექსითაა დაწერილი, ერთგვარი გარეგნული მსგავსების მიუხედავად ეს პოეზია საოცრად განსხვავებულია. აქ არის „ბეოვულფის“ მსგავსი ჰეროიკული პოემები: „ფინსბურგის ფრაგმენტი“, „ვიდსითი“, „ვალდერი“ და „მალდონის ბრძოლა“; რელიგიური პოემები: „ივდითი“ (მიაგნეს იმავე ხელნაწერში, სადაც „ბეოვულფი“ იპოვნეს), „გუთლაქი“, „დაბადება“, „ექსოდოსი“, „ქრისტე“ და „რუდის სიზმარი“. ბრწყინვალე ლირიკა და დახვეწილი პიესები: „მეზღვაური“, „მეოცნებე“, „ცოლის გლოვა“, „ქმრის წერილი“ და „ნანგრევი“. ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, არის აგრეთვე მრავალი მოკლე პიესა, ციკქნა ლექსები, გამოცანები და სხვა მრავალი.

„ბეოვულფი“ არის ერთ-ერთი უგრძესი და უმნიშვნელოვანესი ძველ ინგლისურ პოემებს შორის. ის არაა გარდასულ ველურთა ნაშთი, არც ისტორიული მნიშვნე-

ლობის დოკუმენტი. ეს არის ერთადერთი მშობლიური, ინგლისური საგმირო ეპოსი და ევროპის ევრეთწოდებული წყვდიადით მოცული საუკუნეების ერთი უმშვენიერესი ქმნილება. არსებობს თვალსაზრისი — რასაც ხშირად გამოთქვამენ — რომ ის თავისთავად დიდი პოემაა. მისი თემა ბოროტისა და კეთილის ჭიდილია. გამოხატულებაა სიბნელისადმი შიშისა, გმირობის ბუნებისა და მიზნის შემოწმებისა; და დიდი დადასტურებაა ანგლო-საქსთა ფართო წარმოსახვისა და მსოფლმხედველობისა.

პოემის შეთხზვის თარიღი ალბათ ჩვენი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნეა, სამასი წლის შემდგომდროინდელი ხანა ბრიტანეთში (რომაელების წასვლის მერე) გერმანული ტომების შემოსვლიდან, ვინც ანგლო-საქსების წინაპრები გახდნენ. შეცდომაა იმის გაფიქრება, რომ ანგლო-საქსთა საზოგადოება მერვე საუკუნეში პრიმიტიული და გაუნათლებელი იყო. პირიქით, ეს გახლდათ ქრისტიანული, ორგანიზებული და არისტოკრატიული ცივილიზაცია, რომლის ერთ-ერთი მეფეც, ოფა მერსიელი, თავისი მდგომარეობით შეიძლება კარლოს დიდს შევადაროთ. ანგლო-საქსური საზოგადოების სიმდიდრესა და ბრწყინვალეობაზე წარმოდგენას გვაძლევს იმ შესანიშნავი განძეულობის ნახვა, ახლა ბრიტანეთის მუზეუმში რომაა გამოფენილი და სატონ ჰუში დაფლული ხომალდიდან ამოიღეს. ანგლო-საქსური მონასტრები გახლდათ კერა განსწავლულობისა, მისი ბიბლიოთეკები სავსე იყო როგორც საერო, ისე რელიგიური ლიტერატურით. თუ „ბეოვულფის“ ავტორს წაკითხული არ ჰქონდა „ენეიდა“ (არადა აშკარაა, რომ წაკითხული ჰქონდა), ის მაინც სავარაუდოა, რომ გავონე-

ბით სმენოდა მასზე. „ბეოვულფი“, არსებითად, რთული კულტურის ქმნილებაა.

ამიტომ კარგი იქნებოდა, თუ პოემის მოკლე შინაარსს მოვყვებოდით. „ბეოვულფი“ იწყება სკილდის დასაფლავების აღწერით, სკილდი დანიელთა სამეფო კარის მითიური დამაარსებელია. მისი შთამომავალი, პროთგარი, ფლობს დიდ დარბაზს, ჰეროტს. მაგრამ ჭობებში მცხოვრები ბოროტი არსება, ნახევრად კაცი, ნახევრად ურჩხული, სახელად გრენდელი გალიზიანდება მოზეიმე ჰეროტიდან გამოსული ხმებით, ღამით შეიჭრება დარბაზში და ოცდაათ დანიელს მოჰკლავს. იგი გაუთავებლად ესხმის თავს და იკლებს ჰეროტს თორმეტი წლის მანძილზე; არც პროთგარს და არც მის ხალხს ძალა არ შესწევთ, ბოლო მოუღონ გრენდელის თავდასხმებს. ეს ამბავი მიაღწევს ბეოვულფის ყურამდე, ბეოვულფი ჰივლაქის, გითების მეფის, ძმისშვილია (გითები შვეციაში მცხოვრები ტომია). ბეოვულფი გადაწყვეტს პროთგარის დასახმარებლად წასვლას. თოთხმეტ გამბედავ მებრძოლთან ერთად იგი გასცურავს დანიისაკენ და ჰეროტში ესტუმრება პროთგარს. ნადიმის შემდეგ ბეოვულფი და მისი თანმხლები გითები დარბაზში ელიან გრენდელს. ღამე რომ დადგება, ურჩხული ესტუმრება ჰეროტს, შეამტვრევს კარებს, მოჰკლავს და შეჭამს ერთ-ერთ გითს. მაგრამ როცა ბეოვულფს მიწვდება, გმირი ჩაეჭიდება და ფიცხელი ბრძოლის შემდეგ მკლავს მოსტეხს. სასიკვდილოდ დაჭრილი გრენდელი თავისი სამყოფელისაკენ გაიქცევა, მეორე დღეს დიდი ნადიმი გაიმართება ჰეროტში, ნადიმზე პროთგარი და მისი მეუღლე, დედოფალი ველთოუ, ასაჩუქრებენ ბეოვულფსა და მის ხალხს, კარის პოეტი იმღერებს სიმ-

ღერას ფინზე. მაგრამ წვეულების შემდეგ, როცა დანი-
ელებს სძინავთ, გრენდელის დედა შეიჭრება დარბაზში,
მოიტაცებს ჰროთგარის საყვარელ მრჩეველს და ასე
იძიებს შურს შვილის სიკვდილის გამო. დილით დანიე-
ლები და გითები მის კვალს გაჰყვებიან იმ ტბისაკენ,
რომლის ფსკერზეც იგი ცხოვრობდა; ბეოვულფი ჩაე-
შვება ტბაში და სასტიკი ბრძოლის მერე მოჰკლავს
გრენდელის დედასაც. ბეოვულფი გრენდელის გვამს,
რომელსაც იქვე იპოვნის, თავს მოჰკვეთს და თან წაი-
ღებს ჰეროთში. კვლავ გადაიხდინა ნადიმს, რომელზეც
ჰროთგარი გრძელი, დამრიგებლური სიტყვით მიმარ-
თავს გმირს. მეორე დღეს საჩუქრებით დატვირთული
ბეოვულფი და გითები შინისაკენ გასცურავენ. როცა
ჰიგლაქის სამეფო კარს მიაღწევენ, კვლავ სანადიმოდ
დასხდებიან, ბეოვულფი თან თავის თავგადასავალს
უამბობს მეფეს და ჰროთგარის ნაჩუქებ განძეულსაც
უჩვენებს. ასე მთავრდება პოემის პირველი ნაწილი.

მას შემდეგ, რაც ჰიგლაქი და მისი ვაჟი, ჰერდრედი,
ფრანკებთან და შვედებთან გამართულ ბრძოლაში დაი-
ღუპებიან, ბეოვულფი გახდება გითების მეფე და მარ-
თავს მათ ორმოცდაათი წლის მანძილზე. მისი მეფობის
ბოლოს ქვეყანაში შეიჭრება ურჩხული, განძისმცველი,
რომელიც გაქცეულმა მონამ გააღიზიანა. მოხუცი გმირი
გადაწყვეტს მარტო შეეხება ურჩხულს, შეიარაღდება
რკინის ფარით, რათა თავი დაიცვას ურჩხულის ცე-
ცხოვანი სუნთქვისაგან, წაიყოლებს თერთმეტ მხლე-
ბელს და თავის ნათესავ ვიგლავს. ბრძოლის წინ მო-
ხუცი მეფე წარმოსთქვამს გრძელ სიტყვას, გაიხსენებს
ახალგაზრდობას და, განსაკუთრებით, დიდ შუღლს შვე-
დებთან. დასცილდება მხლებლებს და შეუტევეს ურ-

ჩხულს, მაგრამ ბრძოლისას მახვილი გადაუტყდება და
ურჩხული მაგრად მოიმწყვდევს ბრჭყალებში. შეშინე-
ბული მხლებლები გაიქცევიან, დარჩება მხოლოდ ვიგ-
ლავი, ვინც ბეოვულფის დასახმარებლად მივა. ისინი
ერთად ჰკლავენ ურჩხულს; მაგრამ ბეოვულფი სასიკვ-
დილოდ დაიჭრება და ვიგლავის ხელში კვდება. მწუხა-
რებითა და მრისხანებით აღვსილი ვიგლავი უკან მოიხ-
მობს გაქცეულებს და მაცნეს ჰგზავნის გითებთან, რათა
მეფის სიკვდილი შეატყობინოს. მაცნე გითებს უწინას-
წარმეტყველებს, თუ რა საშიშროება მოჰყვება ბეო-
ვულფის სიკვდილს, გაიხსენებს გადახდილ ომებს ფრან-
კებთან და შვედებთან და იწინასწარმეტყველებს, ახლა
ისინი შურს იძიებენ, როცა გმირი ცოცხალი აღარ
არის და თავის ხალხს ვეღარ დაიცავსო. გითები ბრძო-
ლის ველზე მივლენ. განძისმცველ ურჩხულს გადაათ-
რევენ და მის მძორს კლდიდან ზღვაში გადაუძახებენ.
აანთებენ დასაკრძალავ კოცონს და ბეოვულფის სხე-
ულს დაწვავენ. მის ნეშტზე ააგებენ დიდ კოშკს, სადაც
მთათავსებენ ურჩხულის განძეულს. თორმეტი ამხედ-
რებული მეომარი შემოუვლის კოშკს, იგლოვებს და
ხოტბას შეასხამს ბეოვულფს.

თავიდან თითქოს გულუბრყვილო და მარტივი ჩანს
მოღრიალე ურჩხულები, ცეცხლისმფრქვეველი დრაკო-
ნები და თითქოს დაუხვეწავი და მთლიანობას მოკლე-
ბულია, რადგან აქ ორი სრულიად განსხვავებული ამ-
ბავია, ერთი დანიელთა შესახებ, რომელთაც ჰეროთში
თავზარს სცემთ კაციჭამია ურჩხული, და მეორე კი მო-
გვითხრობს გითებისა და მათი დრაკონის შესახებ, ეს
ორი ამბავი ძალზე მარტივადაა გადაბმული იმით, რომ
ორივეგან ერთი და იგივე გმირი მონაწილეობს. მართ-

ლაც, „ბეოვულფის“ პირველი კრიტიკოსები და კომენტატორები, და გვიანდელი ხანის კრიტიკოსებიცა და კომენტატორებიც, სარკასტულად უყურებდნენ სიუჟეტის მოუქნელობას. რადგან ეს პოემა თითქოს ძველმანების ყუთსაც მოჰგავს, გატენილს სკანდინავიური ტომების ისტორიის ფრაგმენტებით, საიდანაც ცვივა ერთმანეთთან დაუკავშირებელი, უადგილო ამბები და ლეგენდები. მაგრამ პროფესორი ჯ. რ. რ. ტოლკინი, თავისი ცნობილი ესეით „ბეოვულფი“: ურჩხულები და კრიტიკოსები“, იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ყველას დაანახვა, რომ პოემის კონსტრუქცია ბევრად უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე ეგონათ. მან მიუთითა, რომ სიუჟეტი, ალიტერაციული საზომის მსგავსად, რითაც დაწერილია პოემა, დამოკიდებულია წონასწორობაზე — თეზისა და ანტითეზისა — და არა უშუალო, პირდაპირ თხრობაზე. ამგვარად, პოემა იწყება და მთავრდება დაკრძალვით; და პირველი ნაწილი, რომელიც გმირის სიჭაბუკეზე მოგვითხრობს, კონტრასტს ჰქმნის მეორესთან, რომელიც გმირის სიბერეს ეხება. და თხრობისას ამდენი ურჩხული და დრაკონი იმითომ კი არ არის შემოყვანილი, რომ პოეტსა და მის ანგლო-საქს მსმენელებს ასეთი რამეები ბავშვებივით ხიბლავდათ, თუმცა მათი არსებობა სჯეროდათ. რადგან ბეოვულფი, თუმცა გმირია და ზეადამიანი, მაინც ადამიანია. „იგი კაცია და ეს მისთვისაც და სხვა მრავალთათვისაც საკმარისი ტრაგედიაა“ (ჯ. ტოლკინი). ქმნილებანი, რომელთა წინააღმდეგაც იბრძვის იგი — ნახევრად ადამიანი გრენდელი და დედამისი, და მოგვიანებით, პირველყოფილი, ნამდვილი დრაკონი — სიმბოლური მნიშვნელობისაა. ბეოვულფი ღმერთების მხარეზეა, მაგრამ ჩრდილო-

ურ მითოლოგიაში (რაც ქრისტიანობის, რითაც პოემა განმსჭვალული, საპირისპიროდ პოემის საფუძველს შეადგენს) ღმერთები თუმცა მართლები არიან, ოღონდ ვერ იმარჯვებენ. როგორც უ. პ. კერი წერდა: „გამარჯვებულია ქაოსი და უგუნურება, ხოლო ღმერთები დამარცხებულნი რომ არიან, ეს დამარცხება სახელის გამარცხებულნი არ მიაჩნიათ“. როცა გმირი ამარცხებს ტევხად სულაც არ მიაჩნიათ“. როცა გმირი ამარცხებს ნახევრად ადამიანს, გრენდელს (ვინც კენის, პირველი მკვლელის შთამომავლადაა მიჩნეული), ხოლო ბოლოს მკვლელს შთამომავლადაა მიჩნეული), ხოლო ბოლოს ბნელ, უძველეს, პირველყოფილ არაადამიან მტერს, დრაკონს, შეებმის, ვხვდებით, რომ მის სიკვდილს თან მოჰყვება ომები და უბედურებანი, რაც განადგურებას მოუტანს იმ ხალხს, რომლის დაცვასაც ცდილობდა იგი, შედეგი ტრაგიკულია, თუმცა პესიმისტური არ არის.

დავუბრუნდეთ „ბეოვულფის“ სტრუქტურას: პოემის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა მასში შემავალი უამრავი ეპიზოდი და გადახვევა. ეს ეპიზოდები და გადახვევანი დიდად აცბუნებდა პოემის აღრეულ შემსწავლელთ, რომელნიც მრავალ მოხერხებულ, მაგრამ არასრულყოფილ თეორიებს ჰქმნიდნენ გადახვევათა ასახსნელად, ეს თეორიები ყოველთვის ან რამდენიმე ავტორს ვარაუდობდა ან კიდევ ერთ ან მეტ ინტერპოლატორს. ახლა უკვე ყველა შეთანხმდა — და მარტოლათორს. ახლა უკვე ყველა შეთანხმდა — და მარტოლათორს. ახლა უკვე ყველა შეთანხმდა — და მარტოლათორს. ახლა უკვე ყველა შეთანხმდა — და მარტოლათორს.

*მიაჩნდა, რომ „ბეოვულფი“ წარმართული პოემა იყო და „ქრისტიანული ნაწყვეტები“ ინტერპოლაციები გახლდათ. მაგრამ როგორც მისს დოროთი უაიტლოკმა აღნიშნა, „ქრისტიანული ელემენტი“ არამარტო შედის პოემაში, არამედ მთელს ენასა და მხატვრულ მხარეს მოიცავს. ბიბლიური ამბავთა მრავალი ალუზია

ვალე ესეიში „ბეოვულფისეული“ გადახვევანი“ მუსიე ადრიან ბონუორი განიხილავს ამ ეპიზოდთა და გადახვევათა მხატვრულ საჭიროებას. იგი დაასკვნის, „ბეოვულფის“ ავტორმა, პოეტმა, იცოდა, რასაც სჩადიოდა: ყველაფერი, რაც მან პოემაში შეიტანა, იმისთვისაა საჭირო, რომ მთლიანობის ეფექტი შექმნას. ეს უწყსრიგო, დაუკავშირებელი ამბები კი არ არის, არამედ პოემა აგებულია თემების, მოტივების, კონტრასტებისა და პარალელების საშუალებით და, არსებითად, ისეთივე რთულია აგებულების მხრივ თუ ალუზიების გამოყენებით, როგორც ტ. ს. ელიოტის „ბერწი მიწა“. მაგალითად, სკილდ სკეფინგის დაკრძალვა, რითაც პოემა იწყება, მიგვანიშნებს ბეოვულფის დასაფლავებას პოემის ბოლოს. მეორე მაგალითიც შეიძლება დავძებნოთ, როცა ბეოვულფი გრენდელს დაამარცხებს და მის ამ გამირობას ხოტბას შეასხამს ჰროთგარის ერთ-ერთი მგოსანი, უმღერებს და სიმღერაში შეადარებს ზიგმუნდს, ვინც დრაკონის მოკვლით მოიხვეჭა სახელი: ამგვარად, ბეოვულფის პირველ გამირობაში მისი უკანასკნელი გამირობა გაიხმინებს. მაგრამ თანამედროვე მსმენელისათვის ზოგიერთი ეპიზოდი და ალუზია გაუგებარია, რადგან მიხვედრა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად

არამართა ამას გვიჩვენებს, რომ პოეტისათვის ანლობელი იყო წმინდა წერილი, არამედ იმასაც გვიჩვენებს, რომ მას ასეთივე სისხლოვის იმედი ჰქონდა მსმენელთაგანაც. ამავე დროს, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ანგლო-საქსთა გაქრისტიანება შედარებით ახალი ამბავი იყო წარმართული ზომალდის სამარხი სატონ ჰუში მხოლოდ საუკუნით უსწრებს პოემის შექმნის სავარაუდო თარიღს. იხ. „ბეოვულფის მსმენელი“, დორთი უაიტლოკი (ოქსფორდი, 1951).

იცნობენ სკანდინავიური დინასტიების ისტორიას, უნდა იცოდნენ ის, რაც „ბეოვულფის“ ავტორს სჯეროდა, ვიცოც მივმართავ, იმ მსმენელებმა იცინათ. მაგალითად, ჰროთგარის დარბაზის შემთხვევითი დაწვის ამბავი და ისიც, თუ როგორ მოიტაცა დანიელთა ტახტი ჰროთგარის ძმისწულმა, ჰროთუფლმა, რაც რამდენჯერმე გაიხმინებს პოემაში, თუმცა ამ ამბებს არაფერი აქვს საერთო პოემაში მოთხრობილ სიუჟეტთან. ამგვარ მინიშნებათა დაფარული აზრი შეუმჩნეველი არ რჩებოდათ ანგლო-საქს მსმენელებს. ისინი ხვდებოდნენ ირონიასა და ავისმომასწავებელ ტონებს იმ ეპიზოდისა, როცა გრენდელის მოკვლის გამო გამართულ ნადიმზე, ველთოუ, ჰროთგარის მეუღლე, თავის შვილებს ქმრის ძმისწულის, ჰროთუფლის, დიდსულოვნებას ანდობს. რადგან, როგორც სხვა წყაროებიდან ვიცით, ეს იყო კაცი, ვინც ბედისწერის ძალით ველთოუს შვილების სისხლში მოთხვრილი ავიდა დანიის ტახტზე. მანამდე კი, იმავე ნადიმზე, ჰროთგარის კარის პოეტი მღერის სიმღერას ფინზე, ვისაც თითქოს ასევე არაფერი აქვს საერთო პოემის თემასთან. და მაინც, ეს სიმღერა გვთავაზობს სხვა პირქუშ და ირონიულ ანალოგიას, რაც ასე უყვარდა „ბეოვულფის“ შემთხვევებს. იმ დროს სისხლიანი შუღლი ჰქონდათ ჰროთგარის ხალხსა და სხვა ტომს, ჰათობარდებს რომ უწოდებდნენ; და როგორც შემდგომ ვიგებთ თვით პოემიდან, ამ ნადიმზე ჰროთგარი ცდილობს თავისი ქალიშვილი ფრიუ ცოლად შერთოს ინგელდს, ჰათობარდების ბელადს. სიმღერა ფინზე რაღას ეხება? ეს სიმღერა მოგვითხრობს სისხლიან შუღლზე, როცა დედოფალი შეარიგებს ორ დაპირისპირებულ მხარეს, რომელთაგან ერთი ქმარია და მეო-

რე — ძმა, მაგრამ შუღლი კვლავ განახლდება და უფრო მეტი მძვინვარებით ამგვარად. სიმღერა ფინზე, გარკვეული აზრით, მიგვითითებს, თუ რარიგ უაზროა პროთგარის მცდელობა, მოსპოს დანიელთა და ჰათობარდთა მტრობა; მიგვითითებს იმ დილემაზეც, რაც თავს დაატყდა ფრიუს, ვინც ქმარსაც უნდა უერთგულოს და მამასაც.

ამით პოეტი „ბეოვულფში“ ჰქმნის საბედისწერო ვითარებას, რასაც ძლივძლივობით თუ ვაჟაჩრებებს ბეოვულფის გამარჯვებები გრენდელსა და გრენდელის დედაზე. ესაა ადამიანური ბოროტება — ჰათობარდებთან მტრობა — და არა ურჩხულების, რაც ბოლოსდაბოლოს დაანგრევს პროთგარის სასახლეს. ეს ეფექტი პარალელურია პოემის მეორე ნაწილისა, რაც დრაკონთა ბრძოლას მოგვითხრობს; გვახსენებს ბეოვულფის ხალხის, გითების, ბრძოლას ფრანკებთან და შვედებთან და მიგვანიშნებს, რომ ბეოვულფის სიკვდილის შემდეგ ცოტა რამ თუ შეუშლით ხელს მტრებს, რომ მიწასთან გაასწორონ გითების ქვეყანა.

ამგვარად, გრენდელი და დედამისი მომასწავებელნი არიან იმ ბოროტებისა, რაც დანიელებს განადგურებით ემუქრებათ, და დრაკონი — იმ შემზარავი ამბისა, რაც გითების განადგურებას წინასწარმეტყველებს. მრავალ მეორეხარისხოვან მინიშნებას მივყავართ ამ მოსალოდნელი კატასტროფისაკენ. მაგალითად, პოეტი შეწყვეტს ბეოვულფის დრაკონთან ბრძოლის აღწერას, რათა ვრცლად და საკმაოდ უადგილოდ მოგვითხროს ისტორია მახვილისა, რითაც ბეოვულფის ძმისწული, ვიგლაფი, მივა მის სახსნელად. მაგრამ თხრობისას ირკვევა,

რომ ეს ხმალი ნადავლია, რაც შვედების მეფის ძმასთან ბრძოლისას მოუპოვებია ვიგლაფის მამას; და ასე გვახსენდება დაუმცხრალი სისხლიანი შუღლი და თითქოს გამართლება ეძებნება იმას, რომ შვედებმა ომი გამოუცხადეს ვიგლაფს, ვინც ბეოვულფის სიკვდილის შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო გითების ტახტი.

ეგრეთწოდებული „ისტორიული ელემენტების“ — გითებისა და დანიელების დამატებითი ამბების — მეორე ეფექტი ისაა, რომ პოემას მეტი სიღრმე და სინათლე შესძინოს. პროთგარი, დანიელთა მეფე, „ისტორიული“ პიროვნებაა და მიაჩნიათ, რომ მისი ჰეროთის ადგილსამყოფელი იყო სოფელი ლეირი კუნძულ სილენდზე, დანიაში. დიდი მეფე, ჰიგლაქი, ნამდვილად არსებობდა და მისი უიღბლო ექსპედიცია ფრანკების წინააღმდეგ, რამდენჯერმე რომ იხსენიება პოემაში, მოხსენიებულია გრეგორი ტურელის „ფრანკთა ისტორიაში“ და ზუსტი თარიღიც დადგენილია — ჩვენი წელთაღრიცხვის 521 წელი. უნდა გვახსოვდეს, რომ მერვე საუკუნის ანგლო-საქსთათვის დანიელების, შვედებისა და გითების ბრძოლები და შუღლი ისეთივე ცნობილი იყო, როგორც ნაპოლეონის ომები თანამედროვე მკითხველისათვის. აშკარაა, რომ ბეოვულფი, გრენდელი და დრაკონი „მითოლოგიური ელემენტებია“ — და არაფერი დაშავდებოდა, თუ ისინი არაფერს ეტყოდნენ „ბეოვულფის“ მსმენელებს. ხოლო დამხმარე ამბებს, დანიელთა და ჰათობარდთა, გითთა, შვედთა და ფრანკთა შუღლის აუცილებლობას მთელი პოემისათვის აქვს ის ირონიული ეფექტი, რასაც პოეტი მათი საშუალებით აღწევს ხშირად და შეუმცდარად. პოეტი აგვიწერს, თუ როგორ ააშენა პროთგარმა ჰეროთი, „უდიდესი სანადიმო დარ-

ბაზი, რაც კი ოდესმე ყოფილა ცნობილი“, გვიხატავს მის ბრწყინვალეებასა და მისი დასრულების აღსანიშნავად გამართულ ნადიმს, და იქვე გვახსენებს: „და მაინც, ამ დარბაზს უნდა ვაეძლო გიზგიზა აღისათვის, როცა დროთა მანძილზე, პროთგარსა და მის სიძეს შორის არსებული შუღლი განახლდებოდა“. გრენდელის გამოჩენა მნიშვნელოვანი დეტალია: განმარტებით მცხოვრები ურჩხული ნადიმიდან გამომავალ სიმღერას რომ ვაიგონებს, დარბაზის აკლებას იწყებს. და საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ პოეტი იყენებს დამხმარე „ისტორიულ“ ამბებს, რათა გაამაგროს ბეოვულფის გმირული მიღწევების წარმავალი ბუნება. დაფარული ირონიითაა აღსავსე ის ფაქტი, რომ თუმცა ბეოვულფი გადაარჩენს ჰეროტს და მოჰკლავს დრაკონს, დანიელებიცა და ვითებიც, ვის დახმარებასაც ცდილობს, განწირულნი არიან მათ მიერვე ჩადენილი ამბების გამო.

მიწიერი სამყაროს დროებითობისა და წარმავლობის იდეა ძველი ინგლისური ლიტერატურის საყვარელი თემაა. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხატი ბედა ღვთისმოსავის „ეკლეზიასტურ ისტორიაში“ (შეთხზულია ლათინურად, მაგრამ ერთ-ერთი პირველი თხზულებათაგანია, ძველ ინგლისურად რომ ითარგმნა) არის ის, რომ ადამიანის სიცოცხლე შედარებულია ბელურასთან, ბნელი ზამთრიდან განათებულ დარბაზში რომ შეფრინდება, წამიერად მოხვდება სითბოსა და მხიარულებაში და მერე კვლავ ბნელ ღამეში ამოჰყოფს თავს. ეს ძლიერი რწმენა, რომ ყველაფერი დასრულდება, ყოველგვარი ბრწყინვალეობა გაჰქრება, ყოველნაირი ძალა დაიღვევა — ცხოვრება ეფემერულია, ყველაფერი გაჰქრება, ცხოვრებაცა და ნათელიც — დამახასიათებელია ანგლო-საქ-

სური წარმოსახვისათვის. ალბათ ეს მოგონებანი წარსულისა და საიდუმლოებით მოცული ბრწყინვალეებისა, რითაც სავსე იყო ბრიტანეთი — მიტოვებული ქალაქები, დანგრეული სასახლეები, ნანგრევებადქცეული ციხეები, რომელ ცივილიზაციას რომ დარჩენია — ისევე უღევს საფუძვლად ამ რწმენას, როგორც წარმართული და გერმანული შთამომავლები ანგლო-საქსებს. „ბეოვულფი“ ქრისტიანული პოემაა მეტ-ნაკლებად წარმართ გმირზე. ბეოვულფისათვის ნუგეშისცემა ქრისტიანული ნუგეშისცემა კი არ არის, არამედ გმირული; და როგორც პროფესორი ტოლკინი ამბობს, ალბათ ეს ნუგეშისცემა უფრო შემძვრელია, რადგან მას ქრისტიანი პოეტი გვიამბობს, უკან რომ იხედება გმირული, წარმართული წარსულისაკენ, რაც მაშინ ჯერ კიდევ ცოცხლობდა.

რა არის ნუგეში ბეოვულფისათვის? ესაა ლექსის თემა — *Loif* — ცოტად თუ ბევრად უთარგმნელი სიტყვა, რაც უხეშად ნიშნავს თანამედროვეთაგან შექებას, ხოტბის შესხმას. ეს თემა თხზულების დასაწყისშივეა წინ წამოწეული:

„მთელს ხალხში ეს მხოლოდ იმათ მოუმოქმედიათ, ვისთვისაც ხოტბა შეუსხამთ, ვისაც ბევრისთვის მიულწევია“.

ეს სიტყვები გაიხმიანებს ბეოვულფის ეპიტაფიაში, პოემის ბოლო ორ სტრიქონში:

„კაცთაგან არავინ ყოფილა ასეთი ნაზი, მომხიბვლელი, კეთილი თავისი ხალხისათვის და ღირსი ქება-დიდებაისა“.

სახელის მოხვეჭის იდეა ყველაზე უფრო ძვირფასი რამაა, რაც კი ადამიანს უნდა ჰქონდეს, რადგან მხოლოდ

ეს რჩება წარმავალ წუთისოფელში. ბეოვულფი ამას ურჩევს ჰროთგარს, ვინც თავისი საყვარელი მრჩეველი დაჰკარგა:

„კაცისათვის უმჯობესია შური იძიოს მეგობრისათვის, ვიდრე გაუთავებლად იგლოვოს. ამქვეყნად ყველა უნდა ელოდეთ სიცოცხლის დასასრულს, და დაე სახელი მოვიბოვოთ სიკვდილის წინ, რადგან ეს საუკეთესო ძეგლია გარდაცვლილთათვის“.

წარმართული ბუნება მკაცრი იყო და ფატალური. „ბედი უნდა ვცადო“, ამბობს ბეოვულფი გრენდელთან შებრძოლების წინ. Wyrð — მეორე მთავარი სიტყვაა — ესეც ძნელი სათარგმნელია — ნიშნავს „იღბალს“, „ბედს“, „იმას, რაც მოსასვლელია“. ამბავს რომ ჰყვება, როგორ ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ბეოვულფი ამბობს:

„ვიდრე საბოლოოდ გაიწირები, ბედი უღიმის იმას, ვინც გაბედულია“.

თუმცა „ბეოვულფის“ შემთხვევლი პოეტი ქრისტიანია და ქრისტიან მსმენელებს მიმართავს, წარმართული ფილოსოფიის ფესვები იჭრება შედარებით ახალ ეთოსში იმგვარი შენიშვნებით, რომ ხანდახან ბედისწერას ღმერთში ურევს. ეს ნაწყვეტები მოწმობს, რომ ქრისტიანული კონცეფციის ყოვლისშემძლე ღმერთს ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დაეფარა Wyrð-ის წარმართული იდეა. გამარჯვებული რომ ქრისტიანული კონცეფცია იყო, ამას ნათელს ხდის ნაწყვეტი, რომელიც აგვიწერს, რომ ბეოვულფი კინალამ მოჰკლა გრენდელის დედამ. მაგრამ ბეოვულფმა იგი ბოლოს მაინც დაამარცხა:

„ღმერთმა მოუტანა გამარჯვება. როგორც კი ბეო-

ვულფი ფეხზე წამოდგა, წმინდა და ყოვლისშემძლე უფალმა ცისა ადვილად გადასწონა სასწორი სიმართლის მხარეზე“.

„როგორც კი ბეოვულფი ფეხზე წამოდგა“, ღმერთი ეხმარება მათ, ვინც თავის თავს ეხმარება: ადამის მოვალეობა აკისრია. „ბედი უღიმის იმას, ვინც გაბედულია“.

და როცა ბეოვულფი კვდება, პოეტი ამბობს:

„სულმა დასტოვა მისი სხეული, რათა სამართლიანი ჯილდო მიეღო“.

მაგრამ ბეოვულფი არ არის წარმოდგენილი, როგორც სპეციფიურად ქრისტიანი ან სპეციფიურად წარმართი გმირი. პოემის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თვისებაა, რომ ის არის ისტორიული ამბავი, გაშლილი პოეტის მიერ, რომელიც ქრისტიან მსმენელს მიმართავს. ნაწარმოები, რაც წარმართულ სამყაროშია შექმნილი. „ბეოვულფის“ ავტორი თავიდან ირიდებს აშკარა, მოუწესრიგებელ ანაქრონიზმს, რაც ჩანს მსგავს ნაწარმოებებში — ვთქვათ, „ნიბელუნგებში“. „ბეოვულფში“ არის მიმართება ძველი ალთქმისადმი — მაგალითად, კაენისა და აბელის ხსენება და წარღვნის ამბავი — მაგრამ აქვეა ალუზია ქრისტესთან ახალი ალთქმიდან. ეს წინსწარგანზრახვით უნდა ხდებოდეს: რადგან, ცხადია, ძველი ალთქმა არ ეწინააღმდეგება და არ კრძალავს გმირულ ბუნებას, ისე, როგორც ახალი ალთქმა თავისი მიტევების მოძღვრებითა და ცოდვების შენდობით.

ბეოვულფი უფრო იდეალური გმირია, იდეალური მეფე. მას ხშირად ადარებენ ჰერმოდს, დანიელთა მეფეს, ვინც ყველაზე ცუდი წინამძღოლის ნიმუში გახლ-

დათ. ჰერმოდო იყო სასტიკი, ძუნწი და ვასალებს ხო-
ცავდა. ხოლო მეფეს ევალემა იყოს მცველი თავისი
ხალხისა: ევალემა მოუაროს ნადავლს, თავის თანმხლებ-
ლებთან ერთად რომ მოიპოვებს და სამართლიანად და
სწორად გაანაწილოს. ასეთ საზოგადოებაში უდიდესი
ღირსება იყო ერთგულება: ამიტომ ყველაზე საშინელი
დანაშაული იყო გამცემლობა. სისხლის აღების კანონი
უპირველესი გახლდათ. ეს კანონი მოითხოვდა, კაცის
მოკვლისათვის მის ნათესავებსა თუ ვასალებს შური
ეძიათ: ეს იყო მათი ზნეობრივი და სოციალური ვალ-
დებულება. ამიტომ ყველაზე საშინელი და მიუტევებე-
ლი ცოდვა, რადგან შურისძიება შეუძლებელი იყო, სი-
სხლით ნათესავის მოკვლა გახლდათ. ამავე დროს, ყვე-
ლაზე ცუდი და სამარცხვინო საქციელი იყო წინა-
მძღოლის მიტოვება ბრძოლაში ან იმ კაცთან სამსახუ-
რი, ვინც შენი წინამძღოლი მოჰქლა. მომაკვდავ ბეო-
ვულეს შეეძლო ეთქვა, რომ როგორც მეფემ, აღასრუ-
ლა თავისი ვალი და იცავდა გმირულ კანონებს.

„ნახევარი საუკუნე ვმართავდი ამ ხალხს და არ ყო-
ფილა მეზობელი ერების მეფე, ვინც გაბედავდა თავს
დამსხმონდა ან ბრძოლაში გამოვეწვიე. გავძელი იმდენ-
ხანს, რაც ბედისწერამ დამიდგინა ამ მიწაზე; კარგად
ვიცავდი მას, რაც ჩემი იყო. თუმცა სასიკვდილოდ დაჭ-
რილი ვარ, შემძლია ვიზეიმო ამის გამო; რადგან როცა
სიცოცხლე დატოვებს ჩემს სხეულს, ღმერთი ვერ დამ-
დებს ბრალს, რომ ნათესავი მომიკლავს“.

პოემა „ბეოვულფი“ წარმოგვიდგენს ნათელ სუ-
რათს გმირული ეპოქისა და საზოგადოებისა.

მაგრამ ეს არ არის ამ პოემით დაინტერესების მთა-
ვარი მიზეზი. „ბეოვულფი“, როგორც უკვე ვთქვი,

არის არა ისტორიული დოკუმენტი, არამედ თავისთავად
ღიადი პოემა. რადგან მის თემას ახასიათებს ღიადი პო-
ეზიის თვისება. ეს არის ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს
ადამიანი, როცა უიმედოდ დარჩება. ეს აძლებინებს
ადამიანს ამქვეყნად, სადაც ყველაფერი წარმავალია,
სიცოცხლე, ბედნიერება, ძალაუფლება თუ ბრწყინვა-
ლება; სადაც სიბნელე ძალზე მალე მოჰყვება სინათ-
ლეს, როგორც გრძელი ჩრდილოური ზამთარი ამარ-
ცხებს მოკლე გაზაფხულს. პოემა მთავრდება დასაკრძა-
ლავი კოცონის კვამლით: ველური დრაკონი მკვდარია,
მაგრამ კაციც მოკვდა, საშიშროება მოელის ხალხს, ვი-
საც იგი იფარავდა. მაგრამ დიდება რჩება; და ესაა ნუ-
გეში. ეს იგივეა, რასაც ჩვენი დროის ღიადი პოეტი
ამბობს:

მხოლოდ უნდა ვიბრძოლოთ იმის აღსადგენად, რაც
დავკარგეთ. ვიბრძოლოთ და დავკარგოთ — კვლავ და
კვლავ: და ახლაც კი ამ შეუსაბამო ყოფაში. მაგრამ აღ-
ბათ არც ვიგებთ და არც ვაგებთ. ჩვენ მხოლოდ უნდა
ვეცადოთ. დანარჩენი ჩვენი საქმე არ არის*.

დევიდ რაიტი.

* პწკარელი.

მთარგმნელებისგან

„ბეოვულფის“ თარგმნისას ვისარგებლეთ უძველესი ტრადიციის მქონე თავისუფალი ლექსით — წყობილი სიტყვით, რომლითაც არამარტო ფოლკლორული წარმოშობის ქართული ძეგლებია შექმნილი (ვთქვათ, „ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დურძუქთა“, ფარნავაზის თქმულებანი, „გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქუელისა“, „ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა“), არამედ ბიბლიური პოეზიის უძველესი ნიმუშებიცაა გადმოღებული.

ლექსთწყობის ამ სახეს მისი აღმომჩენი პავლე ინგოროყვა ამგვარად განმარტავს:

„ლექსთწყობას აქ ჰქმნის არა მუხლედთა და ტერფთა რიტმიკა, არამედ შინაარსობრივად ერთიანი ტაეპების რიტმიკა, მთლიან ტაეპთა რიტმიული მონაცვლეობა“ (უფრო ვრცელი ცნობებისა და სათანადო ნიმუშებისათვის იხ. პავლე ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, 1954 წ., გვ. 710—734).

ჩვენს დროში ამ სალექსო საზომზე დაყრდნობით თარგმნა თამაზ ჩხენკელმა უძველესი ინდური ეპოსის „მაჰაბჰარატას“ ერთ-ერთი ნაწილი „ბჰაგავატგიტა“, წყობილი სიტყვა ორიგინალურად გაიაზრა და მისი ტრადიცია ხელახლა ააღორძინა.

ეპოსი ძირითადად ვთარგმნეთ ბარტონ რაფელისეული ახალინგლისური პოეტური თარგმანის მიხედვით, თუმცა დევიდ რაიტისეულ პროზაულ თარგმანსაც ვითვალისწინებდით.

ის ლიტერატურული ნარკვევები, რომელიც თარგმანს დაერთვის, გარკვეულ წარმოდგენას ჰქმნის „ბეოვულფის“ კვლევის დღევანდელ ვითარებაზე ინგლისში.

აქვე საგანგებოდ უნდა გავიხსენოთ, რომ ჩვენს მწერლობაში უკვე შენიშნულია ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი პარალელი იახსარის ანდრეზსა და ანგლოსაქსურ ეპოსს შორის — მსგავსება იახსარის დევთან ტბაში ბრძოლისა და ბეოვულფის გრენდელის დედასთან ტბაში ბრძოლის ეპიზოდებისა (ოთარ ჩხეიძე, „რომანი და ისტორია“, 1965 წ., გვ. 16—18).

პაატა ჩხეიძე,
როსტომ ჩხეიძე.

ბოლოვი
ს. 44 წიგნი 4 ა.
1959

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბეოვულფი (ეპოსი)	5
„ბეოვულფის“ გარშემო	162
ინგლისური გამოცემის წინასიტყვაობა (ბარტონ რაფელი)	162
ბოლოსიტყვაობა (რობერტ პ. კრიდი)	180
პროზაული გამოცემის წინასიტყვაობა (დევიდ რაიტი)	211
მთარგმნელებისგან	228

რედაქტორი მ. ფორჩხიძე
მხატვარი კ. ფაჩულია
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელიძე
კორექტორი ლ. არჩუაძე
გამომშვები ნ. ჩხეტიანი

ს. ბ. 5117

გადაეცა წარმოებას 14.12.88. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.07.89.
საბეჭდი ქაღალდი № 1. 70×100¹/₃₂. გარნიტური ვენა, ბეჭდვა
შალაღი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 9.13, პირ. სალ.-გატ. 9.59,
საალრ.-საგამომც. თაბახი 8.74. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 297.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

380060 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პრ. № 29,
საქართველოს სსრ გამსახკომის № 4 სტამბა.

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29,
типография № 4 Госкомиздата Груз. ССР.